ხარიტონ ახვლედიანის სახელობის

აჭარის მუზეუმი

მუზეუმის მაცნე

VIII

ბათუმი 2016

მთავარი რედაქტორი

პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

პროფესორი ნუგზარ მგელაძე

ისტორიის დოქტორი თემურ ტუნაძე

დირექტორის მოადგილე ბიძინა აფხაზავა

სამდივნო: რუსუდან კობრავა

ნანა ქორიძე

ნანული სებუა

ზაალ შენგელია

თინათინ ფაღავა

დონარი დოლიძე

© გამომცემლობა "თეგი"

ISSN 1987-6807

ოთარ გოგოლიშვილი

ბრძოლა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის ბათუმში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში

20–საუკუნის დასაწყისისთვის ბათუმი უკვე მოზრდილი ქალაქი იყო. მოკირწყლული და ქვაფენილიანი ქუჩებით, ელსადგურით, წყალსადენებით, ვაჟთა და ქალათა გიმნაზიებით, სკოლებით, თითქმის ყველა ეროვნებისთვის სამოქალაქო სასწავლებლით, 120 საწოლიანი საავადმყოფოთი, ნურიის მოედანზე აგებული დახურული ბაზრით. მოასფალტებული ტროტუარებით, ფოსტით, ქალაქის გამგეობის ახალი შენობით, რომელიც დღეს ამშვენებს ბათუმს. გაიხსნა ბანკები და მათი ფილიალები, დაწესდა ლომბარდი, და ა.შ. გახშირდა კულტურული ღონისძიებებიც. მთელი დატვირთვით მოქმედებდა ე.წ რკინის თეატრი. უკვე აღარავის აოცებდა დედაქალაქიდან ჩამოსული თეტრალური დასების მიერ დადგმული წარმოდგენები. გამოჩნდნენ ადგილობრივი თეატრალური ჯგუფებიც. ყველაფერი ეს ქალაქის თვითმმართველობის დაუღალავი უნარიანი საქმიანობის შედეგი იყო. გამოჩნდა ბევრი ნიჭიერი, საერო და საქვეყნო საქმისთვის თავდადებული მოღვაწე, რომლებმაც საბოლოდ დაამტკიცეს, რომ ქართველობას სხვაზე უკეთესადაც კი შეუძლია ხელმძღვანელობა და საზოგადო საქმეთა კეთება. თვითმმართველობაში მომუშავე მამულიშვილთა თანამოაზრენი და თანამოსაქმენიც იყვნენ ქალაქის სამხედრო ნაწილებში მომსახურე ქართველი ოფიცრობა და ჯარისკაცები. ზოგიერთი თვითმმართველობის ხმოსნადაც იყო არჩეული და აქტიურად მონაწილეობდა საზოგადო საქმიანობაში. მაგალითად, ციხის სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი იოსებ მდივანი, პოდპოლკოვნიკი ნიკო დუმბაძე და რა თქმა უნდა პოდპოლკოვნიკი დავით კლდიაშვილი, დიდი ქართველი მწერალი და მამულიშვილი. იყვნენ სხვებიც რომელთა წარმოჩენა და სათანადო პატივის მიგება მომავლის საქმეა. მათი ეროვნული მოღვაწეობაც არანაკლები გმირობაა, რადგან იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკა სამხედრო ნაწილებში უფრო ძლიერი იყო: ,,შენი სამშობლო რუსეთია და შენც რუსი ხარ, რუსი'', ასე უტენიდნენ თავს ქართველ ახალგაზრდებსაც სამხედრო ნაწილებში და ცდილობდნენ ექციათ მორჩილ, ბრძანების უსიტყვოდ შემსრულებელ მანქანებად. ჩვენი ეროვნული მოღვაწეები შეერთებული ძალით ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ ამგვარ ანტიადამიანურ და ანტიეროვნულ პოლიტიკას და ეშველათ, ცხოვრების სამზეოზე გამოეყვანათ ეს ახალგაზრდები.

,,ჯერ ადამიანი ვარ და მოქალაქე, შემდეგ კი სამხედრო მოსამსახურე'', ასეთი სულისკვეთებით მუშაობდნენ დავით კლდიაშვილი და მისი თანამოაზრე სამხედროები ჯარისკაცებთან. ზრუნავდნენ მათი განათლებისა და კულტურული დონის ამაღლებაზე, ასწავლიდნენ შეეცნოთ ცხოვრება, დაეცვათ ეროვნული და პიროვნული ინტერესები, ადამიანური ღირსება. ცხადია ეს ხდებოდა შესაბამისი ღონისძიებების და საუბრების მეშვეობით და განაპირობებდა ოფიცერთა და ჯარისკაცთა დაახლოვებას რაც მიუღებელი იყო მაშინდელი მკაცრად იერარქიული სამხედრო წესრიგისთვის. ჯარისკაცისადმი ადამიანური მოპყრობა დანაშაულადაც კი ითველბოდა. სწორედ ასეთი სულისკვეთებით მუშაობის გამო აითვალწუნეს და პოლიტიკურად არასაიმედოდ სცნეს წარჩინებული ოფიცერი დავით კლდიაშვილი და ოცდაექვს წლიანი სამსახურის შემდეგ აიძულეს თავი დაენებებინა სამხედრო სამსახურისთვის, მაგრამ საქმე კეთდებოდა. სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულ ახალ-

გაზრდებს, თავიანთ სოფლებში თან მიჰქოდნათ შეძენილი ცოდნა და კულტურული ღირებულებები, ეროვნული და სოციალური თავისუფლებების იდეები.

ანალოგიური შეიძლება ითქვას მუშათა შემთხვევაშიც. ამ დროისთვის ბათუმის მოსახლეობის ნახევარზე მეტს გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან და აჭარის მთის სოფლებიდან გამოსული მუშა–ახალგაზრდები შეადგენდნენ. მათი ეროვნული გამოფხიზლებისა და ახალი ცხოვრეების ასპარეზზე გამოსაყვანად, ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად დიდი საგანმანათლებლო და კულტურული მუშაობა იყო საჭირო. უკვე ვთქვით, რომ ჩვენმა ეროვნულმა მოღვაწეებმა ამ ამოცანასაც წარმატებით გაართვეს თავი. კიდევ ვიმეორებ, რომ ესაა კულტურულ–საგანმანათლებლო მუშაობის ერთიანი ჯაჭვი, რომელიც გაბმულია წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი სკოლის გახსნიდან ბათუმში, აჭარის მთიანეთში ჩვენი საზოგადო მოღვაწეების მისიონერულ მოღვაწეობამდე.

ერთობ კოლორიტულად იხსენებს დავით კლდიშვილი თბილისიდან თეატრალური დასის ერთ–ერთ ჩამოსვლას ბათუმში.

,,...დასის ერთ–ერთი ჩამოსვლის დროს გავეცანი ქართველ არტისტებს: მარიამ საფაროვა–აბაშიძისა, ქეთო ანდრონიკაშვილისას, ვასო აბაშიძეს, სანდრო ყაზბეგს, ლადო მესხიშვილს, ნატო გაბუნიას, ესენი თამაშის გარდა საზოგადოებას ხიბლავდნენ თავიანთი სიმღერებით, საუბრებით. ძლიერ იზიდავდა საზოგადოებას ქეთო ანდრონიკაშვილის ლეკური. ხანჯლებით ლეკურის პირდაპირ გიჯური მოთამშე იყო სანდრო ყაზბეგი... ვის არ გამოაღვიძებდა ლამაზი, ცქრიალა, საუცხოო კილოზე მოლაპარაკე საფაროვა–აბაშიძისა ან ნატოს თამაში–სიმღერა, ვასოს უნიჭიერესი თამში და კუპლეტები, მესხიშვილსი დანახვა და მოსმენა''... [1]

ამგვარ თეატრალურ დასებს დედა-ქალქიდან ბათუმში ჩამოჰქონდათ ეროვნული სული და ახალი ცხოვრების წყურვილი, გამოცოცხლების განცდა. წერა–კითხვის გამავრცელებელი სკოლის მატერიალური გაღონიერებისათვის ყოველწლიურად, 12 იანვარს, გ. ვოლსკისა და ი. მესხის თაოსნობით, ქალაქის საკრებულო დარბაზში იმართებოდა ნინოობის დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, თეატრალური დასები.

კულტურული–საგანმანათლებლო და საერთოდ საზოგადო მუშაობა არ შენე-ლებულა ლუკა ასათიანის გარდაცვალებისა და ივანე ანდრონიკაშვილის ქალაქისთავად არჩევის შემდეგაც. იგი ასათიანის ღირსეული მემკვიდრე გამოდგა. 14 წელი უმეთაურა ქალაქს და მისი აღმშენებლობის, ეკონომიკური და კულტურული წინსვლის ნამდვილი ორგანიზატორი იყო. მას კიდევ უფრო ხშირად უწევდა ბეწვის ხიდზე გავლა, რომ ეროვნული ცნობიერების გაძლიერებისთვის ბრძოლა შეეთავსებინა სოციალური და პიროვნული თავისუფლებისა და თანასწორებისათვის ბრძოლასთან. ამ იდეებით სულ რომ ხშირად გამოდიოდა უკვე მომძლავრებული მუშათა კლასი. ეს იყო ქართველი ერის მნიშვნელოვანი ნაწილი და მისი ინტერესების დაცვა ეროვნულ–განმანთავსუფლებელი მოძრაობის ნაწილი იყო.

,,მუშებმა ნელ–ნელა ერთგვარი ორგანიზაციის შემოღება იწყეს. ხელმძღვანელებიც ამისთვის ბათუმში ბლომად მოიპოვებოდნენ. ამასთან მესამე დასელები დღითიდღე აძლიერებდნენ მუშაობას მათ შორის. აქ მათ ჰყავდათ უფროსი ხელმძღვანელები... ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, საშა წულუკიძე... ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე.

ამათ იმდენი მოახერხეს, რომ ქალაქში გახსნეს საჯარო ბიბლიოთეკა–სამკითხველო, რომელსაც მოუგროვეს მრავალი წიგნი და უწერდნენ ჟურნალ–გაზეთებს. სამკითხველო ნურიაში იყო და მუდამ სავსე იყო მკითხველით. დიდი მეცადინეობის შემდეგ გაიხსნა

საკვირაო სკოლა ბარცხანაში... როტშილდის ქარხანაში. სკოლის პასუხისმგებელ გამგედ იყო მღვდელი სიმონ თოთიბაძე... თოთიბაძე ახალგაზრდა მღვდელი იყო, გულწფელი, განვითარებული, მოწინავე აზროვნების მქონე პიროვენება.

... სკოლაში აუარება ხალხი დადიოდა. სწავლის გათავების შემდეგ იმართებოდა ერთგვარი საუბრები''[2].

ასეთივე სკოლა, ოღონდ იატაკქვეშ, მუშაობდა ნობელის ქარხანაშიც. როტშილდის ქარხნის მუშებმა კი სკოლა არ იკმარეს და დრამატული დასიც შეადგინეს. გადაწყვიტეს მუშებისთვის ეჩვენებინათ ცხოვრებისეული პიესები. დანიშნული ხელმძღვანელი ვერ გაუძღვა ამ საქმეს და მის ნაცვლად მოიწვიეს დავით კლდიაშვილი, შედეგიც წარმატებული იყო. მუშა არტისტებმაც და მათმა ხემძღვანელმაც გამოიჩინეს თავი, ოღონდ ქარხნის ადმინისტრაციას და სამხედრო ნაწილის ხემძღვანელობას არ მოსწონდა ყველაფერი ეს, რასაც კონფლიქტები მოსდევდა ხოლმე [3].

ჩვენმა საზოგადო მოღვაწეებმა კარგად იცოდნენ, რომ დედა სამშობლოს, თანამოძმეს რამდენიმე საუკუნით ჩამოშორებული და თითქმის გაუცხოებული აჭარელი კაცის ეროვნული გათვითცნობიერება ვერ მოხდებოდა აქ ქართული სკოლების, სხვა სასწავლებლებისა და კულტურული დაწესებულებების უქონლობის პირობებში. თუ აქაური ქართველი თავის მშობლიურ ენაზე არ შეისწავლიდა შოთას, ილიას, აკაკის, და საერთოდ ქართულ მწერლობას, მათში ვერ გაიღვიძებდა ქართული სული... და დაიწყო კიდეც კულტურულ–საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნა, ქართული წიგნის გავრცელება. თუ ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ამ საქმეს ბათუმში ივანე მესხი და მიხეილ შარაშიძე უძღვებოდნენ, აჭარის მთიანეთში ამ მისიას ჩვენი მოგზაური საზოგადო მოღვაწეები ასრულებდნენ. სხვა ეროვნულ საქმიანობასთან ერთად ისინი მოსახლეობაში ავრცელებდნენ ქართულ წიგნებს, უპირველესად დედაენას. ესაუბრებოდნენ სამშობლოს ისტორიაზე, ასწავლიდნენ ახალი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლას.

მაშინ ბათუმის ქუჩებში თურმე ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით გატაცებით მოსაუბრე ადამიანებს ქართული ჟურნალ–გაზეთებით ხელში. მუდამ ხალხმრავლობა იყო ნურიის ბაზარზე სპირიდან ჭელიძის ბუკინისტური წიგნების მაღაზიაში. მაღაზიის პატრონი იაფად ჰყიდდა სიმწრით მოგროვილ წიგნებს ღარიბ, მაგრამ ცოდნას მოწყურებულ ხალხზე, უფრო ხშირად ჩუქნიდა მათ. მისი ასეთი მოღვაწეობის ფართო ასპარეზი აჭარის მთის მოსახლეობა იყო, სადაც ზაქარია ჭიჭინაძისთვის ხშირად სტუმრობად წიგნებით დატვირთული [4].

ესეც ბრძოლა იყო, საკმაოდ მკაცრი და დაუნდობელი, რადგან რუსული ადმი-ნისტრაციის წინააღმდეგობა ეროვნულობის მიმართ, აჭარის მკვიდრი მოსახლეობის ინტრესების უგულებელყოფაშიც ცხადდებოდა. განსაკუთრებით მთიანი სოფლების დაბეჩავებული და ეკონომიკურად უაღესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მცხოვრებნი იყვნენ შეჭივრებულნი. მაგრამ ქართულ მოღვაწეათა დახმარებით ახალგაზრდობა მაინც იკვლევდა გზას ბათუმის სასწავლებლისაკენ და აქტიურად ერთვებოდა საზოგადო საქმიანობაში.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ქართელ ეროვნულ მოღვაწეთა მოგზაურობების ჩანაწერები აჭარის მთიანეთში.

,,შარვაშიძეთა გარდა, (იგულისხმება თუფალ–ბეგ შარვაშიძე ო. გ.) ქედის მიდამოებში სახლობენ ბეგები ბეჟანიძეები... მათი ოჯახი განთქმულია შეძლებით, დარბაისლობით და განსაკუთრებით, ქართული ენის ცოდნით. როგორც სხვაგან, აქაც ჩვენი ენის ბურჯებად მანდილოსნები ითვლებიან. მათ შორის არის დაცული ძველებული ქართული წერა''... 24 მარიამობისთვის მშვენიერ დილას, სოფელ ქედასაც თავი

დავუკარით. თანამგზავრებად მომყვებოდა ოთხი მოზარდი ყმაწვილი : ორი თოფალ–ბეგ შარვაშიძის შვილი და ორიც მისი ნათესავი. ოთხივე ბათუმში, ახლად გახსნილ გიმნაზიაში უნდა მიებარებინათ. ორ მათგანს ბათუმის სამოქალაქო სასწავლებელში უსწავლია და ცდილობდნენ ჩემთან რუსული ენის ცოდნით თავი გამოეჩინათ, თუმცა მეტად უჭირდათ ამ ენაზე ლაპარაკი. სამაგიეროდ მათ ქართული ლაპარაკის სმენას არა სჯობდა რა. მეტად საამო საყურებელნი იყვნენ ეს თავისუფალი შვილნნი აჭარის მშვენიერი ბუნებისა, აჭარულად კოხტად გამოწყობილნი, თავზე სირმიანი ყაბალა-ხით... ოთხსავეს ცხენებზე ისე მაგრად ეჭირათ თავი, თითქოს ზედ დაბადებულანო. ქედის ბოლოში შემოგვიერთდა ბათუმელი ახალგაზრდა ბეგი აბაშიძე, მეტად კოხტა აჭარულადვე სირმიან ტანისამოსით გამოწყობილი. ქართულს წმინდად ლაპა-რაკობდა...აღმოჩნდა, რომ ,,წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების'' სკოლაში უსწავლია ბათუმში, განსვენებულ მოსე ნათაძის ხელში, სასოებითაც იხსენებდა თავის დაუვიწყარ მასწავლებლის სახელს, მის გულკეთილობას და შეგირდების სიყვარულს. რაც ვიცი სულ ,,ჩვენმა მოსემ'' მასწავლაო, მაჰმადიანი ქართველები განსაკუთრებით ვუყვარდითო და მამასავით ზრუნავდა ჩვენზედაო. რომ უფრო ვესიამოვნებინეთ, მოგვიყვა აკაკის, ჭალადიდელის, გურიელის ლექსები. იმღერა ,,სამშობლო ხევსურისა'', რომლისაც როგორც კილო, ისე სიტყვები მეტად მოსწონდა. ბოლოს ნაღვლიანად დასძინა : უფრო მეტი მეცოდინებოდა, მაგრამ ორ წელიწადს დავრჩი ამ სკოლაშიო.

შევყევით ლაპარაკს. საგნად ჩვენი ლაპარაკისა თავისთავად, ბუნებრივად შეიქმნა ის კითხვა, რომელიც აქეთ სტუმრად გადმოსულ ქართულ კაცს ყოველთ უწინარეს ებადება.... – კითხვა ეროვნული. თანამოსაუბრემ, 16–20 წლის ყმაწვილმა ქართველის გულს დაკოდილს უალერსა და უსალბუნა'' [5].

ამ რწმენით, ამ გრძნობითა და სულისკვეთებით მოგზაურობდნენ ჩვენი საზოგადო მოღვაწეები აჭარაში, აღწერდნენ მის ყოფას, მძიმე მემკვიდრეობას და სახავდნენ უკეთესი მომავლისკენ წინსვლის გზებს, დედასამშობლო საქართველოსთან ერთად. ეროვნული ცნობიერების გაძლიერება, სწავლა–განთლება, კულტურის დონის ამაღლება, ახალი ცხოვრების ასპარეზზე თამამად გამოსვლა, – ნივთიერი ცხოვრების გაუმჯობესებასთან ერთად, იყო ქართული საზოგადოებრიობის ზრუნვის საგანი ამ მხარეში, და არა მხოლოდმ ამ მხარეში. მსგავს ზრუნვას მოითხოვდა აფხაზეთი, სამხრეთ საქართველოში ახლად განთავისუფლებული მაჰმადიანი ქართველობა და სხვა მხარეებიც, რომლებისთვისაც მეტად მტკივნეული იყო რუსული იმპერიული მმართველობა. ამ მმართველობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლაში გაერთიანდა ეროვნული თავისუფლებისა და თვითგამორკვევისათვის და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა. ეს განსაკუთრებით მძაფრად აისახა მუშათა მოძრაობასა და არმიაში, ამ შემთხვევაში ბათუმის სამხედრო ნაწილებში, სადაც ჯარისკაცთა უმრავლესობა ქართველები იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 1980, გვ. 32
2. იქვე, გვ. 39
3. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 76, საქ. 143, ფურც. 11
4. იქვე, ფურც. 45.
5. სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი, 1978, გვ. 28

მაყვალა გოგუა

საგანმანათლებლო საქმიანობის თავისებურებები აჭარაში - XIX საუჯუნის II მეოთხედში

ოსმალთა ხანგრძლივი და გაუთავებელი შემოსევების შედეგად თანდათან გაჩანაგდა, დაკნინდა ქართული ენა და დამწერლობა. სამი საუკუნის განმავლობაში ნადგურდებოდა ქართული კულტურა. დამპყრობლებმა კარგად იცოდნენ, რომ დაბეჩავებული ხალხის მართვა უფრო ადვილი იყო, სწორედ ამიტომ დააფუძნეს სკოლები - მედრესები.

აჭარაში სწავლა-განათლების იმდროინდელი მდგომარეობისა და ქართული ენის შესახებ თედო სახოკია წერდა: „ეს მხარე ცნობილია ჩვენი საუკეთესო მწიგნობართა აკვნად და სამშობლოდ. იგი სწავლა-განათლებით თუ წინ არა, უკან მაინც არ მდგარა საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით. რაკი ოსმალებმა ხელში ჩაიგდო ეს მხარე, ხმლითა და ცეცხლით ბრძოლა გაუმართა აჭარლებს, დევნა დაუწყო მათ ენასა და დამწერლობას. სამასი წლის განმავლობაში თურქთა ბატონობის ქვეშ ყოფნამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ დიდებული ტაძრები და ციხე-კოშკები განადგურდა. ხალხის სწავლა-განათლების საქმე და გონებრივი საზრდოს მოწოდება მოლებმა იკისრეს.ცალკე ამდენი ხნის ბრძოლამ, ცალკე ეკონომიურმა გაჭირვებამ, იქამდე მიიყვანა აჭარის მკვიდრნი, რომ გარე სამყაროს ჩამოაცილა (კომახიძე, 2011:5).

საშინელი პირობები იყო მედრესეში, ბავშვებს ჯოხით სცემდნენ. სასწავლო წელიწადი 2-3 თვეს თუ გასტანდა ისიც ზამთარში. დიდი თოვლისა და სიცივეების გამო სასწავლებელში სიარული თითქმის შეუძლებელი იყო.

ქალაქ ბათუმში გახსნილი იყო გიმნაზიის სასწავლებელი, ე.წ. „რუტშიეს“ სახელწოდებით. თურქული სკოლების პარალელურად ბათუმში ფუნქციონირებდა აგრეთვე ბერძენთა საზოგადოების დაწყებითი სკოლა (1861 წ) სადაც 40 მოსწავლეა ამ სასწავლებელში. სასწავლებელმა იარსება 1879 წლამდე. სკოლას ემსახურებოდა ერთი მასწავლებელი.

70-იანი წლების დასასრულს აჭარა სამუდამოდ დაუბრუნდა დედასამშობლოს „შარშანდელი წელიწადი ფრიად ღირშესანიშნავია - წერდა დიდი ილია 1879 წელს. - ჩვენი ძმები ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“ ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“. (ჭავჭავაძე,1955: ტ.5:18).

1878 წლის ნოემბერში თბილისს ეწვია აჭარელთა დეპუტაცია რომლის მიზანი იყო ახლადშემოერთებული აჭარის საქმეების ქართულ ეროვნულ საფუძველზე წარმართვა. შეხვედრას ესწრებოდნენ გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, სერგეი მესხი, პეტრე უშიკაშვილი, გიორგი წერეთელი. აღსანიშნავია შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის სიტყვა ამ კრებაზე: „დღეს, როდესაც ერთადვართ, ღმერთმა ქნას, მეცა და ჩემ თანამოძმეთაც საქმით დაგვემტკიცებინოს ჩვენგან მოსალოდნელი კეთილშობილური მოქმედება შეერთებული ვიყოთ მტკიცედ, ძმურად, სულით, გულით და ყოველ კეთილ განწყობილებით ხელი ხელს მიგვეცეს და გადაგვედგას ის გმირული ნაბიჯი, რითაც განთქმული იყვნენ ჩვენი წინაპრები საქვეყნოდ (გაზ. „დროება“ 1878 წ. N239).

განთავისუფლების შემდეგ აჭარას ყოველ სფეროში სჭირდებოდა დახმარება, მაგრამ მთავარი მაინც იყო სკოლების გახსნა, წიგნების გავრცელება. სწავლა-განათლება ილია ჭავჭავაძეს ადამიანის არსებობა პირობად მიაჩნდა.

მემედ აბაშიძე წერდა: „მიუხედავად სარწმუნოებრივი განსხვავებულობისა, საერთო უბედურობის დროს თავის დედა-ქვეყნის შვილებს, მაჰმადიან ძმებს დიდიდან პატარამდე ქრისტიანმა ქართველობამ ძმური ნუგეშის ხელი გაუწოდა და შეძლებისდაგვარად შესაფერისი დახმარება აღმოუჩინა. ჩვენდამი მათი ამაგი და მზრუნველობა ვერ დაიფასების“ (შარაძე, 1998:72).

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ ქართველების უპირველესი ოცნება იყო აჭარაში ქართული სკოლების გახსნა, მაგრამ ეკონომიური მდგომარეობის გამო ამის განხორციელება შეუძლებელი იყო. რუსეთის ხელისუფლება მხოლოდ რუსული სკოლების გახსნით იყო დაინტერესებული.

XIX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე ქართული სახალხო სკოლების გახსნისათვის ნაყოფიერი ნიადაგი შეიქმნა. ასპარეზზე აქტიურობდა თერგდალეულთა თაობა - გამოსცეს ი.გოგებაშვილის უკვდავი „ბუნების კარი“ (1868 წ.) და „დედა ენა“ (1876 წ). 1879 წ. ჩამოყალიბდა ქართველთა შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ რომელიც აარსებდა სკოლებს, ბიბლიოთეკებს, ხელმძღვანელობდა წიგნების გამოცემას. ხალხი ამ საზოგადოებას სახალხო განათლების სამინისტროს უწოდებდა. („სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ აჭარა. III. 2008: 531).

აჭარაში რთული ვითარება იყო. 1880-1885 წლებისათვის საქართველოში ყველა ტიპის 230 სკოლა მოქმედებდა. რაც შეეხება აჭარას, 70-იანი წლებისათვის ბათუმში დიმიტრი ბაქრაძის ცნობით, იყო დაბალი ტიპის ორი სკოლა ბერძნული და თურქული. ზ.ჭიჭინაძის ცნობით ქედაში 1770 წლიდან არსებობდა მუფთის სკოლა, რომელიც ხოჯებს და მოლებს ამზადებდა. სულ ბათუმის ოლქში მოქმედებდა 207 მედრესე, ამიტომაც „ძველი საქართველოს არემარეში სწავლა-განათლების მხრივ არც ერთი კუთხე არ არის ისე ჩამორჩენილი, როგორც აჭარა“ - დაასკვნიდა ჟურნალი „განათლება“ (ჟურნალი „განათლება“ N3. 1991:3)

1886 წლის თებერვალში ქუთაისის გუბერნიის სკოლის დირექციამ გონიოს ნაწილის სოფელ მარადიდში გახსნა სკოლა, მაგრამ მას დიდხანს არ უარსებია.

1890 წელს აჭარა მოიარა იოანე მეუნარგიამ, გაეცნო აქაურ სარწმუნოებას, მათ ყოფა-ცხოვრებას და წარადგინა მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ შეეძლო „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“, აქეთკენ სწავლა-განათლების გავრცელება და დავიწყებული ქრისტიანობის აღდგენა.

1879 წელს ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორმა კონსტანტინე კომაროვმა დასვა საკითხი რუსული სკოლის გახსნის შესახებ. მაგრამ მისი განხორციელება 1881 წლისათვის გადაიდო. იგი განთავსდა 9 აპრილის ქუჩაზე ბახმეტევის კუთვნილ ბინაში. პირველ მასწავლებლად დაინიშნა ლ.ზედგენიძე. დასაწყისში სკოლას ეწოდებოდა კ.კომაროვის სახელი, სწორედ ამის ბაზაზე 1882 წლის ოქტომბრიდან გაიხსნა ქალთა დაწყებითი სასწავლებელი.

აჭარის პროგრესულად მოაზროვნე მამულიშვილები საჯაროდ მოუწოდებდნენ დედასამშობლოს დახმარებისათვის. 1878 წელს თბილისში აჭარიდან მიწვეულთა პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე დელეგაციის ხელმძღვანელის ხუსეინ ბეჟანიძის თხოვნა მასპინძლისადმი ასეთი იყო: „უფროსი ძმები ხართ დაკარგული დაგიბრუნდათ, მოგვხედეთ, გვეპატრონეთ, გვიძმეთ და სწავლა-განათლება ჩვენში გაავრცელეთ, ერთგულებას კი მომავალშიც დაგიმტკიცებთ“. (კომახიძე. 2011:6)

ალექსანდრე ნანეიშვილი

დიდი როლი ითამაშა განათლების კუთხით 1879 წლის 17 მარტს დაფუძნებულმა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. ამ საზოგადოების ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი იყო ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი. ამ საზოგადოებამ თავის სამოქმედო გეგმად დაისახა ბათუმში, ქობულეთსა და შავშეთში ქართული სკოლების გახსნა. მოლაპარაკება ამ საკითხზე დაევალა ნიკო ცხვედაძეს.

სკოლის გახსნა მხოლოდ ქ.ბათუმში იყო შესაძლებელი. მომავალი სკოლისათვის ავეჯი შეუკვეთიათ ქ.თბილისის მცხოვრებ შათიროვისთვის. მასწავლებლად მოუწვევიათ პეტერბურგის ყოფილი სტუდენტი ალექსანდრე ნანეიშვილი. სკოლის გახსნასთან დაკავშირებით ქ.ბათუმში ჩამოსულმა ილია ჭავჭავაძემ სპეციალური თათბირი მოიწვია. სწორედ მისი ძალისხმევით 1881 წლის 23 მარტს გაიხსნა ბათუმში პირველი ქართული სკოლა. სკოლაში ირიცხებოდა 28 მოსწავლე. მათგან 11 აჭარელი იყო. მათ შორის 1 გოგონა, ილიას განმარტებით სწავლების საფასურისაგან განთავისუფლდა ღარიბი ქართველი ქრისტიანი და ნივთიერი მდგომარეობის მიუხედავად - მაჰმადიანი მოსწავლეები.

სკოლის ფუნქციონირებას მაინც პრობლემა ექმნებოდა. აღა-ბეგი მოუწოდებდა ადგილობრივ მოსახლეობას თავი შეეკავებინათ ქართულ სკოლაში შვილების მიყვანისაგან. 1882 წლის ივლისში ბათუმის სკოლა გადაიბარა მოსე ნათაძემ, რომელიც დაინიშნა ამ სკოლის მასწავლებლად. იგი ძალიან ენერგიული მასწავლებელი იყო. მან შეკრიბა ბათუმის მოწინავე მაჰმადიანები და წერილობითი თანხმობა დაადებინა ბავშვებს სკოლაში გაგზავნის თაობაზე.

სკოლის მთავარი ამოცანა კი ქართველ მაჰმადიანთა შვილების მოზიდვა იყო. მუჰაჯირობის პროცესში მაჰმადიან ქართველთა შვილების რაოდენობა სკოლაში მნიმუმამდე შემცირდა. პირველ სკოლას განსაკუთრებულ მეურვეობას უწევდნენ იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე.

მოსე ნათაძის გარდაცვალების შემდეგ ბათუმის სკოლის მასწავლებლად დაინიშნა მიხაკო შარაშიძე, იგი მოსახლეობაში ავრცელებდა ქართულ წიგნებს, ატარებდა საუბრებს, მოუთხრობდა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის ქართულ სკოლაში მაჰმადიანი ქართველების ნაკლებობა იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას, გადაწყდა მეორე ქართული სკოლის გახსნა უკვე ქობულეთში. განსაკუთრებით აქტიურობდა სოფელ მაკვანეთის კერძო სკოლის მასწავლებელი კონსტანტინე გვარამაძე, აქტიურობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც, მაგრამ მიუხედავად ამდენი მცდელობისა, საქმე წინ არ მიდიოდა, ამიტომ საქმის მოგვარებაში აქტიურად ჩაებნენ ქობულეთის თავკაცები: გულო აღა კაიკაციშვილი და დედე აღა ნიჟარაძე, რომლებმაც შეადგინეს სპეციალური არზა და მიმართეს ქობულეთის მაზრის უფროსს.

გულო აღა კაიკაციშვილს ქობულეთის სკოლის შენობისათვის საკუთარი სახსრებით 500 მანეთად ღირებული მიწის ნაკვეთი შეუძენია. ხუსეინ აბაშიძემ სპეციალური წერილი გაუგზავნა ილია ჭავჭავაძეს 1887 წლის აპრილში, რომელშიც ატყობინებდა,

რომ მოითხოვდნენ ბათუმში სკოლის დატოვებას და ქართული სკოლების სხვა ადგილებში გახსნას.

ხუცუბანში სამკომპლექსიანი დაწყებით სკოლის ორგანიზაცია დაევალა არსენ წითელაძეს, რეჯებ ნიჟარაძის თანხლებით. მან მოიარა ხუცუბანი, შეხვდა ისმაილ კაიკაციშვილს, სოფლის სხვა თავკაცებს და გააცნო სკოლის გახსნის გადაწყვეტილება. ამ წინადადებას ხუცუბნელები დიდი ენთუზმიაზით შეხვდნენ და სასკოლო ნაკვეთის გამოძებნის ინიციატივა იკისრეს. სკოლას მაღალ გორაკზე დაეთმო შესანიშნავი ნაკვეთი... (სურგულაძე. ჟურნალი „ჭოროხი“ N4.1987.)

ქობულეთის სკოლის საძირკველი ჩაიყარა 1894 წლის აგვისტოში. გათვალისწინებული იყო 14 სასკოლო ოთახის მოწყობა. 1895 წლიდან სკოლამ ფუნქციონირება დაიწყო. საჭიროებამ მოითხოვა ბიბლიოთეკის გახსნა. ეს პრობლემა მოაგვარა გულო-აღამ და საკუთარ სახლში წიგნადი ფონდით საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა შექმნა.

ბათუმის ქართულ სკოლაზე ზრუნავდნენ კუთხის მოწინავე წარმომადგენლები: იბრაიმ და ხუსეინ ბეგ აბაშიძეები, ექვთიმე ბერძენიშვილი, ქალაქის თავი ლუკა ასათიანი. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილების თავმჯდომარე გრიგოლ ვოლსკი, ბათუმის საკრებულოს მდივანი ივანე მესხი.

ბათუმის ქართულ სკოლაზე ზრუნვით გამოირჩეოდა საბჭოს ერთ-ერთი მსხვილი მოხელე პეტრე ღლონტი და მისი მეუღლე მაკრინე.

ქართული სკოლის ნორმალურ ფუნქციონირებას ხელს უშლიდა ნორმალური შენობის უქონლობა. იგი დაქირავებულ ბინაში ფუნქციონირებდა, იგი ძალიან ვიწრო იყო და შეუფერებელი სკოლისათვის.

აუცილებელი იყო სკოლისათვის ახალი ადგილის გამონახვა, დიდი დავის შემდეგ გადაწყდა ქართული სკოლის ნაგებობის ასაშენებლად ადგილი გამოიყო კათოლიკური ეკლესიის მახლობლად (დღევანდელი მართლმადიდებელი ტაძარი). დაიწყო თანხის შეგროვება, არჩეულ იქნა შვიდკაციანი კომიტეტი, რომელიც შეუდგა მშენებლობის საქმეს.

1891 წ. ი.ჭავჭავაძის რეკომენდაციით პირველი სკოლის გამგე-მასწავლებლად დაინიშნა მიხაკო შარაშიძე, რომელიც იქ 1897 წლამდე მუშაობდა. იგი ილიამ ასე დამოძღვრა: „დიდი სიფრთხილით და მოხერხებით არის საჭირო მუსლიმანებს შორის მუშაობა. გახსოვდეთ რომ ქართული მუსლიმანები, ჩვენი ძმები, მეტად ნიჭიერი, დინჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია. იხმარე ყოველი ღონე, რომ მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო... დიდი მიღწევა იქნება ჩვენი მხრივ წერა-კითხვასთან ერთად თუ შეაგნებინებთ, რომ ისინი ქართველები არიან, რომლებიც ჩვენგან განირჩევიან მხოლოდ სარწმუნოებით. (კომახიძე. 2011:13).

ქართველთა შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობა წინააღმდეგი არ იყო სკოლაში რუსული ენის სწავლებისა. მეფის რუსეთის შოვინისტი მოხელეები, განსაკუთრებით ოლქის სასკოლო მზრუნველი, იანოვსკი, მოითხოვდნენ სკოლაში რუსული ენის სწავლება პირველი კლასიდან დაწყებულიყო. თუმცა ეს ეწინააღმდეგებოდა შემუშავებულ სასწავლო გეგმას, რომელიც ჯერ კიდევ 1828 წელს იქნა მიღებული.

1881 წლის 13 იანვარს იანოვსკიმ შეიმუშავა სწავლების ახალი პროგრამა, რომლის მიხედვითაც სკოლაში რუსული ენის სწავლება მეორე წლიდან უნდა დაწყებულიყო. ამ გეგმის მიხედვით მთავარი ადგილი მაინც ქართულ ენას ეთმობოდა.

ბათუმის ქართული სკოლის პირველი მასწავლებელი ალ.ნანეიშვილი მესამე განყოფილებაშიც კი არ ასწავლიდა რუსულს. მასვე ემხრობოდა მეორე მასწავლებელი მოსე წითელაძეც.

თავდაპირველად ბათუმის ქართული სკოლა გათვლილი იყო 60 მოსწავლეზე. 1901 წლისათვის ეს რიცხვი 176-მდე გაიზარდა.

1893 წლის მარტში ხმოსანთა სათათბიროში დაისვა საკითხი ქალაქში ვაჟთა გიმნაზიის გახსნაზე. 1895 წელს ამ საკითხის მოგვარება ითავა ლუკა ასათიანმა. მან მოლაპარაკება გამართა იანოვსკისთან, თუმცა უშედეგოდ.

1897 წ. 14 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა ვაჟთა გიმნაზია (დღეს მასში შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტია). გრძელდებოდა მუშაობა ქალთა გიმნაზიის დასაარსებლად. 1900 წელს ქალთა გიმნაზიაც გაიხსნა (დღეს მასში დავით აღმაშენებლის სახელობის N2 საშუალო სკოლაა.)(სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008:535).

ნაყოფიერად მუშაობდა ვაჟთა გიმნაზია. მისი პირველი დირექტორი იყო ა.სტოიანოვი, რომელსაც მამული ციხისძირში ქონდა და საცხოვრებელი სახლიც.

1904 წელს იყო პირველი გამოშვება. გიმნაზია დაამთავრა 26 მოსწავლემ, მათ შორის 13 ქართველი, 7 რუსი, 2 სომეხი, 1 ებრაელი, 2 პოლონელი და ერთი ბერძენი.

ქალთა გიმნაზია კი გაიხსნა 1900 წლის სექტემბერში. დირექტორად დაინიშნა ნ.ტიბლენი. 1902 წელს კი მის ნაცვლად დაინიშნა ლ.სახაროვა. სასწავლებელში 140 მოსწავლე ჩაირიცხა. პირველი გამოშვება 1904 წელს დაამთავრა 27-მა გოგონამ.

1898 წლისათვის ლუკა ასათიანის ძალისხმევით ბათუმში გაიხსნა ქალთა დაწყებითი სასწავლებელი. რომელიც გათვლილი იყო 60 მოსწავლეზე. გამგედ დაინიშნა დ.კეჟერაძე. პირველი გამოშვება მოეწყო 1900 წელს.სასწავლებელი დაამთავრა 10 მოსწავლემ. სწავლების ხანგრძლივობა იყო 3 წელი. სკოლაში ღებულობდნენ 7-13 წლამდე ასაკის გოგონებს.

1899 წლის სექტემბერში ლუკა ასათიანის მონდომებით ბათუმში გაიხსნა მეორე დაწყებითი, ამჯერად ვაჟთა სკოლა, რომელიც პუშკინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით პოეტის სახელი ეწოდა. მასში 55 მოსწავლე სწავლობდა, მასწავლებელი იყო ვ.მგელაძე.

მოწინავე ინტელიგენციის თაოსნობით და ხალხის მოთხოვნით სკოლები გაიხსნა 1885 წელს სოფ. ახალშენში, 1886 წელს აჭყვაში, 1890 წელს დაგვაში, 1892 წელს ხულოში, 1900-1905 წლებში-ორთაბათუმში, აჭში, ქედასა და კვირიკეში. 1908 წელს ყოროლისთავსა და ბარცხანაში, 1910 წელს ჩაქვში. 1913 წელს-მახუნცეთში, 1914 წელს-ქაქუთსა და ალამბარში. 1916 წელს ბობოყვათში. 1914 წელს-წყავროკასა და ანგისაში. 1920 წელს-აჭარისწყალსა და ერგეში.

ამრიგად, მე-19 საუკუნის ბოლოს აჭარაში ფართოდ გაიშალა მუშაობა განათლების განვითარებისათვის, რასაც მოყვა სკოლების ქსელების განვითარება. მთელი საქართველო ფეხზე დადგა, რომ აჭარას დახმარებოდა. განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განათლების დარგში. ქართველი ინტელიგენცია და აჭარის მამულიშვილები ერთად დაირაზმენ აჭარის გადასარჩენად. დიდი პატრიოტული მოძრაობა იყო ნიმუში იმისა, თუ როგორ ზრუნავდა მთელი საქართველო ახლად შემოერთებული ძმების მომავალზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კომახიძე თ., „აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი“ წიგნი 2. ბათ. 2011წ.
2. ჭავჭავაძე ი., თხზ. ტ.5. თბ. 1955 წ.
3. გაზ. „დროება“ თბ. 1878 წ. N29
4. შარაძე გ., მემედ აბაშიძე. თხზულებები. თბ. 1998 წ.
5. ჟურნალი „განათლება“ 1991 წ. N3
6. ჟურნალი „ჭოროხი“ N4 1987 წ.
7. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა. 2008 წ. N3

იზოლდა აბაიშვილი



გიორგი მაზნიაშვილი - პატრიოტი ქართველი ოფიცერი

საქართველოს ღირსეული შვილი, ნიჭიერი და სახელგანთქმული გენერალი გიორგი მაზნაიშვილი დაიბადა კასპის რაიონის სოფელ სასირეთში, აზნაურის ოჯახში. მისი სამხედრო მოღვაწეობის შესახებ მცირე მასალები მოიპოვება. ცნობილია, რომ იგი მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში, შემდეგ პირველ მსოფლიო ომში და რიგითი ჯარისკაცობიდან თავისი ცოდნით, მოხერხებითა და სიმამაცით გენერლობამდე მიაღწია. პირველ მსოფლიო ომში ვარშავასთან ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა და პეტერბურგის ლაზარეთში მოათავსეს. მაზნიაშვილს ისეთი გმირობა ჰქონდა გამოჩენილი ბრძოლებში, რომ იმპერატორმა ნიკოლოზ II და მისმა მეუღლემ ლაზარეთში ინახულეს, მოწყალების დებად თავისი ორი ქალიშვილი დაუნიშნეს და გამოჯამრთელების შემდეგ მას საიმპერატორო ზეიმიც გაუმართეს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ისევე, როგორც სხვა ქართველი სამხედროები მაზნიაშვილი სამშობლოში დაბრუნდა. მას უკვე 30 წლიანი სამხედრო სამსახურის გამოცდილება ჰქონდა, როგორც საქართველოს დიდმა პატრიოტმა მან ახალგაზრდა დემოკრატიული საქართველოს მთავრობას მიმართა თხოვნით, რათა გამოეყენებინათ მისი გამოცდილება ქართული არმიის ჩამოყალიბებაში.

გ.მაზნიაშვილი არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა. საქართველოში კი პარტიულობას დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ყველა პარტია: სოციალ-დემოკრატები, ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და სხვები ქმნიდნენ თავიანთ რაზმებს და ის ხალხი, რომელიც სახელმწიფოს უნდა გამოეყენებინა ნამდვილი ეროვნული ჯარისთვის იქსაქსებოდა, ითქვიფებოდა პარტიულ ორგანიზაციებში და ამიტომ რთულდებოდა ეროვნული არმიის შექმნა.

გ.მაზნიაშვილმა თხოვნით მიმართა ქართველ ინტელიგენციას, პატრიოტ სამხედროებს და მოახერხა ჯარში გაეწვია 16-20 წლამდე ასაკის ახალგაზრდობა და სწორედ ამ ახალგაზრდებმა ჩაუყარეს საფუძველი ქართულ ახალგაზრდულ დივიზიას.

შემდეგ მან მიმართა თხოვნით ქაქუცა ჩოლოყაშვილს და ხევსურეთიდან ჩამოაყვანინა 400-მდე ხევსური, სათავეში ჩაუყენა გამოცდილი ოფიცრები და ისინი ქვეყნის სამხედრო სამსახურში ჩააყენეს.

საქართველოში მძიმე მდგომარეობა იყო იმ მხრივ, რომ რუსი ბოლშევიკები ქართველი ბოლშევიკების მონაწილეობით განაგრძნობდნენ საქართველოს რკალში მოქცევას. რუსები ჩრდილო-დასავლეთიდან, აფხაზები - ჩრდილოეთიდან დაღესტნელებისა და ოსების, აღმოსავლეთიდან მუსავატი აზერბაიჯანელების და სამხრეთიდან დაშნაკი სომხების გამოყენებით უტევდნენ საქართველოს. სამხრეთ-დასავლეთიდან ბრესტის ზავით ხელგახსნილი ოსმალები ცდილობდნენ საქართველოს ტერიტორიის მიტაცებას.

ნოე ჟორდანიამ გ.მაზნიაშვილი დაუსწრებლად დანიშნა შავი ზღვის სანაპიროს ჯარების უფროსად და აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად. ამავე დროს გადაეცა მასვე ბრძანება, ბრძოლები ეწარმოებინა სადგურ ჩაქვიდან. 31 მარტს მან შეიტყო, რომ ბათუმი უკვე ოსმალების ხელში იყო. იქ დაბანაკებულმა მე-4 ქართულმა ლეგიონმა მიატოვა თავისი პოზიციები და ოზურგეთისკენ დაიძრა. ოსმალები მათ ფეხდაფეხ მისდევდნენ და მალე ოზურგეთიც დაიკავეს. გ.მაზნიაშვილი დაჩქარებულად შეუდგა რაზმის შედგენას. მისი მთავარი იმედი იყო ნატანებ-ჩაქვის რკინიგზის ხაზზე მოქმედი ჯავშნოსანი მატარებელი ვალოდია გოგუაძის მეთაურობით. გ.მაზნიაშვილის განკარგულებაში იყო ფედერალისტების ერთი რაზმი 90 შეიარაღებული კაცისა და 4 ტყვიამფრქვევისაგან შემდგარი. მალე მას შეემატა შორაპნის რაზმი 84 კაცი 6 ზარბაზნითა და 4 ოფიცრით.

გ.მაზნიაშვილმა სუფსის სადგურის უკან, ეკლესიის ეზოში თავმოყრილ ადგილობრივ მოსახლეობას სიტყვით მიმართა: „მამებო, ძმებო, შვილებო! უჭირს სამშობლოს, გვართმევენ ბათუმს, მთელ სამხრეთ საქართველოს, ჩვენს ოზურგეთს! ჩვენს ჯარს და გვარდიას დახმარება სჭირდება. თოფ-იარაღი და ტყვია-წამალი ჯარისთვის არ გვყოფნის, პურსაც კი ვერ მოგცემთ... ისევ თქვენი მჭადით, ცულითა და ნაჯახით უნდა დავხდეთ მტერს და ვსძლიოთ, თორემ რომ გვაჯობოს, ხორცით სულამდე გაგვცლის, რჯულს წაგვიბილწავს... ქუდზე კაცი უნდა გამოხვიდეთ...“

აღელვებულმა მოსახლეობამ გენერალს დახმარება აღუთქვა ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო. მოხუცებმა და ბავშვებმა ბილიკებით გაყვანა იკისრეს მდინარე ნატანებისა და ჩოლოქს შორის ჭაობებში.

2 აპრილს მაზნიაშვილი ჯავშნოსანი მატარებლით დაიძრა ქობულეთისაკენ. მდინარე ჩოლოქის იქით რკინიგზის ლიანდაგი აყრილი დახვდათ და მატარებელი მიწაყრილს შეეჯახა, მატარებელი გადაბრუნდა, სადაც მაზნიაშვილი და გოგუაძე იყვნენ. ჯარისკაცები ვაგონებიდან გადმოხტნენ, მაგრამ მაზნიაშვილი ცალხელა იყო, გოგუაძე კი დაკოჭლებული მძიმე ჭრილობის გამო, ამიტომ ძლივს გადმოიყვანეს ორთქმავლიდან, ძლივს გადაარჩინეს ორთქმავალიც.

ოსმალებთან პირველი შეტაკება ოჩხამურთან ახლოს მოხდა. ბრძოლები გრძელდებოდა გურიაში ნასაკირალთან, ოზურგეთთან, ქართველებმა ყველგან იმარჯვეს. საქართველოს მთავრობამ დროებითი ზავი დადო ოსმალებთან და საომარი მოქმედებები შეწყდა. ივნისის შუახანებამდე ქართველებმა დაიბრუნეს აოხრებული ოზურგეთი-ლიხაურის, ნატანების, ოჩხამურის მიდამოები.

საქართველოს სამხედრო მინისტრის 19 ივნისის ბრძანებით გ.მაზნიაშვილი უკვე სოხუმშია, სადაც მან შექმნა „აფხაზეთის ტერიტორიული ჯარი“. 27 ივნისს შეტევაზე

გადავიდა ოსმალების წინააღმდეგ და ცეცხლითა და მახვილით გაათავისუფლა გაგრა, სოჭი და ტაუფსე. სადაც დიდი გაჭირვება იყო, ყველგან მაზნიაშვილს გზავნიდნენ.

1918 წლის 18 ოქტომბრიდან ბორჩალოს სომხების აჯანყების გამო მაზნიაშვილი დაინიშნა თბილისისა და მისი მიდამოების გენერალ-გუბერნატორად. ამ დროს მან მოახერხა სახალხო მილიციის რეორგანიზაცია და აქტიურად ჩააბა იგი საქართველოს ტერიტორიის და ქონების დაცვის საქმეში. იმავე წლის დეკემბერში მას სომხეთის წინააღმდეგ მოქმედი ჯარის სარდლად ნიშნავენ, სადაც ისევ წარმატებას მიაღწია. 1919 წ. 10 იანვარს მას ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად ნიშნავენ. აქაც ენერგიულად შეუდგა იგი ქართული ჯარის რეგულირებას. მაგრამ დენიკინის ჯარების თავდასხმის გამო დროებით დაატოვებინეს ახალციხე და იგი კვლავ აფხაზეთში იბრძვის დენიკინის ჯარების წინააღმდეგ.

1920 წლიდან გ.მაზნიაშვილი თბილისისა და მისი რაიონის გარნიზონის უფროსია.

1921 წლის თებერვალი - ბოლშევიკური მე-11 არმია თბილისს უტევს აზერბაიჯანიდან. გ.მაზნიაშვილი სოღანლუღის ჯარების სარდალია. ქართულ ჯარში ისევ არეულობაა, ყველა პარტიულობის მიხედვით მოქმედებს... ამით ისარგებლა წითელმა არმიამ და ადვილად მოახერხა ქართული ლაშქრის დამარცხება ტაბახმელასთან, ბრძოლები წაგებულია. ჯარების უკან დახევა და მთავრობის გაყვანა თბილისიდან გ.მაზნიაშვილს დაეკისრა. მან დავალების შესრულება უსისხლოდ მოახერხა. ქართულ ჯარს ბრძოლა მხოლოდ საჯავახოსთან მოუხდა.

ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელი ქიაზიმ-ბეი ტკბილი სიტყვებით არწმუნებდა საქართველოს მთავრობას, რომ ოსმალეთის ერთადერთი სურვილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობა და ამიტომ ოსმალეთის რაზმებს დაუთმეს ახალციხის მაზრის ნაწილი, მთელი არდაგანისა და ართვინის ოლქები. ქიაზიმ-ბეის ნება დართეს ესარგებლა ქართული სამხედრო შტაბის სააპარატოთი. მათ დაწვრილებით იცოდნენ თუ რა მდგომარეობაში იყო საქართველო.

საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას თვალები მხოლოდ 1921 წ. 17 მარტს აეხილათ, როდესაც კარგად დაინახეს თუ როგორ იკავებდნენ ოსმალები ბათუმის ოლქს, მაგრამ უკვე გვიანი იყო. საქართველოს მთავრობა ახლა მხოლოდ შველაზე ფიქრობდა, რადგან მე-11 წითელი არმიის ერთი ნაწილი ქობულეთიდან მოდიოდა, მეორე კი გოდერძის უღელტეხილიდან.

ნოე ჟორდანიამ საზღვარგარეთ წასვლის წინ ბოლშევიკებთან ხელშეკრულება დადო, რომ ციხეებიდან გამოუშვებდნენ კომუნისტ პოლიტპატიმრებს. ციხიდან გამოყვანილი სერგო ქავთარაძე ვაგონში მიიღო და უთხრა:“ჩვენ მივდივართ, ვერ შევძელით საქართველოს მოვლა, ახლა თქვენს ხელში ვტოვებთ მას, მოუარეთ, ხალხი არ გააფუჭოთ, მიწის დაბრუნება შემდეგშიც შეიძლებაო...“

გ.მაზნიაშვილი ამ დროს ლანჩხუთში რკინიგზის სადგურში იმყოფებოდა. აქედან ტელეფონით დაუკავშირდა ბათუმში პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილს, რომელიც ატყობინებს, რომ ბათუმში ქაოსია, ყველამ თავგზა დაკარგა. არავინ იცის, ვინ მიდის საზღვარგარეთ და ვინ რჩებაო. საღამოს 8 საათზე გ.მაზნიაშვილი პარტიზანული რაზმის 50 კაციანი შემადგენლობით და 2 ტყვიამფრქვევით ბათუმისაკენ დაიძრა ჯავშნოსანით. ღამის 1 საათზე ის უკვე ბათუმში საბარგო სადგურში იყო. აქ იგი შეხვდა ციხიდან გათავისუფლებულ კომუნისტებს, რომლებსაც უკვე შეექმნათ რევოლუციური კომიტეტი სერგო ქავთარაძის ხელმძღვანელობით.

რევკომის წევრმა თენგიზ ჟღენტმა გ.მაზნიაშვილს ქალაქში შექმნილი სიტუაცია გააცნო, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გემებით საზღვარგარეთ წავიდა, რომ ქიაზიმ-ბეის ხელშია ბათუმი თავისი ოლქით და თავის თავს ქალაქის გენერალ-გუბერნატორად აცხადებს. „ჩვენ არა გვყავს ძალები, რომ გავუმკლავდეთ ოსმალებს, ქალაქში უამრავი ჯარისკაცი და ოფიცერია, ამიტომ გთხოვთ თქვენ უხელმძღვანელოთ მათ და დაგვეხმაროთ ბათუმის განთავისუფლებაშიო“.

გენერალს მძიმე არჩევანი ელოდა. იმ დროისათვის უკვე ცნობილი იყო, რომ მან უარი განაცხადა საზღვარგარეთ წასვლაზე:“თუ ბრძანება არ მექნება, ფრონტს ვერ დავტოვებო“. ცხადია ისეთი კაცი და თანაც სამხედრო, როგორიც გენერალი მაზნიაშვილი იყო, ფრონტს მთავარსარდლის ბრძანების გარეშე ვერ დატოვებდა, მაგრამ ბოლშევიკური რევკომისაგან შეთავაზებული წინადადებაც მოულოდნელი და უცნაური იყო, რადგან გუშინ იარაღით ხელში კი ბოლშევიკებს ებრძოდა. - „რევკომს უკვე ჰქონდა ბჭობა ბათუმიდან ოსმალების განდევნის შესახებ, დაედგინათ ეს საქმე დაეკისრებინათ ჩემთვის ე.ი. მეკისრა ქართული ჯარების სარდლობა. მე ვიფიქრე: ცხადი იყო, ოსმალები თუ გამაგრდებოდნენ ბათუმში, შემდეგში ბათუმის უკან დასაბრუნებლად ჩვენ დაგვჭირდებოდა დიდი ომი, რასაც პატარა საქართველო ვეღარ შეძლებდა“ - იგონებს გ.მაზნიაშვილი (მაზნიაშვილი, 1927.)

ოთახში შეკრებილნი სულგანაბული ელოდნენ გენერლის გადაწყვეტილებას. მაზნიაშვილმა ჯერ იქ დამსწრე ქართველ გენერლებსა და ოფიცრებს გადახედა, შემდეგ რევკომის წევრებს და ცოტა დაყოვნების შემდეგ თქვა: - ქართველი ოფიცრები წარსულში არ ეკედლებოდნენ პოლიტიკურ პარტიებს და არ ერეოდნენ მათ შორის ატეხილ უთანხმოებებში. ისინი ემსახურებოდნენ მხოლოდ სამშობლოს ინტერესებს და თუ საქართველოს ხელისუფლება ბოროტებად არ ჩაგვითვლის სამშობლოსადმი სამსახურს მენშევიკების ბატონობის პერიოდში და მოგვცემს გარანტიას, რომ არცერთი ჯარისკაცი, გენერლიდან მოყოლებული უბრალო მეომრამდე უწინდელი სამსახურისთვის არ იქნება დასჯილი. მე მზად ვარ განვაგრძო სამხედრო სამსახური და დღეიდანვე შევუდგები სამხედრო მოქმედებას ოსმალების წინააღმდეგო.

თენგიზ ჟღენტმა რევკომის სახელით უპასუხა, რომ არც ერთი ჯარისკაცი მენშევიკებთან სამსახურისთვის არავითარ სასჯელს არ მიიღებს, და რომ ამის შესახებ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უკვე გამოსცა მანიფესტი (ჟურნალი „დროშა“ 1990 წ. N2). ბათუმის რევკომმა ოფიციალური ბრძანებით გააფორმა გ.მაზნიაშვილის უფლებები. მის განკარგფულებაში გადასცა ტელეგრაფი და ტელეფონი. ასეთ პირობას ოფიციალურად ადასტურებს ს.ქავთარაძეც. გ.მაზნიაშვილი თხოულობს ცალკე ოთახს, ქაღალდებს და საწერ-კალამს, აგრეთვე კონიაკს. მას უსრულებენ ყველა პირობას. მთელი ღამე მაზნიაშვილი რამდენიმე ოფიცერთან ერთად ადგენს ბრძოლის სტრატეგიულ გეგმას. თურმე კონიაკიც იმიტომ მოითხოვა, რომ მუშაობისას სიმხნევე შეენარჩუნებინა (ჟურნალი „მნათობი“ 1957 წ.) გათენებისას, ამჟამად უკვე წითელი არმიის სარდალმა გ.მაზნიაშვილმა ულტიმატუმი გაუგზავნა ქიაზიმ-ბეის და ერთი საათის განმავლობაში ჯარების ბათუმიდან გაყვანა მოსთხოვა.

ქაზიმ-ბეიმ ულტიმატუმი უპასუხოდ დატოვა. მაშინ გ.მაზნიაშვილმა საბრძოლო მოქმედება დაიწყო. ბრძოლები გაიმართა ბარცხანის რაიონში და ქალაქის სამხედრო ყაზარმებთან. 18 მარტს შუადღის 4 საათამდე ბრძოლა არ შეწყვეტილა. მტერმა უკან დაიხია, ქართველებმაც პოზიციები დაიკავეს. ამავე დროს ბათუმში ორი მხრიდან შემოვიდა მე-11 წითელი არმიის ნაწილები, რომელთაც ბრძოლებში მონაწილეობა არ

მიუთიათ. იმავე დღეს სერგო ორჯონიკიძემ მიმართა გ.მაზნიაშვილს „კანონგარეშე იყავით გამოცხადებული მენშევიკების გენერალო არ მოგკლავთ, ოღონდ იბრძოლეთ ჩვენთან ერთადო...“(ჟურნალი „ჭოროხი“ 1987 წ. N6). - მე არც მენშევიკებისა და არც თქვენი არა ვარ, მე საქართველოს გენერალი ვარ! ამაყად უპასუხა გ.მაზნიაშვილმა.

გ.მაზნიაშვილი წარუძღვა ჯარს. 20 მარტს ბათუმში ბრძოლები დამთავრდა. თავისუფლების მოედანზე სწორედ ის ქართველი მამულიშვილები არიან დაკრძალული, რომლებიც ბათუმის გათავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში დაიღუპნენ.

ამ მოედანზე, იუნკერთა საფლავის ადგილზე, ყოფილი აზიზიეს მოედანზე, რომელსაც საბჭოთა პერიოდში ლენინის მოედანი ეწოდა, 1990 წელს უკვე დამოუკიდებელი საქართველოს შვილებმა ახლად აღორძინებული ეროვნული მოძრაობის აქტივისტებმა საძიებო სამუშაოები ჩაატარეს. სამშობლოსათვის ბრძოლაში დაღუპულ მეომრებს პატივი მიაგეს, ქრისტიანული ტრადიციებით დაკრძალეს და აქ მოწყობილ სკვერში მიუჩინეს მამულიშვილებს სამუდამო განსასვენებელი. საძიებო გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთები (მეომრის ქამრის ბალთები, ღილები, იარაღის ნარჩენები და სხვა, ლ.გულორდავას შეგროვებიდან) ამჟამად მუზეუმშია გამოფენილი.

ოსმალებისაგან განთავისუფლებული ქართული მიწა გ.მაზნიაშვილმა ბოლშევიკებს ჩააბარა.

1921 წლის 6 სექტემბერს კომუნისტებმა გ.მაზნიაშვილი დააპატიმრეს ყალბი ბრალდებით. იგი ციხეში 2,5 წელიწადს იჯდა. 1929 წელს სამხედრო ტრიბუნალმა სხვა ქართველ ოფიცრებთან ერთად მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

მაზნიაშვილმა წერილით მიმართა ლენინს, რის შემდეგ სიკვდილით დასჯა 5 წლიანი გადასახლებით შეუცვალეს. მაზნიაშვილმა იმას მიაღწია, რომ სპარსეთში გაესახლებინათ. გამოემშვიდობა ოჯახს და იმ მცირე თანხით რაც მას გააჩნდა ძლივს ჩააღწია თეირანამდე. უსახსროდ დარჩენილი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მიმართა პარიზში ემიგრირებულ ნოე ჟორდანიას მთავრობას დახმარებისთვის. იქედან მას 3200 ფრანკი გამოუგზავნეს გზის ფულად და მაზნიაშვილი პარიზში გაემგზავრა. ემიგრაციაშიც ბევრი უსიამოვნებები ელოდა და ამის გამო უკან დაბრუნდა. 1926 წელს გამოაქვეყნა „მოგონებების“ წიგნი. 1937 წელს იგი დააპატიმრეს და როგორც „ხალხის მტერი“ დახვრიტეს.

გ.მაზნიაშვილის შესახებ მოთხრობილია მწერალ ალ.ქუთათელის რომანში „პირისპირ“ (ტ. II 1967.) ხოლო მისი სახელი კიდევ უფრო პოპულარული გახადა დრამატურგ ვალერიან კანდელაკის პიესამ „დრო, ოცდაოთხი საათი“ ეს პიესა მრავალი თეატრის სცენაზე დაიდგა. მათ შორის არაერთხელ იყო წარმოდგენილი ი.ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის დრამატული თეატრის სცენაზე და დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, (1917-1925) თბ., 1990;
2. ჟურნალი „ჭოროხი“ 1987. N6
3. ჟურნალი „მნათობი“ 1957;
4. გაზ. „ლენინელი“ 1985. N122
5. შარაშიძე ლ., ქავთარაძე - მგზნებარე რევოლუციონერი. ბათუმი, 1972

6. ჟურნალი „დროშა“ N2 1990.
7. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 8, საქმე 522
8. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე 14380

საშა ლეკვეიშვილი

ნუმიზმატიკა და ბონისტიკა

მონეტა ლათინური სიტყვაა და წარმოადგენს სხვადასხვა ლითონისაგან მოჭრილ ფულს, რომელსაც აქვს განსაზღვრული ფორმა, წონა, სინჯი და ღირებულება.

თავდაპირველი მონეტა იყო ქალღმერთ იუნონას ერთ-ერთი ეპითეტი და ნიშნავდა დამრიგებელს. სახელი მომდინარეობს კაპიტოლიუმის ბორცვზე (ქ.რომი) იუნინა - მონეტას ტაძარში მოთავსებული ზარაფხანისაგან, სადაც იჭრებოდა ლითონის ფული. მონეტის სამშობლოდ მიჩნეულია ლიდია. ძვ.წ. VII ს-დან მონეტამ მრგვალი ფორმა მიიღო და მისი სრულფასოვნების გარანტიას სახელმწიფო იძლეოდა. მონეტაზე ადრე მიმოქცევაში იყო ლითონის სხვადასხვა ფორმის ზოდები, რომელთა წონა და სინჯის დადგენა მრავალ უხერხულობას ქმნიდა.

მონეტაზე მოთავსებულ გამოსახულებებსა და ლეგენდებს (ზედწერილებს), რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოს ან კლასის იდეოლოგიას გამოხატავს სამონეტო ტიპი ეწოდება. მისი საშუალებით ადგენენ მონეტის მოჭრის ადგილს, დროსა და ნომინალს. სახელმწიფო სამონეტო ერთეულად იღებს განსაზღვრული რაოდენობის (წონის) ლითონს და მათ განსაკუთრებულ სახელებს აძლევს (მაგ. დრაქმა, სტატერი, დირჰემი, თანგა, ტალერი ფრანკი და სხვ). ლითონს მცირე რაოდენობით უმატებენ სპილენძს სიმტკიცისათვის, რასაც **ლიგატურა** ეწოდება. მონეტის შემადგენლობაში კეთილშობილი ლითონის ნაწილს **სინჯი** (სინჯადობა) ჰქვია.

მონეტას რომლის მყიდველობითი უნარი შეეფარდება მასში შემავალი ლითონის ღირებულებას, სრულფასოვანი ეწოდება. მონეტის მოჭრის მონოპოლიური უფლება (სამონეტო რეგალია) სახელმწიფოს ეკუთვნის. თუ მონეტა იჭრება რაიმე ისტორიული ფაქტის აღსანიშნავად, იგი მემორიალურია (სამახსოვრო), ხოლო თუ მისი ფუნქციაა რომელიმე პრივილეგირებული წრის ან პირის დასაჩუქრება - **დონატიურია.**

მონეტის მოჭრა საქართველოში ძვ.წ. VI ს-დან დაიწყო და სისტემატურად გრძელდებოდა 1834 წ-მდე. ტერმინი „მონეტა“ ძველ ქართულ წყაროებში არ იხსენიება.

მონეტის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურის ისტორიის საკვანძო საკითხების შესასწავლად. ქაღალდის ფულის შემოღებასთან ერთად მონეტის, როგორც გადახდის საშუალების როლი მკვეთრად დაეცა. განძის მნიშვნელობას ინარჩუნებს მხოლოდ ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული მონეტები. XX ს-დან მონეტა ქაღალდის ფულთან შეფარდებით საყოველთაოდ არის ხურდა ფულის ნიშანი პირობთი კურსით. ოქროსა და ვერცხლის მონეტებს იშვიათად უშვებენ და სერიოზული ეკონომიური მნიშვნელობა არა აქვთ. მეტწილად ის მონეტები სამახსოვროა (ან საიუბილეო).

პირველი საბჭოთა მონეტა მოიჭრა 1921 წ. შემდეგ 1961 წელს მოიჭრა ახალი მონეტები. 1965 წელს სსრკ-ში გამოუშვეს მეორე მსოფლიო ომში (1941-1945 წ.) საბჭოთა ხალხის გამარჯვებისადმი მიძღვნილი 1-მანეთიანი სამახსოვრო მონეტები. 1983 წელს-კარლ მარქსის დაბადებიდან 165 წლის აღსანიშნავი 1 მან.ღირებულების საიუბილეო მონეტები. 1967 წელს ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად გამოუშვეს 10, 15, 20 და 50 კაპ. და 1 მან. ღირებულების საიუბილეო მონეტები. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად 1970 წელს მოიჭრა 1-მანეთიანი მონეტები. 1980 წელს მოიჭრა ოლიმპიადისადმი მიძღვნილი სამახსოვრო მონეტები.

1993 წელს მოიჭრა ქართული მონეტა-თეთრი 1, 2, 5, 10, 20. ხოლო 2005 წელს - 50, 1 მანეთიანი და 2 მანეთიანი.

ნუმიზმატიკა - ისტორიული მეცნიერების დამხმარე დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის მონეტებს, მედლებს, ორდენებს. ნუმიზმატიკა როგორც მეცნიერული ტერმინი შუა საუკუნეებიდან იხმარება. თავდაპირველად მასში მონეტების და მედლების შეგროვება იგულისხმებოდა, რასაც საფუძველი ჩაეყარა XIV – XV სს-ში. მონეტების და მედლების შეგროვებამ მალე სახელმწიფოებრივი ხასიათი მიიღო და ევროპის მუზეუმებში შეიქმნა ნუმიზმატიკური კაბინეტები. დაარსდა 5 დიდი ნუმიზმატიკური ცენტრი: ლონდონში, პარიზში, ვენაში, ბერლინსა და პეტერბურგში. ნუმიზმატიკის მეცნიერების ფუძემდებელია ავსტრიელი ნუმიზმატი ი.ეკელი (1737-1798) XIX ს-ში ნუმიზმატიკის კურსი იკითხებოდა დასავლეთ ევროპასა და რუსეთის უნივერსიტეტებში.

ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ფუძემდებელია მ.ბარათაშვილი, რომელმაც 1844 წელს პეტერბურგში რუსულ და ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა შრომა: "საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ფაქტები". XIX ს-ის ქართული ნუმიზმატიკის საკითხებზე მუშაობდნენ: მ.ბროსე, ი.ბართოლომეი, ვ.ლანგლუა. ქართული მონეტების შესწავლაში ახალი ეტაპი იყო ე.პახომოვის მონოგრაფია „საქართველოს მონეტები" (ნაწ. 1. სპბ, 1910, ნაწ. 1 და 2, თბ. 1970). 1925 წელს ივ.ჯავახიშვილმა გამოსცა „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, ანუ ნუმიზმატიკა- მეტროლოგია". 1924 წელს ი.ჯავახიშვილის ინიციატივით თსუ-ში დაარსდა ნუმიზმატიკის კაბინეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა თ.ლომოური. საქართველოში არსებულმა ყველა ნუმიზმატიკურმა კოლექციამ (თსუ-ს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, კავკასიის მუზეუმისა) თავი მოიყარა ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, რითაც საფუძველი ჩაეყარა ერთ-ერთ უმდიდრეს საცავს.

ნუმიზმატიკური ფონდების სისტემატურ შევსებაში აღსანიშნავია დ.კაპანაძის მოღვაწეობა, რომელმაც ცალკე გამოყო საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტებისა და განძების ფონდი. მასვე ეკუთვნის სახელმძღვანელო „ქართული ნუმიზმატიკა" (თბ., 1950, 1955, 1969) საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტების კვლევა-ძიებაში დიდი წვლილი მიუძღვით თ.ლომოურს, ს.მაკალათიას, ა.ზოგრაფს, კ.გოლენკის. ინგლისელმა მეცნიერმა ლ.ლენგმა 1955 წელს ნიუ-იორკში გამოაქვეყნა განმაზოგადებული მონოგრაფია ქართული ნუმიზმატიკის შესახებ.

ნუმიზმატიკის ცალკეულ დარგებში მუშაობდნენ ქართველი მეცნიერები: თ.აბრამიშვილი, გ.დუნდუა, ი.ჯალაღანია, რ.ქებულაძე და სხვა.

კოლხეთის სამეფო სამონეტო საქმის ერთ-ერთი უძველესი კერაა. აქ ძვ.წ. VI საუკუნეში იწყება ფულის მიმოქცევა და ვერცხლის მონეტების მოჭრა. ეს უძველესი მონეტები „კოლხური თეთრის" სახელით არის ცნობილი. კოლხური ფული დამზადებულია მაღალ მხატვრულ დონეზე, რითაც ტოლს არ უდებს იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს მოწინავე ქვეყნების ნუმიზმატიკურ ძეგლებს და სტილისტურად ემსგავსება მათ.

ცნობილი არ არის სად იჭრებოდა კოლხური თეთრი, მაგრამ გარკვეულია ის, რომ ეს ფულადი ნიშნები კოლხეთისათვის იჭრებოდა და ძირითადად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყენებოდა.

კოლხური თეთრის მსხვილი ნომინალები ძალიან იშვიათ მონეტათა რიცხვს განეკუთვნება. მხოლოდ ტრიობოლების მცირერიცხოვან ჯგუფზე არის მოთავსებული ბერძნული ასო-ნიშნები, რომელთა დანიშნულება გაურკვეველია.

კოლხური ფულის მიმოქცევა გაგრძელდა აქემენიდთა იმპერიის დაცემამდე და ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შედეგად ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების დამკვიდრებამდე.

კოლხური თეთრის ემისია შეწყდა, იგი თანდათანობით გაქრა მიმოქცევიდან. მისი ადგილი დაიკავა ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს (თრაკიის მეფე ძვ.წ. 308-282 წწ) სახელით მოჭრილმა ოქროს ფულმა.

მონეტის შუბლზე გამოსახულია ალექსანდრე მაკედონელის პროფილი, ზურგზე - ქალღმერთი ათენა. წონა -8,45 გრ. კოლხეთის ტერიტორიაზე მოჭრილ მინაბაძთა შორის ყველაზე ადრეულია კოლხეთის უცნობი მმართველის - ბასილევს აკის სახელით მოჭრილი ოქროს მონეტა, რომელიც არ ჩამოუვარდებოდა ლისიმაქეს სტატერს დამზადების ტექნიკით. ასეთი მონეტა სულ ორი ცალია ცნობილი. ორივე ძველი კოლხეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ტრაპიზონის მიდამოებში ნაპოვნი აკეს სტატერი დაცულია პარიზის მედლების კაბინეტში, ხოლო ხონის რაიონის სოფ. კინჩხაში ნაპოვნი მონეტა-საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია.

იბერიაში, ქართლის სამეფოში, კოლხეთისაგან განსხვავებით, სამონეტო მიმოქცევა ძვ.წ. II საუკუნემდე შედარებით სუსტად იყო განვითარებული. იბერიის სამეფოში საკუთარი მონეტა არ მოჭრილა. ძვ.წ. I და ახ.წ. III საუკუნეებში ფულადი მიმოქცევის საფუძველი რომაული და პართული ფული იყო. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აგრეთვე ბერძნულ-რომაული მონეტების მინაბაძები. იბერიაში ასევე მიმოიქცეოდა რომაული ოქროს ფული-აურეუსები, რომლებიც მსხვილი სავაჭრო გარიგებების დროს ანგარიშსწორების ძირითადი საშუალება იყო.

VI საუკუნეში დასავლეთი საქართველო მოექცა ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშ, აღმოსავლეთი საქართველო კი სასანიდების ირანს დარჩა. სასანიდები ცდილობდნენ ქართველთა სრულ დამორჩილებას. მათ 523 წელს ქართლში მეფობა გააუქმეს. VI საუკუნის II ნახევარში ბიზანტიასთან წარმოებული ომებისა და შინაარეულობის შედეგად, ირანის ბატონობა ქართლში შესუსტდა. ქვეყნის ცენტრალიზაციის მიზნით დაარსდა ერისმთავრობა. ქართლის ერისთავებმა ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობა საკუთარი ფულის - „ქართული სასანური“ ვერცხლის მონეტების მოჭრით დააგვირგვინეს. ნაპოვნია ოცდაათიოდე ცალი. მასა 2,5-3,5 გრამს შორის მერყეობს.

დრაქმები სასანიანთა ირანის მმსრთველობის ჰორმიზდ IV-ის (579-590) და ხოსრო II-ის (590-628) მონეტების იმიტაციაა.

ქართულ-სასანურ მონეტებში გამოიყოფა სამი ფგუფი:

1. ანონიმური მონეტები, რომელთა გვერდით შუბლზე სასანიანთა მმართველის ბიუსტის გვერდით ან ზურგზე წმინდა ცეცხლის ნაცვლად გამოხატულია - ჯვარი.

2. მონეტები, რომელთა შუბლზე ქართლის ერისმთავართა სახელები დაქარაგმულია ქართული ასომთავრულით ან ამ ასოების ლიგატურით, მაგრამ ზურგზე (რევერსზე) მაინც შენარჩუნებულია ცეცხლთაყვანისმცემელთა ემბლემა. ამ ჯგუფის დრაქმებზე ამოკვეთილია ორი ქართული ასო (გნ) ე.ი. გურგენი.

3. მონეტები, რომელთა შუბლზეც (ავერსზე) ვრცელი ქარაგმით ან სრულად წერია ერისმთავრის - სტეფანოზის სახელი, ხოლო ზურგზე წმინდა ცეცხლის ნაცვლად საკურთხეველზე ჯვარია გამოსახული.

სავარაუდოა, რომ დრაქმა, რომელზედაც სტეფანოზის სახელი სრულადაა მოცემული, მოიჭრა მას შემდეგ, რაც ქართლმა დამოუკიდებლობა მოიპოვა.

დირჰემი (დირჰამი) ძველი არაბული ვერცხლის მონეტაა. ტერმინი მომდინარეობს ბერძნულიდან. იჭრებოდა 698-699 წლებში. დირჰემის შუბლზე ქუფური შრიფტით წარწერილი იყო რელიგიური ფორმულა და ცნობები ზარაფხანისა და მოჭრის დროის შესახებ. რევერსზე-ყურანის სურები. ამგვარი დირჰემი იჭრებოდა არაბთა სახელმწიფოს ყველა ზარაფხანაში-ჰიჯრის 85 (704-705 წწ).

დირჰამი თბილისის ზარაფხანაშიც მოიჭრა. VIII საუკუნიდან არაბულმა (ქუფურმა) დირჰამმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო სისტემაში (იგი მრავლადაა აღმოჩენილი გათხრების შედეგად). ძველ ქართულ მწერლობაში ვერცხლის ფულის, მათ შორის არაბული დირჰემის აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინი - დრამა.

X საუკუნეში არაბთა წინააღმდეგ ბრძოლით დაუძლურებული ქართული სამთავროებიდან განსაკუთრებით გაძლიერდა ტაო-კლარჯეთი, იგივე „ქართველთა სამეფო“, რომლის სამხრეთი საზღვარი მდ.არაქსის ზემო წელამდე აღწევდა.

ტაო-კლარჯეთი განსაკუთრებით გაძლიერდა დავით III (978-1001) კურაპალატის მმართველობისას. სწორედ დავითმა ჩაუყარა საფუძველი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს. ქვეყნის ეროვნული აღორძინება საქართველოს სამონეტო საქმეშიც აისახა. დავით III კურაპალატმა მოჭრა არაბული ტიპის მონეტებისაგან სრულიად განსხვავებული ვერცხლის ფული. მისმა მონეტებმა ჩვენამდე 4 ცალამდე მოაღწია. ისინი აღმოჩენილია: გერმანიაში, სანკტ-პეტერბურგის ოლქში, ესტონეთსა და შვედეთში. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ დავითის მონეტები ბიზანტიურ მონეტებთან ერთად, ჩართული იყო საერთაშორისო ფულად მიმოქცევაში.

ბიზანტიურ ტიტულიანი მონეტების მოჭრა გააგრძელა ბაგრატ IV -მ (1027-1072). 1050-1060 წლებში მოჭრილ მონეტებზე ის ნოველსიმოსის, ხოლო 1060-1072 წლებში სევასტოსის ტიტულით მოიხსენიება.

1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა მეფე დავით IV-აღმაშენებელი. მან გააგრძელა ბიზანტიურ ტიტულიანი ქართული მონეტების 2 ტიპის მოჭრა: პირველ ტიპზე მოთავსებულია წარწერა: „ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე და სევასტოსი“ მოგვიანებით, როცა მეფემ აიღო ლორე და გააუქმა ტაშირის სამეფო, სპილენძის მონეტა მოჭრა, რომლის ავერსზე გამოსახულია მეფე საიმპერატორო ინსიგნიებით, ხოლო რევერსზე წარწერა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“. ეს მონეტა უნიკალურია და ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული.

იმ დროისათვის საქართველო წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერესი სუვერენული სახელმწიფო იყო.

XIII საუკუნის დასაწყისი საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის ოქროს ხანაა. ამ პერიოდს ემთხვევა ის დიდი გლობალური ეკონომიკური მოვლენა, რომელიც „ვერცხლის კრიზისის“ სახელით არის ცნობილი. მისი თავისებურება ისაა, რომ ვერცხლის ფული ამოვიდა მიმოქცევიდან და მისი ადგილი სპილენძმა დაიკავა. სპილენძის ფული ვერცხლის ფულად გამოცხადდა, ე.ი. საკრედიტო მონეტად. საქართველოში მოჭრილ სპილენძის ფულზე, ქართული ზედწერილების გვერდით,

გვხვდება არაბული წარწერა, რაც ეკონომიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი. ამით ქართულ ფულს გზა ეხსნებოდა მახლობელი აღმოსავლეთის ბაზრისაკენ.

გიორგი III-ის (1156-1184) მონეტაზე პირველად, ქართული სამონეტო საქმის ისტორიაში, თავსდება მხედრული დამწერლობა და ჩნდება თარიღი ქართული ქორონიკონით.

1184 წელს გარდაიცვალა გიორგი III და მთელი ძალაუფლება თამარის ხელში გადავიდა. ამიერიდან თამარი მოიხსენიება საქართველოს მეფეთ-მეფისა და დედოფლის ტიტულით. პირველ მონეტას თამარი 1187 წელს ჭრის - ავერსზე განთავსებულია თამარის ხელრთვა (ფაქსიმილე) და ასომთავრული წარწერა. სპილენძის მონეტას აწერია: „იქნა ჭედაი ვერცხლისაო“. ეს არის კლასიკური მაგალითი ფულის იძულებითი კურსის დანერგვისა შუა საუკუნეების საქართველოში „ვერცხლის კრიზისის“ დროს.

ლაშა გიორგი აგრძელებს შემთხვევითი ფორმისა და ზომა-წონის ფულის ნიშნების-მონეტების „არაწესიერად“ მოჭრას. 1210 წელს მოჭრილ მონეტაზე „გიორგი ძე თამარისი“ უკვე „მეფეთ-მეფეა“ და „მესიის მახვილის“ ტიტულს ატარებს. იშვიათობას წარმოადგენს ე.წ. „ფიგურული ცალები“, ე.ი. მონეტები, რომელსაც მოჭრამდე განსაკუთრებული მოხაზულობა ჰქონდა. მაგ. ნალის, თევზის, ფრინველის, შუბის პირის.

გიორგი IV ლაშას სპილენძის უნიკალური მონეტა, რომელიც ერთადერთია შემორჩენილი, სწორი ჭედვისაა. ამ მონეტის ტიპი-მთელი ტანით აღმართული მეფის გამოსახულება იმეორებს ბიზანტიური მონეტის ტიპს, თუმცა ზედწერილი მასზე ქართული და არაბულია.

1223-1224 წლებში საქართველოში თამარის ქალიშვილი, რუსუდანი მეფობდა. რუსუდანის სამონეტო საქმიანობით ახალი ეტაპი დაიწყო ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში - შეწყდა ე.წ. „უწესოდ“ მოჭრილი სპილენძის მონეტების ემისია და კვლავ აღდგა ვერცხლის ფულის გამოშვება. 1230 წელს მოიჭრა ვერცხლის ფული - დრამა. გაჩნდა ქართული სამონეტო ტერმინი - „თეთრი“.

წერილობით წყაროებში „თეთრი“ პირველად გამოჩნდა XIII საუკუნეში. „თეთრი“ აღნიშნავდა კონკრეტულ ფულად ერთეულს და შეესაბამებოდა მონღოლურ დირჰემს, რომლის მასა სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი იყო.

ქართულ წყაროებში გვხვდება აგრეთვე ყაზანაური თეთრი, გიორგაული და კირმანეული თეთრი.

XIII საუკუნის დასასრულს და XIV საუკუნეში ქართულ თეთრს საანგარიშო და სამონეტო ერთეულის მნიშვნელობაც ჰქონდა - 6 თეთრი 1 დრაჰკანს შეადგენდა. მომდევნო საუკუნეებში „თეთრი“ ვერცხლის საფასის ზოგადი ტერმინი იყო, ზოგჯერ კი საერთოდ ფულს აღნიშნავდა.

1245 წელს რუსუდან დედოფალი გარდაიცვალა. მისი შვილი - დავით ნარინი ამ დროს გაგზავნილი იყო ყარაყორუმში მონღოლთა დიდ ყაენთან, საქართველოს მეფედ დასამტკიცებლად. უმეფოდ დარჩენილ საქართველოს დიდებულთა ერთი ჯგუფის ინიციატივით, ქალაქ დმანისში მოიჭრა სპილენძის ფული, დავით მეფის სახელით. ეს იყო დავით რუსუდანის ძე, ნარინად წოდებული, რომელიც ამ მონეტაზე ყაენის მონად მოიხსენიება.

1247 წელს მონღოლებმა საქართველოს სამეფო ტახტზე თანაბარი უფლებებით ერთდროულად ორი მეფე დასვეს: დავით-ულუ ძე ლაშა გიორგისა და დავით - ნარინი,

ძე რუსუდანისა. 1259 წელს დავით-ნარინი მონღოლებს აუჯანყდა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. 1260 წელს დავით-ულუც განუდგა მონღოლებს და ისიც დასავლეთ საქართველოში გადავიდა დავით ნარინთან. დავით ულუ 1263 წლამდე დარჩა დასავლეთ საქართველოში. მათი ერთად მეფობის დროს მოიჭრა ბიზანტიური ტიპის ვერცხლის მონეტა, რომელიც „ორი დავითის მონეტის“ სახელითაა ცნობილი.

1253-1255 წლებში დავით VII გიორგის ძემ მოჭრა თბილისში ვერცხლის ფული სპარსული წარწერითა და დიდი ყაენის, მანგუს (1250-1251) მოხსენიებით. მონეტაზე დავითი გიორგის ძედ და ბაგრატიონად იხსენიება. ეს არის მეფის გვარის აღნიშვნის ერთადერთი შემთხვევა ქართულ ნუმიზმატიკაში.

დემეტრე II-ის მეფობისას, მისი სახელით, თბილისის ზარაფხანაში იჭრებოდა სპილენძის ფული, რომელსაც მთლიანად ეროვნული სახე აქვს და მონღოლთა უზენაესობის არავითარ ნიშანს არ ატარებს. მასზე მხოლოდ ქართული ზედწერილებია წმინდა სამების ხსენებით. თარიღიც ქართული ქორონიკონით არის მითითებული. დემეტრე II-ის 1280-1286 წლებში მოჭრილი სპილენძის მონეტები მონღოლთა უღლის სიმძიმის შესუსტებასა და საქართველოს პოლიტიკური ავტორიტეტის ზრდის აშკარა მანიშნებელია.

XIII საუკუნის 60-იანი წლებისათვის ერთიანი მონღოლთა იმპერია დაიშალა. ბულაგუ ხანმა შექმნა მონღოლთა იმპერიის V ულუსი, ე.წ. „ილხანთა სახელმწიფო“ 1256 წლიდან საქართველო ოფიციალურად ირანის მონღოლი მმართველების ილხანების ვასალად ითვლებოდა.

ილხანის სახელი ქართულ მონეტაზე მხოლოდ 1280 წლიდან ჩნდება. იწყება მონეტის მოჭრა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „ქართულ-ჰულაგუიდური მონეტების“ სახელწოდებითაა ცნობილი. მონეტის ავერსზე დატანილია უიღურული ზედწერილი, ხოლო რევერსზე - ქრისტიანული ლოცვა არაბული დამწერლობით და ჯვრის გამოსახულება, ნაცვლად მუსლიმანური სიმბოლოსი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ჰულაგუიდების ერთადერთი ქვეშევრდომთაგანი იყო, რომელიც თავს უფლებას აძლევდა მონეტებზე ქრისტიანული ლოცვა მოეთავსებინა. ეს კი ილხანთა მხრიდან დიდი კომპრომისი იყო.

საქართველოში მონღოლთა გაბატონების შემდეგ, ჯაყელები მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ანუ მაშინდელ სამცხე-საათაბაგოს სამთავროში ბატონობდნენ. სამცხე ძლიერი სამთავრო იყო XIII –XVI საუკუნეებში. ჯაყელების რეზიდენცია ახალციხე იყო. მესხეთის ძლიერი ფეოდალი ყვარყვარე ჯაყელი (1451 – 1499) იწყებს მონეტების მოჭრას. ამ მონეტის არსებობით ირკვევა, რომ XV საუკუნეში საქართველოში სახელმწიფო მონეტის გვერდით ჩნდება ე.წ. „ფეოდალური“ ანუ მთავრის მიერ მოჭრილი მონეტა. ყვარყვარეს მიერ მონეტაზე საკუთარი სახელის აღნიშვნა დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნიშნავდა. მესხეთში მოჭრილ მონეტებზე ქალაქის სახელწოდება არ არის მითითებული, თუმცა ფული ათაბაგების სამფლობელოს რეზიდენციაში კერძოდ, ახალციხის ზარაფხანაში იჭრებოდა.

იმერეთის მეფემ, გიორგი II-მ ხანგრძლივად იმეფა (1565-1585). მისი ოფიციალური ტიტული იყო „მეფეთ-მეფე“. გიორგი II-ის მოჭრილი მონეტა ნამდვილი შედევრია - განცვიფრებას იწვევს ლითონის მცირე ფირფიტაზე დატანილი ქართველი მეფის პორტრეტი, რომელიც ზუსტად იმეორებს გელათის ფრესკაზე აღბეჭდილ მისივე გამოსახულებას. წარწერაც დახვეწილია, ლითონის სინჯი და წონაც უფრო მაღალია.

იმერეთის მეფე გიორგი II-ის მონეტები გვიდასტურებს, რომ ჩვენს ქვეყანაში XVI საუკუნის მიწურულამდე ეროვნული ხასიათის ქართული მონეტების მოჭრა არ შეწყვეტილა.

XV საუკუნის დასაწყისში თემურლენგის მიერ შემოღებული მაღალხარისხოვანი ვერცხლის მონეტაა - თენგა, რომელიც მალე გაბატონებულ ერთეულად იქცა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფულად სისტემაში. საქართველოს ეს რეფორმა არ შეხებია, მაგრამ აქ დიდი რაოდენობით გვხვდება XV საუკუნის შირვანული დანგები. აღმოჩენილია როგორც ერთეული, ისე განძის სახით სოფ. საქობოში (ლაგოდეხის რაიონი), ხორხში (დუშეთის რ-ნი), თამარაშენში (ცხინვალის რ-ნი), ალში (ხაშურის რ-ნი).

მარჩილი ვერცხლის ფულის სახელწოდებაა საქართველოში (სახელი უნდა მომდინარეობდეს ვენეციური ვერცხლის მონეტის „მარჩელოს“ სახელწოდებიდან) გავრცელდა XVI –XVII საუკუნეებში, როგორც ვახტანგ VI-ის „დასტურლამა- ლიდან“ ირკვევა, XVII საუკუნეში მარჩილი იხმარებოდა საქართველოში გავრცელებული ევროპული მონეტის - ტალერის აღსანიშნავადაც. ამ დროს ტალერი 3 აბაზი ფასობდა, ხოლო 3 აბაზი 1 მარჩილს შეადგენდა.

ვერცხლის მონეტის სახელწოდება - უზალთუნი (თურქულია-ასიალთუნი) ქართულ წერილობით წყაროებში ჩნდება XVIII საუკუნიდან, აღნიშნავს ირანული აბაზის სისტემის მონეტას - მაჰმუდს ანუ ორ შაურს. შეიცავდა უკნინეს სათვლელ სამონეტო ერთეულს - ალთუნს ანუ დინარს. უზალთუნს თბილისის ზარაფხანაში ჭრიდნენ XVII-XVIII საუკუნეებში.

ვერცხლის მონეტის სახელწოდება - აბაზი შემოიღო ირანში აბას I-მა (აქედანაა სახელწოდება)._სწრაფად გავრცელდა მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში. მონეტის ავერსზე წარწერილი იყო შაჰის სახელი, ტიტულატურა, მოჭრის ადგილი და დრო. რევერსზე- რელიგიური ფორმულა. საქართველოში აბაზს ჭრიდნენ XVII საუკუნის I მეოთხედიდან XVIII საუკუნის მიწურულამდე.

XIX- XX საუკუნეებში საქართველოში „აბაზი“ 20 კაპიკის აღმნიშვნელ სიტყვად იხმარებოდა. 1744 წელს ირანის 129 წლიანი ბატონობის შემდეგ სვეტიცხოველში, ქრისტიანული წესით, ქართლის მეფედ ეკურთხა ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელი თეიმურაზ II (1744-1762), ხოლო კახეთში 1762 წელს გამეფდა მისი ვაჟი ერეკლე II. ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებელმა სტატუსმა ასახვა ჰპოვა 1765-1766 წლებში ერეკლე II-ის სახელით თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ ფულზე. მონეტაზე გამოსახულია ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი და სამეფო რეგალიები.

1783 წელს ერეკლე II-მ ხელი მოაწერა რუსეთთან ხელშეკრულებას, რომელიც „გეორგიევსკის ტრაქტატის“ სახელითაა ცნობილი. ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიის შემადგენელ ნაწილად იქცა.

1804-1810 წლებში თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი რუსულ-ქართული სპილენძის ფული ცნობილია „ქართული ფულის“ სახელწოდებით. ავერსზე გამოსახულია საქალაქო გვირგვინი, რომლის ქვეშ ქართული წარწერაა „ტფილისი“, ქვემოთ - პალმის და ზეთისხილის გადაჯვარედინებული რტოები. რევერსზე ქართული რიცხვითი ასონიშნები „კ“ (20); „ი“ (10), „ე“ (5), რომლებიც აღნიშნავენ სათვლელი ფულადი ერთეულის შესაბამისობას ნომინალში და უტოლდებიან -2,1 და ½ რუსულ კაპიკს. ქვემოთ არის წარწერა: „ქართული ფული“ თარიღი დაწერილია რუსული ასონიშნებით.

ზარაფხანა მოქმედებდა 1834 წლამდე და ჭრიდა ვერცხლის ორ აბაზიანებს - („უ“ 400), აბაზიანებს („ს“ 200), ნახევარაბაზიანებს („რ“ 100), სპილენძის ბისტს („კ“ 20), ნახევარ ბისტს („ი“ 10) და ფულს („ე“ 5).

მარკა-ფულის ერთეულია გერმანიაში, უდრის 100 პფენინგს ფულის ერთეულად შემოიღეს 1871 წელს. პირველი მსოფლიო ომის შედეგად ინფლაციამ გამოიწვია მარკას კატასტროფული გაუფასურება. 1923 წლიდან შემოიღეს სარენტო მარკა, 1924 წლიდან გერმანული ფულის ერთეულად გამოცხადდა რაიხს მარკა, რომელიც სარენტო მარკასთან ერთად 1948 წლამდე იყო მიმოქცევაში.

ფრანკი - ფულადი ერთეული საფრანგეთში, იყოფა 100 სანტიმად, ფრანკის ოქროს მოცულობა მრავალჯერ შემცირდა. ფრანკი ბელგიის, ლუქსემბურგის, შვეიცარიის, რუანდის, მადაგასკარის ფულადი ერთეულია.

საფრანგეთის აფრიკის კოლონიებისა და წყნარი ოკეანის კოლონიების ფულადი ერთეულია.

ზლოტი - პოლონეთის ფულის ერთეული უდრის 100 გროშს, დადგენილია 1950 წლის 28 ოქტომბრის კანონით.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, რუსული ფულის ერთეულის, „რუბლის“ სახელწოდება მუსლიმანური მოცულობის ერთეულიდან „რუბიდან“ მომდინარეობს, რომელიც 4 ლიტრს უდრიდა. პეტრე I-ის პერიოდში, სპილენძის რუბლს კვადრატული ფორმა ჰქონდა და დაახლოებით ნახევარ კგ-ს იწონიდა. XIV საუკუნეში 1 რუბლად 200 ციყვის ტყავის შეძენა შეიძლებოდა, XVIII საუკუნეში კი 41 კგ. მარილის.

ებრაული შეკელი - მონეტისა და წონის ძველებრაული სტანდარტია მისი სახელწოდება „სიკლიდან“ - უძველესი ბაბილონის ფულადი ერთეულიდან მომდინარეობს.

იაპონური იენი, ისევე, როგორც ჩინური იუანი, სათავეს იაპონური და ჩინური სიტყვიდან „მრგვალი მონეტიდან“ იღებს. დიდი ხნის მანძილზე იენსა და იუანს ნიჩბის, ცულის ან საფლავის ფორმა ჰქონდა. შემდგომში კი ფულის ერთეულზე ევროპული გავლენა გავრცელდა და მრგვალი ფორმა მიიღო.

ტალერი ვერცხლის მონეტაა, პირველად 1518 წელს მოჭრეს ჩეხეთში. 1555 წლიდან ფულის ერთეულად იყენებდნენ „საღვთო რომის იმპერიაში“, აგრეთვე პოლონეთში, შვეციაში, საფრანგეთში, საბერძნეთში და სხვა. თავდაპირველად შეიცავდა 28-29 გრამ სუფთა ვერცხლს. 1857 წელს ჩრდილოეთ გერმანიასა და ავსტრიაში ტალერის მასა შეადგენდა 16,67 გრამს.

1871-1873 წლებში გერმანიაში ფულის რეფორმების დროს ტალერი გაუთანაბრეს 3 ოქროს მარკას. ტალერის მოჭრა შეწყვეტილი იყო 1908 წლამდე, შემდგომ კი ისევ აღადგინეს 3 მარკის ნომინალური ღირებულებით.

ვიდრე მიმოქცევაში პირველი მონეტები გამოჩნდებოდა ძველი ევროპელები გადახდის საშუალებად სელს იყენებდნენ, რისი მიზეზიც გახლდათ ის ფაქტი, რომ ეს მცენარე ევროპაში არ ხარობდა.

ბონისტიკა - ფრანგული სიტყვაა. იგი ისტორიის დამხმარე დისციპლინას წარმოადგენს. შეისწავლის ხმარებიდან გამოსულ ქაღალდის ფულსა და ბონებს, რომლებიც ისტორიულ ობიექტურ დოკუმენტებს წარმოადგენენ. ასახავენ თანადროულ ეკონომიურ და პოლიტიკურ მოვლენებს.

ბონისტიკა XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა და მჭიდროდ უკავშირდება ნუმიზმატიკას.

ქაღალდის ფულმა მისი წარმოშობის პერიოდიდან დღემდე განიცადა არსებითი ხასიათის ცვლილებები. საქონელ-ფულის ეპოქამ წარმოქმნა ქაღალდის ფულის ერა.

ფული ქაღალდის ღირებულების ნომინალური ნიშანია, რომელსაც სახელმწიფო უშვებს თავისი ხარჯის დასაფარავად და აქვს იძულებითი კურსი. ქაღალდის ფულის დიდი რაოდენობით გამოშვება იწვევს მიმოქცევაში მის სიჭარბეს, ეს კი - მის გაუფასურებას.

ფულის ემისია - მიმოქცევაში ფულის გამოშვებას ნიშნავს. მას ახორციელებენ ცენტრალური ბანკები და ხაზინა. პირველი უშვებს საკრედიტო ფულს - ბანკნოტებს, მეორე - სახაზინო ბილეთებსა და ხურდა მონეტებს.

ფულის ნიშნები - ღირებულების ნიშნები, რომლებიც ცვლიან მიმოქცევაში ოქროსა და ვერცხლის ფულის განსაზღვრულ რაოდენობას. ფულის ნიშანს (ქაღალდის ფული, საბანკო ბილეთი), აგრეთვე არასრულფასოვან მონეტებს (სპილენძის, ნიკელის და სხვ) არა აქვთ საკუთარი ღირებულება, მაგრამ განსაზღვრულ ფარგლებში შეუძლიათ შეცვალონ ოქროსა და ვერცხლის ფული, როგორც გადახდის საშუალება.

ფულის ერთეულის უნარი გაცვალონ საქონლის განსაზღვრულ რაოდენობაზე, ვლინდება ფულსა და საქონელს შორის ჩამოყალიბებულ საცვლელ პროპორციებში. ფულის მყიდველობითი ძალა დამოკიდებულია როგორც საქონლის ღირებულებისა და ფასის ცვლილებაზე, ისე ფულადი ლითონის ღირებულებისა და მიმოქცევაში ქაღალდის ფულის რაოდენობის ცვლილებაზე. ფულის მყიდველობითი ძალა დაკავშირებულია მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნასთან.

ფულის მიმოქცევის მოსაწესრიგებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: **დეფლაცია** - ფულის მასის შემცირება-მიმოქცევიდან ზედმეტი ქაღალდის ფულის ამოღების მიზნით. **ნულიფიკაცია** - ფულის ძველი ნიშნების ლიკვიდაცია და ახალი ფულის ნიშნების გამოშვება. **დენომინაცია** - ფულის ნიშნების ღირებულების შეცვლა გარკვეული შეფარდებით ძველი ფულის ნიშნების ახალზე (შედარებით მსხვილ კუპიურებზე) გადაცვლის გზით. **დევალვაცია** - ფულის ერთეულის ლითონური შემცველობის ან ქაღალდის ფულის ნიშნების კურსის შემცირება ლითონთან ან უცხოურ ვალუტასთან შედარებით. **რევალვაცია** - (რესტავრაცია) - ფულის ერთეულში ლითონის შემცველობის გადიდება ან კურსის ამაღლება საზღვარგარეთის ვალუტასთან შედარებით.

ფულის მოჭრის ისტორია ძველ საქართველოში მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის წარსულთან. ქართული „კოლხური თეთრი“ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური მონეტაა, რომელიც იმის დასტურია, რომ საქართველოს საკუთარი ფულის მოჭრის 25 საუკუნოვანი ისტორია აქვს.

საქართველოს ისტორია იცნობს ფულის მიმოქცევის დარგში გატარებულ მნიშვნელოვან ღონისძიებებსა და რეფორმებს. იცვლებოდა მონეტის სახე და ფორმა, ფულადი მასალა, სინჯი, მოჭრის წესი და სხვ. აღანიშნავია დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული რეფორმები, რომლებიც ფულად სამონეტო საქმესაც შეეხო (ვერცხლი შეცვალა სპილენძის მონეტამ), რუსუდან დედოფლის ღონისძიებები, ვახტანგ VI-ის კანონთა კრებული შეიცავდა „თეთრის გარიგების“ სპეციალურ კარს, რომელშიც გათვალისწინებული იყო ფულის მოჭრის პროცედურა და წესები. ფულის მიმოქცევის დარგში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ერეკლე II-მ. 1804-33 წლებში მიმოქცევაში იყო რუსულ-ქართული მონეტები. საქართველოში იჭრებოდა „ქართული თეთრი“ (ვერცხლი) და ქართული ფული (სპილენძის).

ქაღალდის ფული XVIII საუკუნის II ნახევრიდან გაჩნდა და არსებობდა ლითონის მონეტის ადგილას ან მის პარალელურად. XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში მიმოქცევაში იყო რუსული ფული.

ქართული ბონისტიკის ისტორია იწყება 1918 წლის დასაწყისიდან, როცა თბილისში შექმნილმა ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოუშვა ქაღალდის ფული- ბონი. ეს ბონები მიეკუთვნება როგორც ქართულ, ასევე სომხურ და აზერბაიჯანულ ბონისტიკას.

ბონი ფრანგულ-ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სახელმწიფო ხაზინის, კერძო ფირმების ან მუნიციპალური ორგანოების მიერ გამოშვებულ მოკლევადიან სავალო ვალდებულებას. იყენებენ როგორც მიმოქცევისა და გადახდის საშუალებას. ბონს უშვებდნენ სახელმწიფო ორგანიზაციები ფულის გაუფასურებისა და ფულის ნიშნების წვრილი კუპიურის ნაკლებობისას, აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები-სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდში.

1918 წლის დასაწყისში გამოშვებულ ამიერკავკასიის ბონებზე ნომინალად დაწერილია რუსული „რუბლი“, ცენტრალური წარწერებიც ყველგან რუსულია, რათა გასაგები ყოფილიყო ამიერკავკასიის ყველა ხალხისათვის. აღსანიშნავია, რომ ბონების წინა ხედზე გამოსახულია ქართული ჩუქურთმა, ბორჯღალი და ზოგჯერ ვაზიც. სომხურ-აზერბაიჯანული შინაარსისაა ნახატის მხოლოდ უმნიშვნელო დეტალები. წარწერები გაკეთებულია რუსულ, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე: „ამიერკავკასიის კომისარიატის ბონი“, „სავალდებულოა მისაღებად ისე, როგორც სახელმწიფო საკრედიტო ბილეთი“, „ყალბი ბონის დამზადებისათვის დამნაშავენი დაისჯებიან ისევე, როგორც ყალბი საკრედიტო ბილეთების დამზადებისათვის“. ყველა ბონს აქვს ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარის ევგენი გეგეჭკორისა და ფინანსთა მინისტრის ხელწერები.

1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა, არჩეულ იქნა რესპუბლიკის მთავრობა. ფინანსთა მინისტრად დაინიშნა გიორგი ჟურული. გადაწყდა, რომ ქართული ფულის მოჭრამდე, დროებით დარჩენილიყო ძველი წესი ფულის ბეჭდვისა და ფინანსური სისტემა ყოფილიყო ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული ფულის შემოღებამდე და შემდეგაც მიმოქცევაში იყო რუსული ოქროს ჩერვონეცი, ოსმალური და იტალიური ლირა, ამერიკული დოლარი, ფრანგული ფრანკი, გერმანული მარკა და ინგლისური გირვანქა სტერლინგი.

1919 წლის 11 ივლისს საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს რესპუბლიკის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის დეკრეტი, რომელშიც აღნიშნული იყო: 1. ნება მიეცეს საქართველოს მთავრობას გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის ბონი სამასის მილიონი მანეთისა. 2. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს დროებით, ვიდრე შემოღებული იქნებოდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი ფული, რომლის საშუალებით ბონი გამოყიდულ უნდა იქნეს. 3. საქართველოს რესპუბლიკის ბონი უზრუნველყო- ფილია საქართველოს რესპუბლიკის მთელი ქონებით. 4. საქართველოს რესპუბლი-კის საზღვრებში საქართველოს რესპუბლიკის ბონის მიღება სავალდებულოა რუსეთის ნიშნებისა და ამიერკავკასიის კომისარიატის ბონის თანაბრად.

საქართველოს რესპუბლიკის სახელით მოჭრილ ყველა ბონზე ხელს აწერენ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და ფინანსთა მინისტრი

კონსტანტინე კანდელაკი. ამ უკანასკნელმა დიდი როლი შეასრულა ქართული ფულის მოჭრისა და მისი კურსის განმტკიცებაში. ყველა ქართულ ბონზე დახატული გამოსახულებანი შესრულებულია მხატვარ იოსებ შარლემანის მიერ.

1919 წელს გამოშვებულ ქართულ ბონებს „მანეთი“ ეწოდა. ისინი გაფორმებულია მაღალმხატვრულად და გამოირჩევიან ეროვნული ხასიათით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ბონზე იგრძნობა ამიერკავკასიის ბონების ერთგვარი გავლენა.

თავისი შინაარსის მიხედვით ბონებიდან შეიძლება გამოვყოთ 25 მანეთიანი, რომლის წინა მხარეზე, ვარდისფერ ფონზე, მარცხნივ გამოსახულია ახალგაზრდა ქალი ხმლით ხელში, მეორე მხარეზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ღერბი. 500 მანეთიანი ბონის წინა მხარეზე გამოსახულია სავარძელში მჯდომი, მოდერნიზებულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი. ბონებზე შემდეგი წარწერებია: „საქართველოს რესპუბლიკის ბონი“, „მიღება სავალდებულოა, თანაბრად რუსეთის სახელმწიფო საკრედიტო ბილეთისა“, „ბონისათვის პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკა მთელი თავისი ქონებით“. ბონის მეორე მხარეზე ანალოგიური წარწერებია რუსულ და ფრანგულ ენებზე. ცენტრში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ღერბია გამოსახული.

საინტერესოა, 1921 წელს გამოშვებული 5000 მანეთიანები. მის წინა მხარეზე გამოსახულია საქართველოს მთავრობის სასახლე, რომლის თავზეც სამფეროვანი ეროვნული დროშა ფრიალებს. წარწერები კი იგივეა.

1920 წლის ივნისში ევგენი ლანსერემ დახატა 25 მარჩილიანი საკრედიტო ბილეთი (მარჩილი ძველი ქართული ფულის სახელწოდებაა), რომლის აღდგენაც გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს მთავრობას, მაგრამ არ დასცალდა.

ქვეყანაში გამეფებული ანარქიის შედეგად ფული განიცდიდა დევალვაციას. მართალია, ამას კატასტროფული ხასიათი არ ჰქონდა, მაგრამ რესპუბლიკა მაინც საშიშროების წინაშე დადგა. აი, როგორ აღწერს ამ პერიოდს ნოე ჟორდანია თავის წიგნში „ჩემი წარსული“, „...სავალალოდ გაგვიხდა ფინანსური აწეწილ-დაწეწილობა, ერობები თუ ქალაქები პირდაპირ ხაზინას მისჩერებოდნენ. საიდან, სად აქვს მთავრობას ფული არავინ კითხულობდა. ხაზინის შემოსავალი ერთად-ერთი გადასახადები იყო. ხოლო მისი აკრეფისათვის არავინ არ ზრუნავდა...დაგვრჩა ფულის საბეჭდავი მანქანა ერთად-ერთ წყაროდ შემოსავლისა. ვაძლევდით სესხად ყველას, ვინც კი მოგვთხოვდა, ხოლო სესხის დაბრუნებაზე არავის უფიქრია... საზოგადოდ, ფულს ვუყურებდით, როგორც ჩამოვარდნილ ფურცელს, რასაც ეჭირვება მხოლოდ ახვეტა და გადაყრა“.

1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის არმიამ მოახდინა ჯერ თბილისის, შემდეგ მთელი საქართველოს ანექსია. ქართული ფული კი განაგრძობდა არსებობას, რადგან იგი ემყარებოდა დასავლეთიდან შემოტანილ შედარებით იაფ საქონელს. 1922 წლის დამლევიდან მომწოდებლის როლში საბჭოთა რუსეთი გამოდის. საქართველო კარგავს თავის პრივილეგიურ მდგომარეობას, როგორც სატრანზიტო ქვეყანა და იწყება ქართული ფულის ნიშნების სწრაფი გაუფასურება.

1929 წლის 10 იანვარს ამიერკავკასიის „სამოკავშირეო საბჭომ“ გამოსცა დეკრეტი „ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების გამოშვების შესახებ“ ამიერკავკასიის ფულის ნიშნებს საფუძვლად ქართული ფული დაედო. ქართული ფულის ერთი, აზერბაიჯანის - 100 და სომხეთის - 150 მანეთი გათანაბრებული იყო ამიერკავკა- სიის ფულის ერთ მანეთთან.

ამიერკავკასიის ბონებს ოთხენოვანი წარწერა აქვს: რუსული, ქართული, სომხური და აზერბაიჯანული. ყველა ბონზე მითითებულია, რომ „ამიერკავკასიის ბონის ერთი მანეთი უდრის საქართველოს ბონის ერთ მანეთს“. ზოგიერთი ამიერკავკასი- ური ბონის გამოსახულება თითქმის ანალოგიურია 1921 წელს დაბეჭდილი საქარ- თველოს რესპუბლიკის 5000 მანეთიანისა, იმ განსხვავებით, რომ თუ საქართველოს ბონზე გამოსახულ მთავრობის სასახლეზე სამფეროვანი ეროვნული დროშა ფრიალებს, ამიერკავკასიის ბონზე ეს დროშა წითელი, ვარსკვლავიანი დროშითაა შეცვლილი. შესაბამისად შეცვლილია სახელმწიფო ღერბი (გერბი) და წარწერებიც.

1923 წლის მეორე ნახევრიდან გაუფასურებას იწყებს ამიერკავკასიის ფულის კურსი. 1924 წლის დასაწყისში იგი კატასტროფულ ხასიათს იღებს.

საკავშირო მთავრობის დავალებით, 1924 წლის 4 აპრილის დეკრეტით ამიერკავკასიის მთავრობამ დაიწყო ფულის რეფორმა. 14 აპრილიდან შეწყდა ამიერკავკასიის ფულის ნიშნების ბეჭდვა. ამავე დროს დაიწყო ამიერკავკასიის ფულის ნიშნების გადაცვლა ჩერვონეცზე. ჩერვონეცის ერთ მანეთზე იცვლებოდა ამიერკავკასიაში ადგილობრივი ფულის ნიშნის 12,5 მილიონი მანეთი.

ასე დამთავრდა ქართული ქაღალდის ფულის ხანმოკლე ისტორია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯავახიშვილი ი., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი III, თავი III, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა მეტროლოგია, თბ.1925.
2. ქებულაძე რ., ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVII სს. თბ.1971
3. დუნდუა გ., სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში. თბ. 1964.
4. კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ. 1969.
5. ქოიავა ნ., კაპიტალისტური ქვეყნის ფულის მიმოქცევა და კრედიტი. ნაწ. 1, თბ.1956-60.
6. ქოიავა ნ., ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ.1938
7. ქსე, ტ.I, თბ.1975, ტ III თბ. 1978, ტ.IV, თბ. 1979, ტ.IX, თბ.1985, ტ. X,თბ.1986
8. ქართული მონეტების ოქროს კოლექცია. გამომც. „პალიტრა L“, 2015 წ.

დიდრაქმა, ვერცხლი, კოლხეთი, ძვ.წ. V ს.

დიდრაქმა, ვერცხლი, კოლხეთი, ძვ.წ. V ს.

სტატერი, ოქრო. კოლხეთის მეფე აკა. ძვ.წ. II ს-ის დასაწყისი.

ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი.
ოქრო. ძვ.წ. I -ახ.წ. I სს.

ეთერი კიღურაძე

მედიცინის განვითარება აჭარაში XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში

მედიცინა ერის კულტურის განათლებისა და ისტორიული ტრადიციების, საერთოდ კაცობრიობის ცივილიზაციის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ქართული მედიცინის ისტორია გონიერი ადამიანის გაჩენიდან იღებს სათავეს, იგი ერთ-ერთი უმდიდრესია მსოფლიოში.

ჩვენს საუკუნეში აღმოჩენილმა ხელნაწერებმა და არქეოლოგიურმა მასალამ საშუალება მოგვცა შეგვესწავლა მხარეში მედიცინის განვითარების დონე, რითაც შეივსო ის ხარვეზი რომელიც ამ დარგის ისტორიაში დღემდე გვქონდა.

საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში აღმოჩენილია ადამიანის განვითარების თითქმის ყველა სტადიისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური ნივთები ჰიგიენური და კოსმეტიკური დანიშნულების ჭურჭლები, რომლებიც შესრულებულია მაღალი ოსტატობით. საყურადღებოა ნივთებს აქვს გველის რელიეფური გამოსახულება (სურმანიძე, 2001:11).

ხალხური მედიცინა აჭარაში უხსოვარი დროიდან იყო გავრცელებული, ამაზე მეტყველებს „კარაბადინი“, რომლებიც შეიცავენ სამკურნალო წამალთა დამზადებისა და პრაქტიკულად გამოყენების წესებს. „კარაბადინში“ თავს იყრის ხალხური მკურნალობის საშუალებები რომლებიც დაკვირვებების საფუძველზე თანდათანობით იხვეწებოდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ერთ-ერთი ასეთი კარაბადინია რომელიც აბდულ მიქელაძემ აგარელი დევაძეების ოჯახში აღმოაჩინა. ცნობილმა მწერალმა და მეცნიერმა რამაზ სურმანიძემ იგი 1974 წ. გამოსცა. აბდულ მიქელაძე ქედის მკვიდრი იყო. მან პეტრე უშიკიშვილისა და ზაქარია ჭიჭინაძის დახმარებით შეისწავლა ქართული წერა-კითხვა და შემდგომში გახდა ცნობილი პუბლიცისტი, რომლის წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ის ახლოს მეგობრობდა ილია ჭავჭავაძესთან, რომლის მიბაძვითაც ქედის მაზრის ცენტრში 1916 წელს გახსნა პირველი ქართული სკოლა. ამავე დროს აბდულ მიქელაძე იყო ცნობილი სახალხო მკურნალიც, იგი ფლობდა სხვადასხვა სახეობის წამლების დამზადების საიდუმლოებასა და მკურნალობის მეთოდებს. მისი ძალისხმევით ბევრი ავადმყოფი განიკურნა, რის გამოც ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

აჭარაში ოსმალეთის ბატონობის დროს ავადმყოფს, „მკურნალობდნენ“ არა ხალხური სამკურნალო მეთოდებით, არამედ ხოჯების ლოცვების შემწეობით, ამიტომაც ხალხურმა მედიცინამ დაკნინება განიცადა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისევე, როგორც ქართული ენა, ქართული სახალხო მედიცინაც ბოლომდე არ გამქრალა (კომახიძე, 1997:3).

პირველი სამედიცინო დაწესებულება ბათუმის ოლქში იყო სამხედრო ჰოსპიტალი, რომელიც რუსეთის ჯარის შემოსვლისთანავე გაიხსნა ბათუმში. თავიდან იგი განლაგდა ზღვისპირას დროებით კარავებში. ერთი წლის შემდეგ კი აშენდა ბარაკები. ჰოსპიტალის პირველი ექიმი იყო მედიცინის დოქტორი კაზიმირ ალექსანდრეს ძე სევერინი.

ოლქის სამხრეთ ნაწილში კავკასიის სამხედრო სამედიცინო სამმართველომ დანიშნა თავისი უფროსი ექიმები: არტაანში - მ.ა.დავიდოვი, ოლთისში-ი.ნ.ბულგაკოვი,

ართვინში - ი.ი.პლიაპისი, რომლებიც ძირითადად ეხმარებოდნენ ოფიცრებს და მათი ოჯახის წევრებს, შეძლებისდაგვარად მეთვალყურეობდნენ ინფექციური დაავადების თავიდან აცილებას.

1897 წ. ართვინში გამოჩნდა ქართველი ექიმიც ლეონტი ლუარსაბის ძე გოცირიძე, ის მხურვალედ ემსახურებოდა მოსახლეობას. მდგომარეობას უკიდურესად ართულებდა სათანადო სტაციონალური დაწესებულების უქონლობა. ფაქტობრივად, ბათუმში არც ერთი სამოქალაქო ექიმი არ მუშაობდა. 1878 წელს დაინიშნა ე.წ. ქალაქის ექიმი, რომელიც მხოლოდ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის მოვალეობას ასრულებდა. მის ფუნქციებში არ შედიოდა ავადმყოფთა მკურნალობა. ამ თანამდებობაზე პირველივე დღიდანვე მუშაობდა ფეოდორ ალექსანდრეს ძე შეფერი.

ორი წლის შემდეგ სწორედ ფ.შეფერმა დააყენა მცირე სტაციონარით ქსენონის გახსნის საკითხიც. ასეთი დაწესებულება მართლაც გაიხსნა, დროებით ის კერძო ბინაში მოათავსეს. მხოლოდ 1887 წ. ფ.შეფერისავე ინიციატივით ყოფილი ვოზნესენსკის (ახლა მელიქიშვილის) ქუჩაზე აშენდა 25 საწოლიანი, აჭარაში პირველი სახელმწიფო სამედიცინო სტაციონალური დაწესებულება, სადაც 1902 წლამდე მუშაობდნენ. ფ.შეფერი გარდაიცვალა 1892 წ. ქოლერის ეპიდემიის დროს სტაციონარში მუშაობდნენ ცნობილი ექიმები: გრიგოლ ელიავა, ტრიმელეონ ტრანტაფილიდესი, მისი მეუღლე ვალენტინა კონდრატი მხეიძე და სხვა.

1890 წელს ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოებამ მარინეს (ახლ. მემედ აბაშიძის) პროსპექტზე ღარიბებისათვის გახსნა უფასო ამბულატორია, რომელიც 12 წლის შემდეგ დაიხურა ფულადი სახსრების უქონლობის გამო. საყურადღებოა, რომ ამბულატორია წლიურად საშუალოდ 4000-მდე ავადმყოფს ღებულობდა (პერტია, 1958:17).

სოფლის მოსახლეობა მოკლებული იყო სამედიცინო დახმარებას და მხოლოდ ხალხური მედიცინით სარგებლობდა. კავკასიაში, მართალია 1884 წ. დაიწყო სოფლის სამედიცინო პუნქტების გახსნა, მაგრამ ბათუმის ოლქში მან 12 წლით დაიგვიანა. ქუთაისის გუბერნიის საექიმო უწყებამ მხოლოდ 1896 წ. გახსნა ხულოსა და ქედაში საექიმო პუნქტები, სადაც ფერშალი და ბებიაქალი მუშაობდნენ. ქედაში შტატით ექიმიც ირიცხებოდა, მაგრამ ის თვეში ერთხელ ხელფასის აღებისას თუ მოინახულებდა პუნქტს (პერტია, 1958:27,28).

1881-1884 წლებში ქალაქის ტერიტორიაზე გაყვანილი იქნა რამდენიმე სანიაღვრე არხი, რომლის საშუალებითაც 818 ათას კვადრატულ მეტრზე ლიკვიდირებული იქნა ჭაობი, რამაც თავისთავად ცხადია, რამდენადმე შეამცირა ბათუმში მალარიით დაავადებული მოქალაქეთა პროცენტი.

1888 წელს ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული ყველა (ხუთივე) სასაფლაო ლიკვიდირებული იქნა. მათ მაგიერ ქალაქ გარეთ, სოუქ-სუს ვრცელ ტერიტორიაზე გამოიყო ფართობი ახალი სასაფლაოებისათვის.

1889 წლის 6 თებერვლს ქალაქის სანიტარული მდგომარეობის მოწესრიგების მიზნით ქალაქის სათათბირომ გამოსცა ბრძანება ახალი ნაგავსაყრელი ადგილის მოწყობის შესახებ. ეს ახალი ნაგავსაყრელი განლაგდა სკონკობას ზღვასთან შეერთების ადგილას, სადაც რიყის ქვებისაგან ააშენეს ნაგვის ჩასაყრელი ბუნკერები, რომელზეც მიერთებული იყო ხის ჟოლობის ბოლო ნაწილი. განთავსებული იყო ზღვის წყლის არიალში, რაც განაპირობებდა ნაგავის უშუალოდ ზღვაში ჩადინებას, ჟოლობი სისტემატურად ირეცხებოდა წყლის გავლით, რისთვისაც გამოყენებული იყო დიდი სიმძლავრის ელექტრო ნასოსი (აჭარის სახელმწიფო არქივი. ფონდი 7, ს.31.ფურც.12).

ბათუმში სანიტარული ეპიდემოლოგიური სამსახური ფუნქციონირებას იწყებს 1892 წლიდან. ჩვენ ქალაქში არსებულმა ანტისანიტარიულმა პირობებმა და ინფექციურ სნეულებათა ხშირმა შემთხვევებმა დღის წესრიგში დააყენა სანიტარული ექიმის თანამდებობის შემოღება. სანიტარულ ექიმად დაინიშნა გამოცდილი სპეციალისტი დ.კუზიატინი, რომელმაც ამ თანამდებობაზე 1902 წლამდე დაჰყო.

1901 წლის 17 ოქტომბერს ქუთაისიდან ბათუმში მივლინებით გამოიგზავნა ექიმი მ.სეგალი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ჩვენს ქალაქში სანიტარული მდგომარეობის შესწავლა და მისი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზებისა და საშუალებების გამოძებნა.

მ.სეგალმა ბათუმში ყოფნისას აქ მოღვაწე ექიმებთან ერთად დიდი მუშაობა გასწია. მანვე დაგვიტოვა ანგარიში, რომელიც მუშათა კვარტლების სანიტარულ მდგომარეობას ეხება, რომელიც 1903 წელს დაიბეჭდა ქალაქ ქუთაისში.

ექიმი მ.სეგალი მუშათა საცხოვრებელი ბინების შესახებ წერს: „ჩემს მიერ დათვალიერებული 146 სახლიდან იატაკი როგორც ოთახებში ისე აივნებზე დამპალი და დამტვრეული აღმოჩნდა. ლპობისა და რღვევის ასეთივე ნიშნები ემჩნეოდა კედლებსაც და ჭერსაც. ხშირად იატაკი 0,4 არშინით უფრო დაბალია ვიდრე ეზოს დონე, რაც ასეთ ბინებში წვიმის წყლის ჩადენის შესაძლებლობას ქმნის, თითოეულ ოთახს ჩვეულებრივ აქვს თითო ძალიან პატარა, მაგრამ ჭუჭყიანი და გაქონილი ფანჯარა. აი ამგვარი სახლებით ანუ უკეთ რომ ვთქვათ ქოხისებრი შენობებით არის მოფენილი მთელი ქალაქი. ამ უბადრუკ ქოხებში ცხოვრობს ათასობით მუშა, როგორც ცოლშვილიანი ისე უცოლო. მეტისმეტად ძვირი უჯდებათ ბინები, ცხოვრობენ წარმოუდგენელ სივიწროვეში, მაგალითად 5 – 9 და მეტი კაცი ცხოვრობს იქ სადაც 2 – 3 კაცი ძლივს დაეტევა. სძინავთ ერთიმეორისაგან მჭიდროდ მიდგმულ საწოლებზე ან ტახტებზე. ჯანმრთელობასთან ერთად აქ მორალური მხარეც ზიანდება. მამაკაცები როგორც ცოლიანი ისე უცოლო თავის ბნელ ქოხისებურ ბინებს იყენებენ როგორც ღამის გასათევ თავშესაფარს, დღისით ინსტიქტურად გაურბიან მათ. მთელ თავის მოცლილ დროს დუქნებში ატარებენ, თვრებიან, თავისი აუტანელი ნაოფლარი გროშებით მედუქნეების ჯიბეებს ასქელებენ (სეგალი, 1903:9, 12).

საზღვარგარეთიდან საზღვაო გზით ინფექციურ სნეულების შემოტანის თავიდან აცილების მიზნით მეფის მთავრობამ შავი ზღვის სანაპიროზე (ბათუმში, ფოთში, სოხუმსა და ნოვოროსიაში) ჩამოაყალიბა საექიმო სამეთვალყურეო სადგური 1882 წელს. ეს სადგური ყურადღებას აქცევდა ისეთ მწვავე ინფექციურ სნეულებებს როგორიცაა შავი ჭირი, ქოლერა, ყვავილი, ტიფი.

1892 წელს ქოლერის ეპიდემიასთან დაკავშირებით კარანტინში დაიდგა „სანგალას“ ტიპის სადეზინფექციო კამერა. 1900 წელს ბათუმის საზღვაო კარანტინი წარმოდგენილი იყო 36 ერთეულით ერთი მთავარი ექიმი, ორი უმცროსი ექიმი, სამი ფერშალი, ერთი სამნეო ნაწილის გამგე, 16 სანიტარი და 13 სხვა პერსონალი.

1864 წელს გრიგოლ ორბელიანის ინიციატივით თბილისში დაარსდა კავკასიის სამედიცინო საზოგადოება, მისი დახმარებით და ბათუმელი ექიმების (გ.ელიავა, დ.კუზიატინი, კ.მხეიძე, ტ.ტრიანტაფილიდესი, გ.ვოლსკი, ფენსტერი და სხვა) ინიციატივით 1896 წ. 20 ნოემბერს (ძვ.სტ) დაფუძნდა ბათუმის ექიმთა საზოგადოება, რომელიც ერთ-ერთი უძველესია ამიერკავკასიაში. ოცდამეხუთე იყო იმპერიაში და მესამე კავკასიაში თბილისისა და ქუთაისის შემდეგ. მისი შექმნის ნებართვას რომ იძლეოდა, ხელისუფლება მიზნად ისახავდა არმიაში სანიტარულ ჰიგიენური

პირობების გაუმჯობესებას და დაავადების შემცირებას. ამის გამო საზოგადოების წევრად რეკომენდაციას აძლევდნენ სამხედრო ექიმებს (ბათუმში ექიმთა საზოგადოების 37 დამფუძნებლიდან სამოქალაქო უწყებაში მხოლოდ 6 მუშაობდა). ამის მიუხედავად ოლქის ექიმთა მოწინავე ნაწილი იმთავითვე ჩაება საშიში ეპიდემიების - მალარიის ენდემური ჩიყვის წინააღმდეგ.

გაუვალი ჭაობების გამო ბათუმი და მისი შემოგარენი ციების ბუდე იყო. ეს აწუხებდა ყველას. საზოგადოებას ესმოდა, რომ თუ მოხერხდებოდა ჭაობის დაშრობა, ქალაქი მალე დაიჭერდა ღირსეულ ადგილს შავიზღვისპირეთის კურორტებს შორის. მეტიც უცხოელი მოგზაურები, მწერლები, ორიენტალისტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ადარებდნენ ევროპის კურორტებს და ახალ ნიცას და რივიერას უწოდებდნენ.

ა.სემენტის, ვ.ჟილინსკის, მ.ბეთანელის, ტ.ტრიანტაფილიდესის, ე.სკვორცოვის, ნ.საბაშვილის, გ.ვოლსკის და სხვათა მეცადინეობით მე-19 ს. 80-90-იან წლებიდან ბათუმში დაიწყო არხების გაყვანა. რამაც მალე გამოიღო შედეგი. ქალაქის მრეწველებს, მეწარმეებს, მაგნატებს საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ფართობს გამოუყოფდნენ დაჭაობებულ ადგილას, რომ იგი დაეშროთ და კეთილმოეწყოთ.

არხების გაყვანისათვის თანხები დააბანდეს პავლომა, ჟილინსკიმ, ივანოვმა და სხვებმა რომელთა სახელს ეს არხები დღესაც ატარებს.

ბათუმში მარტივი ქირურგიული ოპერაციების გაკეთება დაიწყეს 1887 წლიდან. მას შემდეგ, რაც ბათუმში გაიხსნა ქსენონი 25 საწოლზე. რთული ოპერაციების გასაკეთებლად ავადმყოფებს აგზავნიდნენ თბილისში და ქუთაისში.

პირველ ხანებში ქსენონში ქირურგიულ ოპერაციებს აკეთებდა ექიმი გ.ელიავა 1896 წლიდან კი ექიმი კ.მხეიძე (თ.კომახიძე. 1977. 17.1).

1901 წელს იფეთქა შავი ჭირის ეპიდემიამ, რის გამოც იძულებულნი გახდნენ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საავადმყოფოს ბარაკებში გაეხიზნათ ეპიდემიური სტაციონარები. ეპიდემიის ჩაცხრომის შემდეგ ბარაკები წესრიგში მოიყვანეს და 1902 წ. 3 ოქტომბერს გაიხსნა ქალაქის საავადმყოფო, ამჟამად ქალაქის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო. მას ჰქონდა 6 ბარაკი ადმინისტრაციული, თერაპიული, ფსიქიატრული, ინფექციური, ქირურგიული და ვენტროლოგიური, აგრეთვე დამხმარე ნაგებობები სამხედრო, ცეხჰაუზი, პერსონალის, საცხოვრებელი სამზარეულო, საკუჭნაო, საცხედრე და ამბულატორია. ამბოლატორიული ავადმყოფები იხდიდნენ 50 კაპიკიდან 5 რუბლამდე, სტაციონალური მკურნალობა დღიურად 75 კაპიკიდან 3 რუბლამდე ღირდა (Батуми и его окресности 1906. 568. 578). 1903 წლის სექტემბერში საწოლთა რიცხვი გაზრდილი იქნა 120-მდე.

საავადმყოფოს ერთსართულიანი შენობის ხუთ ბარაკში გახსნილი იყო ქირურგიული, თერაპიული, ინფექციური, სამშობიარო, გინეკოლოგიური, ვენერიული და ფსიქიატრული განყოფილებები.

საავადმყოფო და განსაკუთრებით მის ირგვლივ მდებარე ტერიტორია ჭაობში იყო ჩაფლული. საავადმყოფოს თანამშრომლები მოსვენებას არ აძლევდნენ ავადმყოფებს „წლის განსაზღვრულ პერიოდში ავადმყოფები გაურბოდნენ საავადმყოფოში დაწოლას, ვინაიდან ინკურნებოდნენ რა ისინი იმ ავადმყოფობისაგან, რომლითაც შემოვიდნენ საავადმყოფოში აუცილებლად როგორც წესი, ავადდებოდნენ მალარიით“.(აჭარის ცენტრალური არქივი ფ.33.გვ.3).

თუ რუსეთის იმპერიაში მოქმედი სამკურნალო დაწესებულებათა წესდებით ქალაქის ყველა მცხოვრებლებს ევალებოდა საავადმყოფოს სასარგებლოდ შეეტანა წელიწადში ერთი რუბლი. ბათუმში ეს წესები რატომღაც შეცვალეს და წლიური შესატანის ნაცვლად გაზარდეს გადასახადი. მკურნალობისათვის ამან ის შედეგი გამოიღო რომ ავადმყოფთა დიდი ნაწილი მამაპაპურად სახლში მკურნალობდა, ხოლო ნაწილი საავადმყოფოდან ეწერებოდა განკურნებამდე.

საავადმყოფოს მთავარ ექიმს გუბერნატორი ნიშნავდა. პირველი მთავარ ექიმად პეტერბურგიდან მოიწვიეს ობუხოვის საავადმყოფოს ექიმი ქირურგი, შემდგომში ბაქოს სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი ბორის ფილკეშტეინი. მასთან ერთად მუშაობდნენ სხვა და სხვა დარგის სპეციალისტები კონსტანტინე მხეიძე, გრიგოლ ელიავა, ბორის ფლოროვი.

პირველად საავადმყოფოში 60 საწოლი იყო, რაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. მრავალი სიძნელეების მიუხედავად (ტექნიკური,ფინანსური, მატერიალური) ბათუმელი ექიმები საავადმყოფოს დაარსების პირველი დღიდანვე ცდილობდნენ გამოეყენებინათ მე-20 საუკუნის დასაწყისის სამეცნიერო მეცნიერების მიღწევები.

მკურნალობის მაღალი ფასების მიუხედავად სახელმწიფო ვერ კისრულობდა საავადმყოფოს შეკეთებას, მოწყობილობით აღჭურვას და მის ტექნიკურ გამართვას. მას არ გააჩნდა თეთრეულის საშრობი, არადამაკმაყოფილებელი იყო განათება და წყალმომარაგება, სამედიცინო პერსონალის ნაწილი ცხოვრობდა ცეიხჰაუზში, (სამედიცინო იარაღების შესანახი ადგილი), ნაწილი ფსიქიატრულ ბანაკში (რომელშიც ავადმყოფებს არ აწვენდნენ) ხოლო მზარეული თავისი ორი თანაშემწით - სამზარეულოში.

1884 წ. დოქტორი ვ.ჟილინსკი თავის ნაშრომში „ბათუმის სამედიცინო ტოპოგრაფიული ნარკვევი“ ქალაქს ახასიათებს, როგორც უდიდესი მნიშვნელობის პუნქტს, მიუხედავად ზემოთქმულისა ბათუმი საკურორტოდ გამოიყენებოდა, თუმცა ექიმები კვლავ ასაბუთებდნენ მის დიდ საკურორტო მომავალს.

1898 წ. პეტერბურგში ბალნეოკლიმატურ ყრილობაზე მიავლინეს ბათუმელი ექიმი და ქალაქის თავის მოადგილე ცნობილი ქართველი პოეტი გრ.ვოლსკი, რომელმაც წაიკითხა მისივე კოლეგის ტ.ტრიანდაფილიდესის მოხსენება „ბათუმის მოსაზღვრე მახინჯაური და მწვანე კონცხი“ მომხსენებელი კატეგორიული ტონით იცავდა ბათუმელი ექიმების აზრს იმის შესახებ, რომ ამ ქალაქს აქვს მაღალი კლინიკური ღირსებები, ამასთან ასახელებდა დაავადებებს რომლებზეც ადგილობრივი კლიმატი კეთილსამყოფლად მოქმედებდა (სამხ.დას.საქართველოს ისტორიის წარსული. 2008. 584. 585).

ბათუმის გიმნაზიის პედაგოგი, შემდგომში ცნობილი მეცნიერი აკად. ნ.დერჟავინი 1902 წ. წერდა: „ბათუმი თავისი არსებობის 25 წლისთავზე გაუვალი ტყეებისა და ჭაობების ნაცვლად მთელს ამიერკავკასიაში ერთ-ერთ საუკეთესო ქალაქად იქცა, არაფერი შეუშლის ხელს, რომ თავისი არსებობის 50 წლისთავზე იგი მართლაც ნიცად იქცეს, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით. ის მართლაც გახდება ნიცას მსგავსი ქალაქი, რადგან ყველა მონაცემი აქვს ამისთვისაც და კულტურული დაწინაურებისთვისაც“.

ბათუმის ექიმთა საზოგადოება წარმოდგენილი იყო კლიმატოლოგების, ჰიდროლოგების, ბალნეოლოგობეს მეორე ყრილობაზე, რომელიც 1903 წლის 1

სექტემბერს პიატიგორსკში გაიმართა. აქ ექიმმა ტ.ტრიანტაფილიდესმა წაიკითხა ორი მოხსენება „ბათუმისა და მისი მიდამოების კლიმატოლოგიისა და ნოზოლოგიაზე“.

მხარის პოპულარობა საკმაოდ შორს გადავიდა და არცაა გასაკვირი, რომ მახინჯაურში მამულები შეიძინა გერმანელმა პანცერმა, სწორედ იმ ადგილას, სადაც გოგირდოვანი წყარო მდებარეობდა, რომელსაც მოსახლეობა ოდითგანვე იყენებდა ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ. წინდახედულ პანცერს როგორც ჩანს, წინასწარ ჰქონდა გამიზნული წყაროს გამოყენება, მაგრამ ხელსაყრელ მომენტს ელოდა, ეს მომენტი დაჩქარდა ექიმთა დისკუსიათა დასკვნებით. ამის შესახებ კრებულში „ბატუმსკოე პობერეჟიე“ იუწყებოდნენ, რომ 1911 წლის 1 იანვრიდან მახინჯაურში პანცერის მამულში ახლადაგებულ შენობაში გაიხსნა გოგირდის წყლების აბაზანები, რომლებსაც ავადმყოფებისათვის აქვს ოთახები და ბუფეტი.

ექიმი სოლოვკიანი ქ.ბათუმში 1906 წელს ჩამოვიდა, მისი ინიციატივით 1911 წელს ჩამოყალიბდა ბათუმის საკურორტო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე თვითონ იყო. ს.სოლოვკინის ხელმძღვანელობით 1912 წელს ბათუმის ექიმთა საზოგადოებამ შექმნა სამალარიო კომისია, ხოლო 1913 წელს ბათუმში მისივე ინიციატივით გაიხსნა რუსეთის მასშტაბით პირველი სამალარიო სადგური.

გამართლდა ექიმ ს.სოლოვკინის წინასწარმეტყველება, მის მიერ დაწყებული ბრძოლა მალარიის მოსასპობად სასახელოდ დაგვირგვინდა. აჭარაში 1936 წლისათვის მოსახლეობის ისტორიული სენი მალარია ლიკვიდირებული იყო (აჭარის სახ. მუზეუმის შრომები, ტ. VII. ბათ. 1972. 15.16).

1914 წელს დაწყებულმა იმპერიალისტურმა ომმა ხელი შეუშალა მალარიის საწინააღმდეგო სადგურის სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სამეცნიერო- საკვლევ მუშაობას. ქალაქის თვითმმართველობამ მას დახმარება შეუწყვიტა.

1915 წლის ივლისიდან სადგურში განახლდა ავადმყოფთა მიღება მაგრამ სადგურში მომუშავე ექიმების ჯარში გაწვევის გამო მუშაობა ძალიან შეიზღუდა. ავადმყოფთა მიღებას აწარმოებდა ერთი ექიმი კვირაში 3 დღეს და ისიც ერთი-ორი საათით, რის გამოც 1905 წელს ხუთი თვის განმავლობაში (აგვისტო-დეკემბერი) სადგურმა სულ 923 ავადმყოფი გაატარა, აქედან 129 პირველადი ავადმყოფი. 1916 წლიდან მედიკამენტების მარაგის გამოლევის გამო, მალარიის საწინააღმდეგო სადგურში მუშაობა უფრო შესუსტდა, 6 თვის განმავლობაში მან მხოლოდ 472 ავადმყოფი გაატარა.

1915-1916 წლებში მალარიის საწინააღმდეგო სადგურის ფაქტიური გასავალი წლიურად შეადგენდა 1725 მანეთს (აქედან ექიმის ხელფასი 780 მანეთი, დამლაგებლის 120 მანეთი, წვრილმანი ხარჯები 75 მანეთი და ინვენტარის შეძენა 30 მანეთი).

ინფექციის წყაროსა და ავადმყოფთა გამოვლინებაზე არავინ ზრუნავდა ამაზე ნათლად ლაპარაკობს ექიმი კ.ა.მხეიძე საანგარიშო მოხსენებაში: „საანგარიშო პერიოდში ათაშანგით დაავადებულთა 2/3 მკურნალობის კურსის დამთავრებამდე გაეწერა საავადმყოფოდან, გაწერის მიზეზად ყველანი უსახსრობას ასახელებდნენ. მკურნალობის დამთავრებამდე გაწერის შედეგი ნათელია - ავადმყოფს მალე უვითარდება რეციდივი, რომელიც ზოგჯერ ავადმყოფისათვის შეუმჩნეველი რჩება. ის უსახსრობის გამო ვერ მიდის საავადმყოფოში. ავადმყოფი ბედის ანაბარა რჩება, დადის პაპულებით პირის ღრუში და თავის ავადმყოფობას გადასცემს სხვას.

1914 წელს ქალაქის საავადმყოფო სკოლის შენობაში გადაიტანეს და ამის შემდეგ მას ვენერიული განყოფილება აღარ ჰქონია. ვენერიულ ავადმყოფთა მიღება ხდებოდა 1908 წ. გახსნილ კერძო ამბულატორიაში.

აჭარაში არც ერთი დისპანსერი, კონსულტანცია და სხვა სპეციალიზებული სამკურნალო დაწესებულება არ არსებობდა. მეფის მთავრობამ აჭარაში 40 წლის მანძილზე მხოლოდ ერთი საავადმყოფო გახსნა ბათუმში, ხულოსა და ქობულეთში არსებული საავადმყოფოები უაღრესად პრიმიტულ მდგომარეობაში იყვნენ და უმეტეს შემთხვევაში იქ მხოლოდ ფერშლები მუშაობდნენ, რის გამოც აღნიშნულ საავადმყოფოებს მოსახლეობა თითქმის არ მიმართავდა.

ბათუმის ქალაქის საავადმყოფოში მკურნალობა ფასიანი იყო. ავადმყოფებს ამბულატორიულ და ბინაზე მომსახურეობას უწევდნენ კერძოდ მომუშავე ექიმები. ასეთ მდგომარეობაში მოსახლეობა ფაქტიურად მოკლებული იყო სამედიცინო მომსახურებას. უსახსრობის გამო ავადმყოფები საავადმყოფოს და ექიმთა კერძო კაბინეტებს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ დახმარებისათვის და ამიტომ ექიმბაშების, მკითხავების და სხვა ჯურის „მკურნალების“ მსხვერპლი ხდებოდნენ. ქალაქსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში გამეფებული იყო ანტისანიტარიული მდგომარეობა, თითქმის არ ტარდებოდა გარემოს გამაჯანსაღებელი და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

აღნიშნული გარემოების გამო ბათუმის ოლქში ყოველწლიურად ჰქონდა ადგილი ყვავილის, ქოლერის, შავი ჭირისა და პარაზიტული ტიფის ეპიდემიების შემთხვევებს. ფართოდ იყო გავრცელებული მალარია, ტუბერკულოზი და ვენერიული სნეულებები.

მშრომელთა ცხოვრების უკიდურესი მძიმე პირობები ინფექციური სნეულებების მუდმივი ეპიდემიები და სამედიცინო დახმარების საკითხის მოუწესრიგებლობა სიკვდილიანობის დიდ მაჩვენებელს იძლეოდა.

ამრიგად აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას უწევდა ქალაქის ერთი 120 საწოლიანი საავადმყოფო მალარიის საწინააღმდეგო სადგური, სოფლის ორი (10-15 საწოლიანი) საავადმყოფო (ხულოსა და ქობულეთში) ერთი საექიმო და ერთი საფერშლო პუნქტი, ერთი კერძო ამბულატორია და ხუთი აფთიაქი. აქედან ერთი აფთიაქი ქობულეთში. ბათუმის ოლქში 25 ექიმი და 45 საშუალო სამედიცინო პერსონალი მუშაობდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კომახიძე თ., ქალაქ ბათუმის ჯანმრთელობის კერებისა და საკურორტო ქსელის განვითარების ისტორია, ბათ., 1977.
2. კომახიძე თ., აჭარის მოამაგენი, ბათ., 1955 წ.
3. სურმანიძე რ., ჯანმრთელობის დაცვის სათავეებთან, ბათ., 1972.
4. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, ბათ., 2008.
5. პერტია ა., ნარკვევები აჭარაში ჯანმრთელობის დაცვის ისტორიიდან, ბათ., 1958.
6. კვაჭაძე ვ., სურმანიძე რ., ჯანმრთელობის სამჭედლო, ბათ., 1974.
7. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ.7, ბათ., 1972.
8. სეგალი ექ., მუშათა საცხოვრებელი ბინები ბათუმში და ღონისძიებანი პირობების
9. გაუმჯობესებისათვის, ქუთაისი, 1903.

ნანა ქორიძე

ყოროლისთავის ციხის შესახებ

აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლებით არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გასული საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსი დ.ბაქრაძე,გ.ყაზბეგი,პ.უვაროვა, თ.სახოკია, ზ.ჭიჭინაძე; ჩვენი დროის მკვლევარები: ლ.მუსხელიშვილი, რ.მეფისაშვილი, ი.სიხარულიძე, ხ.ახვლედიანი, შ.რუხაძე და სხვები.

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდში დაცულია შ. აბაშიძის მიერ 1948 წელს დაწერილი მონოგრაფია ყოროლისთავის ციხის შესახებ, სადაც თავმოყრილია პირველი ცნობები და ჩანახატები შესრულებული მის მიერვე ციხის ადგილმდებარეობისა და ნაშთების შესახებ. ნაშრომში ვკითხულობთ; ,,ეს ციხესიმაგრე მდებარეობს სოფელ ყოროლისთავის [ორთა ბათუმის სასოფლო საბჭო] მახლობლად მდ. ყოროლისწყლის მარცხენა მხარეს, მაღლობ სერზე, გაუვალ ტყე ადგილზე მდინარიდან დაახლოებით კილომეტრზე მეტ აღმართ მანძილზე, ეგრეთ წოდებული ,,საყორინა''- ში, ადამიანი რომ ამ ნანგრევებზე მოხდეს, საჭიროა სოფელ ყოროლისთავში მდებარე წყალსადენის მეორე ჯებირს ნახევარი კილომეტრით გაცდე, მდინარის გაღმა უნდა გახვიდე და შემდეგ აღმართს შეუდგე. მხოლოდ ნანგრევებზე ასასვლელი გზა არ არსებობს, ტყით უნდა იაროს ადამიანმა [შ. აბაშიძე აჭარის ხ. ახვლედიანის სახ. მუზ. ხ. ფN. 396 1948 წ]

ყოროლისთავის ციხე აღწერა პროფ.იური სიხარულიძემ, [აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათუმი . 1962წ. გვ.53] . ამ ეპოქის მოვლენები და ციხესთან დაკავშირებული ბატალიები თავის ნაწარმოებში აღწერილი აქვს მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ ი.ფაღავას. ყოროლისწყალს მოიხსენიებს ევროპელი ავტორი ჟან ფრანსუა გამბა. ნაშრომს საფუძვლად დაედო 1821წელს, მისი მოგზაურობა

ამიერკავკასიაში ,,ბათოსი უნდა იყოს მდინარე ყოროლისწყალი''- წერს გამბა.

გვიანი შუა საუკუნეების ციხეთა შორის ყოროლისთავის ციხეს აქტუალობა არც დღეს დაუკარგავს. იგი მდებარეობს მდინარე ყოროლისწყლის მარჯვენა მხარეს, საკმაოდ მაღალ მთაზე. ყოროლისთავის ციხე მდინარე ყოროლისწყალიდან დაშორებულია დაახლოებით 1000 მეტრით, ასასვლელი ბილიკი მეტად დაქანებულია. ციხე აშენებულია კლდოვან სერზე, რომლის სიმაღლე მდინარე ყოროლისთავთან დაახლოებით 70 მეტრია. ამჟამად შემორჩენილია კოშკი, რომელიც კვადრატული ფორმისაა და გალავნის ნაშთები, რომლითაც გარშემორტყმულია ოთხივე მხრიდან ციხე. ციხეს უკავია დაახლოებით 300 კვ მ. ტერიტორია. ჩვენი საექსპედიციო ჯგუფი ციხეს მიადგა შესასვლელი მხრიდან. ეს ციხის სამხრეთ ნაწილი გახლავთ, სადაც გალავანთან ერთად შეინიშნება შესასვლელი კარები, რომლის სიგანე 80 სმ-ია, კედელზე შეიმჩნევა ხვრელი, რომელიც უნდა ყოფილიყო საურდულე, მისი სიღრმე 60 სმ. მასშტაბი 16X24 სმ.

სათვალთვავლო კედლების სიმაღლე 3მ.20სმ-ია. კედელზე შეიმჩნევა 3 სათვალთვალო ხვრელები, ორი გვერდი-გვერდ, ერთიც დაბლა მიწიდან 140 სმ-ზე დაშორებით. ხვრელის მაშტაბი სხვადასხვაა: 20X22სმ, 19X21სმ და 16X17სმ. შესაძლებელია იგივე ხვრელები წარმოადგენდნენ ასევე სათო-ფურებსაც. მათ შორის დაშორება 110-120სმ. სათვალთვალო კედელი ანუ იგივე ციხის შესასვლელი, ისევე როგორც თვით ციხე და გალავანი ნაგები არის თლილი ქვებით,კარის კუთხეებში დატანებულია თლილი ქვები ზომებით: 40-32-15 სმ.

ყოროლისციხის ტერიტორიაზე არსებული ნაგებობა წარმოადგენს დარბაზს,რომლის ფართობია 16,2კვ.მ. ნაგებია ასევე თლილი ქვით,კირის ხსნარზე, ასევე, სავარაუდოა, რომ ეს ქვები მოპოვებულია მდინარე ყოროლისწყლის ზედა წელში. ციხის ჩრდილოეთი კედლის უკიდერეს ქვედა ნაწილში შეინიშნება ხვრელი, რომელიც სანახევროდ მიწაშია ჩაფლული, სავარაუდოა, რომ ციხეში შესასვლელი აქედან იყო; აქიდან ხდებოდა ციხის მომარაგება სურსათითა და წყლით. ამჟამად არსებული ჩრდილო კედლის სიმაღლე 2მ.და70სმ-ია. კედლის სისქე მერყეობს ზემო ნაწილში 60 სმ-მდე, ხოლო ქვემოთ ერთი მეტრი იქნება. კედლის სიგრძე 6მ. და 60 სმ.-ია.

ციხის სამხრეთი კედელი - 3-4 მეტრია, სიგანით-6მ. და 40 სმ. ციხის კედლების შემოვლა შეუძლებელია ვინაიდან ფერდობია, დაქანებულია და ეკალბარდითაა დაფარული.

დასავლეთი კედელი-სიმაღლე 3მ.20სმ, შუა ნაწილი 3მ.50სმ. კედლოს მარჯვენა მაწილი 4 მ. სისქე 70-90 სმ.

აღმოსავლეთი კედელი- სიმაღლე 3მ. შუა ნაწილი 2,50 სმ. სიგრძე-7მ. 20სმ. ოთხივე კედელი ძალიან დაზიანებულია და ხელის შეხებით იშლება.

ციხის იატაკის შესწავლა კედლის ნანგრევების ჩახერგვის გამო არ მოხერხდა. შესწავლილი ნაშთებისა და ციხის ცალკეულ ნაწილთა განლაგების მიხედვით ჩანს, რომ იგი საბრძოლო თავდაცვითი და ამავე დროს ყველაზე საიმედო თავშესაფარი უნდა ყოფილიყო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა და ამავე დროს ისტორიული ვითარების გამო, ასევე ქვის წყობის ,სათოფურების მიხედვით ეს ციხე XVI-XVII სს შეიძლება დათარიღდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე შ. სოფ. ყოროლისთავის ციხესიმაგრის აღწერილობა, ნახატები და ნახაზები. 1948 წელი აჭარის მუზეუმის ხ.ფ.N 396.
2. სიხარულიძე ი. აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათუმი 1962 წ. გვ.53.
3. კომახიძე თ. აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი, ბათუმი, 2010 წ. გვ.93.
4. ქორიძე ნ. ღლონტი გ. სადაზვერვო სამუშაოები ყოროლისთავის ციხეზე, 1982 წ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი N396

.





მზიური მჟავანაძე

ელიას ციხე

ელიას ციხე მდებარეობს მაღალ გორაკზე, საიდანაც კარგად მოჩანს ქობულეთი, კერძოდ ქობულეთის სამი დიდი სოფელი ჭახათი, აჭყვისთავი, ქაქუთი და გურიის შემოგარენი.

ელია ჭექა-ქუხილის ღმერთი იყო. არის თქმულება „იესო ქრისტე, ელია წინასწარმეტყველი და წმინდა გიორგი, სადაც ელია გლეხებს ეუბნება: „მე ელია ვარ, პურის მოსავალს გაძლევ, თქვენს ყანას წვიმას ვუგზავნი ხოლმე და ჭირნახულს მფარველობას ვუწევ“. ელიას სეტყვის, გვალვის აცილებას ევედრებოდნენ. რაფიელ ერისთავის ჩანაწერების მიხედვით, ელია ცაზე ცეცხლოვანი ეტლით მსრბოლავ არსებად წარმოუდგენიათ ქართველებს, რომელიც ელვას იწვევდა. (კომახიძე, 2010: 10) მისი სახელი საქართველოში არაერთი ადგილის, მთისა და ციხისთვის შეურქმევიათ. ქობულეთში დღემდე შემორჩენილია მის სახელთან და ამინდის რიტუალთან დაკავშირებული ხსოვნა. ელიას მთასა და ციხეზე ხალხში მრავალი თქმულება ლექსია შემონახული.

„ელიას მთაო მაღალო, წმინდა ელიას სახლკარო,
რას იშურები ღრუბლებში, მაშინებ, „ვერ გადახვალო“
ჩაჩუცად სიო მოგზავნე, ყურში ჩამძახის „ტყვე ხარო“
წმინდა გიორგი მწყალობს და გული მიჩივა ჩახვალო.
რისთვის ირჯები რას მერჩი „ფეხებშებორკილ მყავხარო“
ერთი ყელამდე ამიშვი, ქვემოთკენ თავი დავხარო,
ვეღარ დამიჭერ თუ გინდა თავს რისხვა გადამაყარო
ელჭექით, ჭექა-ქუხილით, რომ შეძრა მთელი სამყარო
თოვლში ბუჩქები ჩახერგო, თავს სეტყვა გადააყარო
ხოშკაკალით, თოვლს სვავებით, სავალი გზები დაფარო
ყელამდე თოვლში ჩაფლული, გეგონოს „ვერ წამიხვალო“
მოგიკვდე უარ გათქმევინო, ვაჟკაცი დევსა გავხარო“ (სიხარულიძე, 1959:111).

ცეცხლს ანთებდნენ და ასე აგებინებდნენ მთელ გურიას მტრის შემოსევას.

ხოლო ბოლო ლეგენდა ტყვეთა ვაჭრობა უკავშირდება ტყვეებით მოვაჭრე ყოფილ სახელად ილიას, რომელსაც ტყვეები გურიიდან გადმოყავდა ციხეში მიჰყავდათ და აქედან ყიდდა.

დიმიტრი ბაქრაძე თავის წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ სინანულით აღნიშნავს, რომ უამინდობის გამო „ვერ მოვინახულეთ ელიას ციხე, რომლის ძირშიც გადიოდა ჩვენი გზა. ეს ციხე თუმცა უშესანიშნავესი პუნქტთაგანია მთელი ჭახათის სიგრძეზე, რიონის ველის თითქმის ყველა მხრიდან ჩანს, მაინც გამორჩენილია ყველა ჩვენს რუკაზე, მაშინ როცა უმნიშვნელო ციხე-კოშკები აღნიშნულია. (ბაქრაძე. 1879:87).

ხარიტონ ახვლედიანს დიდ ციხეებს შორის აქვს მოხსენიებული ელიას ციხე თავის ნაშრომში „ნარკვევები აჭარის ისტორიიდან“ სადაც წერს „აჭარაში ცნობილი ციხეების: ციხისძირი-ქაჯეთი, თამარის ციხე, საღორეთის ციხე, ციხე სიკასულო, ზენდიდის ციხე და ელიას ციხე. (ახვლედიანი, აჭმ. ხ.ფ. 331:183). აქვე დასძენს, რომ „აჭარაში ერთი ტენდენციაა, სადაც არ უნდა ნახო ციხე-სიმაგრე ყველას თამარის ციხეს ეძახიან“.

ვახუშტი საქართველოს გეოგრაფიაში ასე მოიხსენიებს ელიას ციხეს: „ამ ხინოს მდინარის სამხრეთით მთის ძირას, აქვს ციხე კარგი“ ამის შესახებ ალექსანდრე ქათამაძე ასეთ განმარტებას გვაძლევს „რომ აჭვის ციხე ელიას ციხე უნდა იყოს და აჭვი კი სოფელ აჭყვისთავი, რადგან ლიხაურის შემდეგ ქობულეთში არსად გარდა ციხისძირისა, არ მოიპოვება ასეთი მაგარი და რთული ნაგებობის ციხე. სიმაგრე თუ კი ვახუშტის ლიხაური ციხის შესახებ ჰქონია ცნობები, მით უფრო შეუძლებელია, რომ აჭყვისთავის ციხის (იგივე ელიას ციხის) შესახებ არაფერი სცოდნოდა.

მეტად დამაჯერებელ და საინტერესო აღწერილობას გვთავაზობს ალექსანდრე ქათამაძე ელიას ციხესა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ელიას ციხესთან თავს იყრის სამი უღელტეხილი (აღმოსავლეთის, ჩედილოეთის და დასავლეთის მხრიდან). სამივე უღელტეხილით შეიძლება ელიას ციხის ძირში მისვლა, მაგრამ ციხეს ასასვლელი მხოლოდ ერთი მხრიდან დასავლეთიდან აქვს. თვით კონუსისებური გორა, ოდნავ ოვალური, მრგვალი ფორმისაა და თავი წაკვეთილი აქვს. ხოლო კედლები სიპი კლდისაა და სწორი პერპენდიკულარულია. ციხეს ირგვლივ ქვიტკირით ამოშენებული გალავანი შემოსდევს, რომლის სისქე 1,3 მეტრი, ხოლო სიმაღლე 3-5 მეტრამდეა (კედლები აქა იქ გამგრეულია). დაახლოებით 4-5 მეტრის ქვემოთ ციხეს ირგვლივ ტერასები გასდევს (1-2 მეტრი სიგანისა) რომელიც ფეხის გზას წარმოადგენს, ხოლო ასეთივე მეორე ზოლი (ე.ი.ციხის ირგვლივ სასიარულო გზა) ციხის კედლებიდან ქვემოთ 15-20 მეტრის დაშორებითაც არის გაკეთებული. უნდა ვივარაუდოთ რომ ციხის ირგვლივ სასიარულო გზები წარმოადგენდა პირველი (ქვემო) და მეორე (ზემო) საბრძოლო ხაზებს შემოსულ მტრებთან შესახვედრად. ჩვეულებრივ მტერს საბრძოლო ველზე ხვდებოდნენ და მტრის ძალთა უპირატესობის შემთხვევაში კი ბრძოლით იხევდნენ უკან და საბოლოოდ ციხეში მაგრდებოდნენ.

ციხე-კოშკის შიგა ფართობი დაახლოებით 165 კვადრატული მეტრია, ციხის გალავნის დასავლეთ კუთხეში აშენებულია კოშკი, რომლის სიმაღლე 2 მეტრია. კოშკს სამკუთხედის ფორმა აქვს, მისი კედლები, სახურავი ქვითკირით ყოფილა ამოშენებული. კოშკები ჩანგრეულია. კოშკის კედლებში სათვალთვალო ხვრელები ყოფილა გაკეთებული, ხოლო მოგვიანებით სათოფურებიც. ეს კუთხის ნაგებობა, რომელსაც ჩვენ კოშკს ვეძახით, ამავე დროს საიმედო თავშესაფარი და სურსათ-სანოვაგის შესანახი უნდა ყოფილიყო. კოშკის ნახევარი ნაწილი მიწაშია ჩაშენებული და საერთოდ მისი სიმაღლე ხის კედლებზე უფრო დაბალია.

ციხეს შუა ადგილას ჰქონია ჭა, რომელიც ამჟამად ჩატეხილია. ჭა სამეურნეო დანიშნულებისა იყო (ყველაზე სარწმუნოა, რომ ჭაში წყალი ექნებოდათ შემონახული).

უნდა ვთქვათ, რომ ასეთ მაღალ და მიუვალ მთის წვერზე ასეთი რთული ნაგებობის გაკეთება და ისიც ქვაკირით უდიდეს სახელმწიფო ხარჯებს და დახელოვნებულ ოსტატებს მოითხოვდა. (ქათამაძე, ხ.ფ.1057)

სავარაუდოდ ციხე მე-13 - მე-14 საუკუნეებში უნდა ყოფილიყო აშენებული. ალექსანდრე ქათამაძე აქვე დასძენს, რომ შესაძლებელია ციხე გურიის მთავრების გურულების აგებული უნდა იყოს, რომელსაც იყენებდნენ დაუპატიჟებლად შემოსულ მტერთაგან თავდასაცავად. ეს კი ცხადია და უეჭველია, რომ ელიას ციხე-სიმაგრე გურიელების ერთ-ერთი საიმედო თავდაცვისა და მტრისათვის მიუვალს წარმოადგენდა“.

ციხე თავდაცვითი მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო, კეტავდა კინტრიშის ხეობიდან გურიაში გადასასვლელ ერთადერთ გზას. მტკიცდება, რომ ელიას ციხე აგრეთვე

გამოყენებული ყოფილა ყაჩაღი მძარცველების მიერ თავშესაფრად და ტყვეთა მტაცებელთა თავშესაფრად. აქვე უნახავთ ადამიანების ჩონჩხიც.

ელიას ციხე-სიმაგრე აჭარაში ერთ-ერთი ყველაზე ძნელად მისასვლელი ნაგებობაა და ამიტომაც მატერიალური კულტურის ძვირფასი ძეგლია.

საინტერესო და სასურველი იქნებოდა ამ ციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული შესწავლა, რომელიც ფარდას ახდის ხავსისა დანარეკლის საბურველს ქვეშ მოქცეულ საიდუმლოებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სიხარულიძე ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმკა, წიგნი 2, ბათ.1959 წ. .
2. ბაქრაძე დ. „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, სანქტპეტერბურგი, 1878 წ.
3. ახვლედიანი ხ. ნარკვევები აჭარის ისტორიიდან. - აჭმ.ხ.ფ.336.
4. ქათამაძე ა.ინტრიშის ხეობის ისტორიისთვის. - აჭმ. ხ.ფ. 1057. 1959წ.

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია 2000-ზე მეტი ხელნაწერი - ქართულ, სომხურ, თურქულ, არაბულ, სპარსულ, ბერძნულ და სხვა ენებზე. ხელნაწერთა ფონდში ინახება საქართველოში და კერძოდ აჭარაში მოღვაწე მეცნიერთა შრომების ხელნაწერები და ასევე, მუზეუმში მოღვაწე მეცნიერ-თანამშრომლთა შრომები და სტატიები. ჩვენ პერიოდულად ვაქვეყნებთ ამ შრომებს, რომლებიც გამოირჩევიან საკვლევი საკითხის პირველადი შესწავლით, რაც შემდგომ მრავალგზის გამხდარა უფრო ვრცელი შრომების საფუძველი. ასეთი გახლავთ აქ გამოქვეყნებული შრომა: ,,აჭარელი დედოფლები'' (უფროსი მეცნიერ-მუშაკი ემინე მახარაძე. 1985 წ.) შრომა ეხება ქართულ ეთნოგრაფიაში იმ დროისათვის შედარებით ნაკლებად შესწავლილ თემას.

იმედია ეს მცირე ნაშრომი ხელს შეუწყობს ამ თემის მომავალში უფრო ღრმად შესწავლას.

ნანული სებუა.

† ემინე მახარაძე

„აჭარული დედოფლები“
1985 წ.

სათამაშოები განუყრელი თანამგზავრია მოზარდი თაობის ფიზიკური წრთობის და სულიერი ცხოვრებისა. გოგო-ბიჭების გართობა პატარა სარკესავით აირეკლავს სათანადო ქვეყნის თუ კუთხის წეს-ჩვევას, ჩაცმა-დახურვას და ა.შ. იმ უამრავ სათამაშოებიდან დედეოფალა მსოფლიოს ყველა კუთხეში უსაყვარლესი სათამაშოა გოგონებისათვის.

საქართველოშიც, ბარში იქნება თუ მთაში პატარა გოგონები ყველგან თავს დასტრიალებენ თავიანთ დედოფლებს, როგორც ,,ღვიძლ'' შვილს. აჭარაშიც, ასევე თავს ევლებიან პატარა გოგონები დედოფლებს, თვითონ კერავენ დედოფლებს, უკერავენ კაბებს. არის შემთხვევა, როდესაც გათხოვილ ქალს თან მიაქვს სათამაშო დედოფლები ქმრის ოჯახში, ერთობა მათი მოვლა-პატრონობით, სანამ ნამდვილი შვილი გაუჩნდება. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცულია დედოფალა, რომელიც დანიშნულ ქალს მიჰქონდა ქმრის ოჯახში.დედოფალა და მისი თამაში საოჯახო ყოფას ზედმიწევნით წარმოგვისახავს. მსგავსი შემთხვევები საქართველოს სხვა კუთხეებშიც მონიშნულია. დედოფალა ადამიანის მიმსგავსებით უხსოვარი დროიდან არსებულა. პატარა ქანდაკებანი, რომლებიც მიკვლეული იქნა ძველ სამარხებში, ისინი რელიგიური თაყვანისცემის მრავალრიცხოვან ობიექტებს გამოხატავდნენ. დროთა ვითარებაში მათ საკულტო დანიშნულება დაუკარგავთ. ამის მაგალითია აჭარაში შემონახული ,,ლაზარობა''.

აი, როგორ აღწერს ოლადაურელი ასიე ქარცივაძე ლაზარობის რიტუალს. ,,მეიყრიან ბაღვები (ბავშვები) თავს და თლათ სოფელი მეიყრებიან და ვებნებით:

,,ლაზარე მოდგა კარსა
აღარღალებს თავსა,
აბლამ მოადგა თაროსა
დაემსგავსა მთვარესა

ღმერთო მოგვე წვიმა-წყალი
შიგვინახე მზისა თვალი.''

მემრე მოქცემენ იაღს, ია ფქვილს, კვერცხს, ყველს. ამათ ერთ ადგილას მოვჭუჭკავთ, ერთი სოფლის ქალი გააკეთებს საჭმელს და მოგვართუმს. ასე უწინ ვიცოდით, ახლა მაინდამაინც აღარ ვიცით.

ასევე ლაზარობა იციან ხიხაძირის სასოფლო საბჭოში, ყველაფერი ასევეა, მაგრამ დედოფალას მაგივრად იქ ცოცხს აცმევენ კაბას, ცოცხის თავს მოურთავენ სახეს. ასევე კარდაკარ დაატარებდნენ ზემო აღნიშნული ლექსით და შემდეგ რიტუალი გრძელდებოდა. აქ წარმართული რწმენაცაა მასზედ, რომ ასეთი რიტუალით თუ წვიმაა, დარს შესთხოვდნენ და თუ გვალვაა, დედოფალას მდინარეში განბანენ და ამბობენ ,,აღარ გვინდა მზისა თვალი, ღმერთო მოგვე წვიმა-წყალი''. ახლა ამ რიტუალს ბავშვები ასრულებენ თან თამაშობენ,დედოფალას აკეთებენ.

სოფელ ფუშრუკაულში ლაზარობას ასე იწყებენ:

„შინო, შინო ჩიტმა შეგაშინა,
ცალი მხარე მოგატეხა,
ცალი შეგარჩინა,
აბლახანუმ ყალ ხასანა,
ვარ ქულელე ვარსანა.
აბლა მოდგა თაროსა,
დაემსგავსა თვარესა.
აღარ გვინდა წვიმა-წყალი,
ღმერთო მოგვე მზისა თვალი.''

აქაც ცოცხს მოაწყობენ. აფხაზეთში -,,ძივოუ' '(ლაზარობა). მასალა ამ რიტუალისა მომაწოდა აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდების გამგემ ნაზი ლორთქიფანიძემ, რომელსაც გაგონილი და მოსმენილი ჰქონდა დედისაგან - ჰაფიზა ალის ასულ ვავხატი ლორთქიფანიძისა. აჭარაში მცხოვრები აფხაზებიც, ასევე ხისგან გაკეთებულ დედოფალას დაატარებდნენ სოფლებში. აგროვებდნენ სურსათს, შემდეგ აკეთებდნენ და ერთად ჭამდნენ. დედოფალას მდინარეში განბანდნენ, შემდეგ ღმერთს შესთხოვდნენ დარს თუ ავდარს. დაგროვებული ხორაგით, როგორც ვთქვით მოილხენდნენ. ,,ძივოუს'' აფხაზური ტექსტი (აქ ჩემს მიერ ჩაწერილში მოხსენიებულია ,,ძივავათ''

,,ძივავა, ძივავა ძარი ქვა-ქვა
აჰა, იფჰა, მირკილდიშ აძი ლთახუპ
მუხუჭუქ ჰა საალიშთიპ
ხუჭოკამა დაჰზეთიოპ
დუუკაზე დაჰტიოპ.

/,,ძივოუ'' დედოფლების კატალოგი გვ.5. ჩემს მიერ მოპოვებული მასალით ,,ძივავა''. /ე.მახარაძე/

,,ლაზარე'' ეს არის ერთ-ერთი მაგალითი იმ წარმართული რწმენებისა, რომლის მიხედვითაც ასეთი ცერემონიალითაც შეიძლებოდა ბუნების ძალების გამგებელ ღვთაებათა გულის მონადირება და ადამიანისათვის სასურველი ამინდის გამოთხოვნა.

როგორც ვხედავთ მაგალითებიდან დედოფლებს დიდხანს შემორჩენია მაგიური დანიშნულება და მხოლოდ სულ ახლახან შემოფარგლულა მისი გამოყენების სფერო მარტოოდენ სათამაშო დანიშნულებით.

ბავშვის ფსიქოლოგიაში სათანადო ილუზიას აღძრავს მცირედი მსგავსებაც, თუნდაც ნაფოტს მოახვიო ნაჭერი და უკვე გაადამიანებულია. ასე მაგალითად, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცულია დედოფალა - ხეზე დახვეული ნაჭერი, სახედ ორკაპიკიანზე გადაკრულია ნაჭერი და ბავშვებისაგან ნაკეთ აკვანშია ჩაწვენილი, საგებიც აქვს. /აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი N 21174/.

დედოფლების ერთ ჯგუფს წმინდა სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა, ასეთები იყო მაგ. ფრინველების შესაშინებლად და მათგან ხეხილისა და ბოსტნეულის ან სხვა ნათესების დასაცავად, დადგმული იყო ე.წ . „საფრთხობელა“. აჭარაში „საფრთხობელა“ , „საფრთხიალა“. ქართლში „ბოსტნის დედოფალა“, ჯოხზე ჩამოცმული მამაკაცის ძველი პერანგი ან ჩამოფარებული ნაჭერია.

სოფელ ხიხაძირში მივაკვლიე ხისგან გამოთლილ კაცის ფიგურას. დედოფალა, რომელსაც მოძრავი ხელი და ფეხი ჰქონდა. სახლის წინ, ბოსტანში იყო გამოფენილი. ასეთი სხვაგან არსად მინახავს აჭარაში.

მთიან მხარეში მცენარეულ დედოფლებს აკეთებენ შქერის ფოთლებისგან და სხვა. აჭარაში სიმინდის ხვინტისაგან აკეთებენ დედოფლებს, ახვევენ ნაჭერს და დედოფალაა.

გაზაფხულზე დედოფლებს აკეთებენ ყაყაჩოებისაგან და მინდვრის ყვავილებისაგან.

დედოფლის ტანად ხმარობენ ჯოხს, ჩხირს, ფიცრის ნაჭერს. ქსოვილებისაგან მატყლით შეავსებდნენ.

აჭარაში ტანად უკეთებდნენ ორკაპ (ორპოტიკა) ჯოხს, უკეთებდნენ ხელებს ხისაგან,ტანზე ნაჭერს ახვევენ. სახეს ნაჭრისაგან აკეთებენ, აქარგავენ წარბებს, ტუჩებს, ცხვირს, ან ხუთკაპიკიანს ან ორკაპიკიანს ნაჭერს გადააკრავენ, ზოგჯერ ნახშირით უხატავენ ცხვირ- პირს. თვალ-წარბს ჯვარისებურად აქარგავენ. (იხ, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდში დაცული დედოფალა N20285). მას „ბადადი დედოფალა“-ს ეძახიან. მუზეუმში ჩამოტანილია ხულოს რაიონ სოფელ აგარიდან. ზექი ვაშაყმაძის დედოფალა მზითებში სათამაშოდ იყო განკუთვნილი.

ტანზე აცვამენ კაბებს, ისეთსავე, როგორსაც ამ კუთხის ქალები იცვამენ.

დედოფლები იკერებოდა ხელით. აკეთებდნენ თიხისა და პურის დედოფლებს. თიხისა მალე იფშვნება. მათ რიტუალური დანიშნულება ჰქონდა. ასეთი აჭარაში არაა დადასტურებული. ძველ ნაწერებში დაცულია ცნობები, მასზედ რომ გოგრისაგან კეთდებოდა დედოფალა. აჭარაში გოგრის ძროხებს აკეთებდნენ სათამაშოდ.

სახის ჯვარედინად ამოქარგვა შეიძლება დაუკავშირდეს გაღმერთებულ მნათობთა, ასტრალურ ღვთაებათა სიმბოლოებს, მაშასადამე განეკუთვნება იმ ხანას, როდესაც დედოფალა საკულტო გამოსახულებას წარმოადგენდა.

უფრო იშვიათად სახე დაუქარგავი ან დაუხატავია, ან რაიმე ქსოვილი აქვს გადაკრული. დედოფალას ხშირად თმასაც უკეთებდნენ, ბუნებრივ თმას, მატყლს თუ ფუჩეჩს. ხშირად უსახო დედოფალას უკეთებდნენ თმებს, მაგ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ უსახო დედოფალას აქვს ძაფების (თეთრი და წითელი) თმები.

ამჟამინდელ დედოფლებს უკეთებენ კაპრონის თმას და მოდურადაც აცვიათ. ზოგ დედოფალას გულზე ჰკიდია მძივი. ჩვენს დედოფლებს წინსაფრები უკეთია შინნაქსოვი შალისაგან. ნაქსოვი ფეშტემალიც უკეთიათ.

დედოფლებს ხშირად უკეთებენ აკვანს. აკვანს უფროსები აკეთებენ, ახატავენ, აფერადებენ. ჩვენს მუზეუმში დაცულ დედოფლებს ბავშვების თვითნაკეთი აკვნები აქვთ. ლეიბ-საბნებს უკერავენ თავიანთი საგებ საფარებლებით.

ჩვენში - აჭარაში, სოფელ ღორჯომში აკეთებენ დედოფლების სათამაშო აკვნებს, მათ აჭრელებენ ბუნებრივი საღებავებით. ახატავენ წრეებს, გრეხილ ხაზებს, ყვავილებს, ასეთ აკვნებს ჰყიდდნენ მთაში, გადაჰქონდათ ბახმაროში და იქაც გოგონები თავიანთ სასურველ დედოფლებისათვის ყიდულობენ აკვნებს.

გოგონები თავიანთი საყვარელი დედოფლებისათვის სახელებს არჩევენ. დედოფლების სახელებია: „ტიკინა'', „გოგია", „კოკა'', „კუკი", „ჭონჭი კუკია", აჭარაში „ბადადი დედოფალა'', „კიკო'', „თოჯინა", „თოჯი ბიჭი", „თოჯი გოგი", „შვილიკა", „ძიძი ქალა", „ლალა", „ბაითაყვა", ,,თიკანა " და სხვა.

აჭარაში ერთი მთხრობელი უ. მახარაძე ყვება: „ჩვენ დედოფლებს ვაკეთებდით ხიდან, ზეთ ნაჭერს ვახვევდით, ხის ხელებს ვუკეთებდით, კიდევ ვკერავდით ნაჭრის დახვევით, სიმინდის ხვინტალისაგან. პირს ვაკეთებდით შეკერვით, ზეთ ვაქარგავდი თვალ-წარბს, პირ-ტუჩს". ჯოხიდან გამოვკვეთავდით ტანს პირ-სახეს, ძველი ნიკოლოზის ხუთკაპიკიანს ნაჭერს ვაკრავდით, სახეზე ხაჩს (ჯვარს) ვაქარგავდით, ანდა ყურშუმ-ყელემით (ფანქარი) ვახაზავდით ცხვირს, თვალებს, წარბებს, ტუჩს, ნახშირითაც. კაბებს ვკერავდით, ლებ-საბნებით ვთამაშობდით, ამ თამაშს სახლობიას ვეძახოდით".

ადრე ბავშვთა სათამაშოებისათვის არავინ ზრუნავდა და არც იყიდებოდა. შემდეგ კი ბათუმში სახლებში აკეთებდნენ სათამაშოებს და შემდეგ იყო სპეციალური მაღაზიები და იქ ჰყიდდნენ თვითნაკეთ სათამაშოებს.

ბათუმში ასეთი ოჯახი იყო მირონოვების ოჯახი. ისინი ცხოვრობდნენ ამჟამად ტურგენევის ქუჩაზე. აკეთებდნენ დედოფლებს, ქათმის საკენკავებს, დედოფლების აკვნებს და სხვა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სოფლის გოგონები თავიანთი ხელით აკეთებდნენ დედოფლებს და ერთობოდნენ.

ყურანის მიხედვით ყველა გასართობი ბავშვებისათვის აკრძალული იყო. ბიჭებისათვის ბურთის თამაში, რადგან სპარსელების ეროვნულ გმირს ალი ფეიღამბერს თავი მოკვეთეს და მოკვეთილი თავი (დუშმანებმა) მტერმა აგორავეს. მიუხედავად ამისა ჩვენი წინაპარი ბავშვები აკეთებდნენ ნაჭრის ბურთს „ნაჭრის ბურთი". შემოდგომაზე საქონელს ბანალი ცვიოდა, ბალანს აგროვებდნენ, თელავდნენ მრგვალად და ბურთსაც თამაშობდნენ გატაცებით, ეჯიბრებოდნენ უბანი-უბანს. გოგონებისათვის თავიანთი საყვარელი თოჯინებით თამაში იკრძალებოდა. ერთი მთხრობელი ესმე შაქარიშვილი ამბობდა, „დედოფლის გაკეთება არ შეიძლება ნენი, იმ დუნიას (იმ ქვეყანას) სული უნდა ჩუუდგას".

დღეს ჩვენი საყვარელი თაობებისათვის აგებულია სპეციალური სათამაშოების ფაბრიკები, სადაც ათასნაირი სათამაშო დედოფლები კეთდება, თვალხუჭია, მოტირალი და სხვადასხვა ზღაპრების სამყაროდან გოგონები, წითელქუდა და სხვები. ბავშვები თვითნაკეთი თოჯინებითაც ერთობიან და თავიანთ შემოქმედებასაც აქსოვენ. ბავშვებისათვის, ასევე საყვარელია მხატვარ ნელი ოქროპირიძის სათამაშოები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ღოღობერიძე ნ, ქართული ხალხური დედოფლები", კატალოგი, თბ., 1968 წ.
2. ჯანელიძე დ., ქართული თეატრის სალხური საწყისები, ბ., 1948 წ.
3. მახარაძე ე., საველე-ეთნოგრაფიული მასალები (ხელნაწერი)
„აჭარული დედოფლები" 1976 წლის ხულოს რაიონის ექსპედიციის მასალებიდან

ნათელა შერვაშიძე

ქართული დამწერლობის იშვიათი სახე „დედაბრული ხელი“. მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით

ქართული ანბანი უსრულესი და უმარტივესი ანბანია ყველა სხვა ანბანთა შორის. ქართული ანბანი სავსებით სრულყოფილი ინსტრუმენტია ქართული ენის მრავალფეროვან ბგერათა მთელი სიმდიდრის გადმოსაცემად. ასოები გადმოსცემენ ყოველივე ცალკე ბგერას ზუსტად და ნათლად, და ვერც ერთი სხვა ანბანი ვერ შეედრება მას ამ მხრივ.

ქართული დამწერლობა უძველესი სახეა ასომთავრული, მრგვლოვანი (ასოთა მოხაზულობის მიხედვით) შემდგომში მრგვლოვანი შეცვალა კუთხოვანმა ანუ ნუსხურმა (ხუცურმა) IX საუკუნეში. IX-X საუკუნებში ეს დამწერლობა ორივე იხმარებოდა.

ქართული დამწერლობის მესამე სახეა მხედრული, რომლის უძველესი სახე გვხდება X საუკუნეში, ათენის სიონის წარწერებში და აპოკალიფსის კომენტარებში.

ქართული დამწერლობის იშვიათი სახეა დედაბრული ხელი.ცოტა რამ დედაბრულთან მიმართებაში.დედაბრული ხელი ქართული მხედრული დამწერლობის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, გურიასა და აჭარაში ჩამოყალიბდა.პირველი ზოგადი დახასიათება, რომელიც დედაბრულ ნიმუშთან ერთად გამოქვეყნდა 1879 წელს , ეკუთვნის დიმიტრი ბაქრაძეს. „დედაბრული“ ხელი პირველად 1946 წელს გამოიყენა სიმონ ჯანაშიამ. 1949 წელს დედაბრული ხელი გამოიკვლია და მას ცალკე ნაშრომი მიუძღვნა თ.საჟომიამ. სამეცნიერო ლიტერატურაში „დედაბრული“ ხელის შესახებ მცირე ცნობებია. მას გაკვრით ეხებიან.ივ. ჯავახიშვილი, ს,ჯანაშია, დ. ბაქრაძე, თ. სახოკია, აპ.წულაძე, ხ. ახვლედიანი და სხვ.

როგორც ცნობილია, ეს დამწერლობა გავრცელებული იყო უცხოელთა მფლობელობაში მყოფ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (კერძოდ აჭარა-გურია), ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ეროვნული თვითდამკვიდრება. დამწერლობის ამ სახის ნიმუშები დღესაც მოიპოვება „თურქეთის საქართველოში“. 1877-1878 წწ რუსეთ- თურქეთის ომის შემდეგ. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით გამუსლიმანებულ მოსახლეობას მიეცა არჩევანის უფლება , მიეღო რუსეთის ქვეშევრდომობა ან შეეძლო ოსმალეთში გადასახლებულიყო. ასე დაიწყო დიდი გადასახლება, ემიგრაცია, მუჰაჯირობა, რომელიც უდიდესი ტრაგედია იყო ერის ისტორიაში. ძირძველი ქართული მხარეები დაცარიელდა. განსაკუთრებით დაზარალდა ქობულეთი-ჩაქვის, გონიოსა და ქვედა აჭარის რაიონები. ქართველ მუჰაჯირებს სამშობლოდან თან წაუღიათ ტრადიციები, ფოლკლორი, უცხო მიწაზე შექმნილი „პატარა საქართველოში“ კი დღესაც ცდილობენ შეინარჩუნონ საერთო-ქართული ზნე- ჩვეულება და მშობლიური ენა.

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, გაყვანილი იქნა ახალი სახელმწიფო საზღვარი. საზღვარს იქით თურქეთის ტერიტორიაზე დარჩა ქართული სოფლები. სწორედ იმისთვის რომ საზღვარს გაღმა-გამოღმა დარჩენილი ნათესავები ერთმანეთს რამეთი დამოკიდებული ყოფილიყვნენ, გამოიგონეს ეს საშუალება და შექმნეს ახალი მათთვის გასაგები ასოთა წყობა, რითაც დაიწყეს ერთმანეთთან დაკავშირება. სწორედ

ეს გახდა ურთიერთობის ეთრ- ერთი საშუალება ოსმალთა მფლობელობაში მყოფი ქართველი მუჰაჯირობისათვის.

ანბანის სახელთან დაკავშირებით, შეიძლება თქვას, რომ დედაბრული ხელის სახელწოდება უკავშირდება იმ ფაქტს რომ იგი ძირითადად ქალებს შორის იყო გავრცელებული. ამის შესახებ არსებობს გადმოცემები, თითქოს ქალებს დაეკისრათ მისია შვილებზე და შვილიშვილებზე გადმოსულიყო ტრადიცია, ზნე-ჩვეულებები, არ დაეკარგათ ქართული ენა და სარწმუნოება , რითაც შეძლეს შეექმნათ შრიფტი და ამიტომაც მას პირობითად „დედაბრული“ დამწერლობა დაერქვა. თ. სახოკია აღნიშნავს:'' როგორც სხვაგან, აქაც აჭარაში ჩვენი ერის გურჯებად მანდილოსნები ითვლებიან, მათ შორის არის დაცული ძველებური ქართული წერა“.

გაყოფილი საზღვრის მიუხედავად, საზღვრის გარეთ დარჩენილი ქართველები ერთმანეთს ხმას აწვდიდნენ დედაბრულ ანბანით დაწერილი წერილებით. „დედაბრულს“ მუჰაჯირი ქართველები იყენებდნენ ქართული მიმოწერისას, „დედაბრული ხელით“შესრულებული მოკითხვის წერილები შენიღბული ტიპისაა. ივ.ჯავახიშვილი წერს: „ძველ ქართულში ცოდნიათ კრიპტოგრაფიის ხელობა. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ „დედაბრული“ საიდუმლო ანუ სამალავი დამწერლობის კრიპტოგრაფიის ტიპად მივიჩნიოთ.'

დიმიტრი ბაქრაძე თავის „მოგზაურობაში“ წერს: „იქ დღემდე ხმარობენ ქართულ დამწერლობასაც, მაგრამ იგი, თუ არ შეეჩვიე ძნელად გაარჩევ. ყოველ შემთხვევაში ქობულეთურ- აჭარული წერილები ძნელად იკითხება მათი თავისუფლება ის არის, რომ ზოგი არის ფორმა საგრძნობლად შეცვლილი ან დამახინჯებულია.''

იმას, რომ „ დედაბრული ხელით“ წერა აქტიურად გამოიყენებოდა გურიასა და ქობულეთ-აჭარაში , მოწმობს აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული დედაბრული ხელნაწერი, რომელიც მუზეუმში შემოვიდა 1984 წელს.ეკუთვნის ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავში მცხოვრებ რუქიე ინაიშვილ-რომანაძეს. ხელნაწერი შეიცავს 3 ფურცელს. ერთ ფურცელზე დედაბრულით დაწერილია მოკითხვის წერილი,რომელიც ნაწილობრივ იკითხება, მეორე ფურცელზე კი დედაბრულით დაწერილია ლოცვები. მისი ამოკითხვა შეძლო მუზეუმის აწ განსვენებულმა, ფონდების მთავარმა მცველმა ალ.ქათამაძემ. (აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მქხეუმის ხელნაწერთა ფონდი N851).

ჩვენს ხელთ არსებული მასალა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მხედრულის ტიპის დამწერლობის ერთ- ერთ გრაფიკულ მახასიათებელს ქმნის ასოთა კუთხოვანი მოხაზულობა. აღსანიშნავია რომ „დედაბრული“ საკმაოდ შორდება „მხედრულს“ და უცნაური სოლისებური სახითაა წარმოდგენილი. იმდენად უცნაური, რომ სხვა ანალოგიური, ჩვენს ხელთ არსებული, ხელნაწერებისგან საკმაოდ განსხვავებულია. „დედაბრულით“ შესრულებული ტექსტების ამოკითხვის სირთულეს ქმნის ის, რომ სიტყვები გადაბმულია,მათ შორის ინტერვალი არ არის, არ დასტურდება არც ერთი პუნქტუალური ნიშანი. არსებული მასალა ნათლად ადასტურებს, რომ ფარული მიმოწერისათვის გამიზნული ხელნაწერები გაცილებით რთულად იკითხება. მისთვის ასევე ნიშანდობლივია ხმოვანთა სიჭარბე:'' სუხუვა რა მოკუწერო; მადლობელი ვარ;..'' ერთი რამ ცხადია, რომ:''დედაბრული ხელი“ ნიმუშია ქართული დამწერლობისა, რომელიც იხმარებოდა გამაჰმადიანებულ ქართულ მოსახლეობაში, უმთავრესად ქალებში.

„დედაბრული“ ხელი გავრცელებული იყო არაბულთან ერთად. ალექსანდრე ქათამაძის (ყოფილი მუზეუმის ფონდების მცველი) მიერ შეგროვებული მასალებით ირკვევა, რომ წერა-კითხვა და ისიც ძველებური (დედაბრული) ქართული იცოდნენ არაბულთან ერთად, მხოლოდ ხოჯებმა და შემლებული ოჯახის წევრებმა;- მაგალითად მოლა მევლუდ რომანაშვილს, ხასან დადიანს, მევლუდ მადოიშვილს ცოდნია დედაბრული წერა. ოსმალეთს აჭარაში დამკვიდრების შემდეგ ძველებური („დედაბრული“) ქართული წერა- კითხვა დავიწყებას ეძლეოდა და აღარ იყო ხელმისაწვდომი ფართო მასებისთვის. საინტერესოა, რომ ზაქარია ჭიჭინაძეს აჭარაში მოგზაურობის დროს უნახავს 200-მდე წერილი მუჰაჯირობისა „ქართული წერილებიც ვნახე, ქართულ ასოებს არაბულის სახე მიუღია ნიმუშები შევკრიბე“ აღნიშნავდა გულისტკივილით.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე წიგნში „მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“-არაფერს ამბობს დედაბრული ასოების შესახებ, მაგრამ აღნიშნავს რომ ქართულმა დამწერლობამ ცვლილება განიცადა: ,,Даже грузинская письмена в упетреплений там поникь но они без особого с трудом разбираются по крайной мер кобулето – Аджарская письмена которая мне показивали в Гурии, весьма не легко читались,, (Бакрадзе. 1890: 76-78).

„დედაბრული“ უფრო გვიანი პერიოდით შეიძლება დავათარიღოთ, ამიტომ მისი ამოკითხვაც უფრო ძნელია. თუმცა კინტრიშის ხეობაში დაცული ხელნაწერებშიც შეიმჩნევა განსხვავება და ზოგჯერ შეიძლება ასევე მიეკუთვნოს თუნდაც მე-18 საუკუნეს.

ჩვენამდე მოღწეულია ცნობები იმ ქალბატონების შესახებ, რომლებიც ახდენდნენ მიმოწერას. მაგალითად, მაჭახლის ხეობაში მცხოვრები ფადიმე კირკიტაძე, ფადიმე ავალიანი(მცხოვრები ქედის რაიონი, სოფ.დანდალო) რომელიც 1983 წელს 105 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის დედაბრულ ხელნაწერს „დედაბრულ კარაბადინს“ ეძახდა და ოჯახს უყვებოდა ამ წერილებზე, რომლებსაც გზავნიდნენ ოსმალეთში დარჩენილ ახლობლებთან.იგივე ცნობით ვიცით რომ, ეს წერილები მიმოქცევაში ხდებოდა მეტად სანდო ადამიანების მეშვეობით, ვინაიდან საიდუმლო ინფორმაციებიც კი იწერებოდა, მაგრამ ჩვენამდე მსგავსი ხელნაწერი ჯერჯერობით უცნობია.

დღეს როგორც ვხდებით ეს თემა აქტიური ხდება, მაგრამ ასევე უნდა ვთქვათ, რომ „დედაბრული“ ანბანის ინფორმაციული სიმცირის შესახებ ბევრმა არაფერი იცის და მისი გამშიფრელიც არავინ არის. აღნიშნული თემით დაინტერესებულა ჟურნალისტი ზ. ბაუჟაძე, რომელმაც აჭარის სახელმწიფო მუზეუმში არსებული „დედაბრული“ ხელნაწერი გაშიფრა: მუჰაჯირის მიერ გამოგზავნილი წერილი.

გვერდი პირველი-

ძალო ბატონო ნუნუ
ხანუმ გელი ხანუმ
მეკუწერე შენი ზ
ერითუ გამულუმუ
ჭერებელი დიდი დედ
ათილი გალობულის
უვილისუ ქალი ძალი
ა მენატურები იცოდე
იაილა ასულანი იმედუ

სუმა ნულესუ გადუ მ
მოყუ(რ.ვ?)ანიუ
ჭირიმე და შენ(ს.ი?)ე
წამო მაგი ნუ მომას
მე დუმასურე შენი სახელი
ბი(რ,ს?)უნილაში (სასე?)
ზუმე ბელა(წ?)ავიბი
თუ ვაზე(?)ანლებე
ელ ბადესო შუვილი
რ უშუვიოუ შომეგ
ულები და იმიზა გე
მეჭიდა ყუველაი რუ
თა სურო მოიყირისა
ოდები მე ხან(ა,უ?)

გვერდი მეორე:
ყოლიფერი კაქა მოდინარეუ დუსიკ
ოსუ ბიჭი მიეცა დი
(?)ესმა სურუ შენი ჭ
ირიმე შენი ფაშა
ი გეყურებანა ი
ცოდე გამიხადა რო
უ ჩემი თავი რო გა
გასედა მადულობ
ელი ვარუ დიდიც
ო აიშეე კარაფინსა
სუხუვა რა მოკუწ
ერო ასულა გაკიკი
ვიდება ჩემი დაწე
ვირუ წეირი თუჩ
აუმარა ჩუუედუფო
ხანუმო ბატონო
იშე(?)ციე ბობენა
ხურეი ცავ ღუ
კაქადა კაქა თუ იქა
ნები თუ ძალიანი გემ
იხადება შენი ჭირი
მე მასური ნუნუხელი
ასე იყო წერან(ი?)(ა?)

მომცრო წერილი. გვერდი პირველი:

სუხანელა ხუსუვემედუ იკით
უხოუ და რეჯებისუ თუვარეზ
აგი თუვარეუ დეილეუა შეყუ
ბანი დადიგებაუ იკითუხ
ოუდა ლაილახა მედირესულა
ნ ყველა ხე შეყუბანუმუ
ეთეილაბი ხიბეყოთულიმა
უღივიმუ ლევსილაყუვ
ახე ყალიიყეზ

სტამბულის არქივში დაცული ძველი XIX-ს დასაწყისის გაზეთებში არსებული მასალა იმის მანიშნებელია, რომ მსგავსი წერილები სწორედ საზღვრის მიღმა მუჰაჯირი ქართველების ოჯახებში დღესაც ინახება, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ისლამურ გარემოცვაში ცხოვრების მიუხედავად თურქეთის ქართველობამ ბოლომდე დაიცვა ქართული ყოფისა და კულტურის ზოგად ქართული თავისებურებანი, ძირძველი ტრადიციები, მშობლიური ენა. დამწერლობას დააკისრა ეთნიკური ფუნქცია და დაუპირისპირდა ისლამის მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ოსმალური ცხოვრების წესს. ეს იყო და არის ეროვნული თვითდამკვიდრების უმთავრესი წინაპირობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახვლედიანი ხ., ნარკვევები აჭარის ისტორიიდან, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა.“ ბათუმი, 1944.
2. ბაქრაძე დ., - Археологическое путешествие по грузи и аджарии. 1890 . 76-78 стр.
3. წულაძე ა., „ქართველი მუსლიმანები და ქართული წერა“, გაზეთი „საქართველო“N 274.
4. ხახუტაიშვილი მ., ეროვნული თვითდამკვიდრების ერთ-ერთი კომპონენტი, „დედაბრული ხელი“.
5. აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი N 851.
6. აჭარის ხ. ახვლედიანის სახელობის სახემწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი N 252.

ნატო ცეცხლაძე

აჭარის მუზეუმის ფრანგული წარმოების ექსპონატები

აჭარა XIX საუკუნის მე-2 ნახევრიდან სოციალ-ეკონომიკურ და კულტურული განვითარების ახალ გზას დაადგა.

ბათუმი თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ გადაიქცა საკმაოდ მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად. 1888 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია ბათუმში საქალაქო რეფორმის გასატარებლად. (საქართველოს ისტორია ტ. IV. 2012:71.)

ბათუმის ოლქის აღწერა, საქართველოსთან შეერთების შემდეგ გვხვდება ი.რეზერტის, ა.ფრენკელის, ე.ჟილინსკის და სხვათა შრომებში. იგი საქართველოს ერთ-ერთი თავისებური და განუმეორებელი მხარეა ჰავის, ნალექების განაწილების, ნიადაგ-საფარისა და მცენარეული ლანდშაფტების უნიკალურობის თვალსაზრისით. ზღვის სანაპირო უხვადაა დაჯილდოებული სითბოთი, სინათლით. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მრავალი სახეობის მცენარეთა ინტროდუქციის პიონერებად და სუბტროპიკული მეურნეობის პირველ დამაარსებლად ითვლებიან მ.დალფონსი, ი.ვერუ, ა.სოლოვცევი და სხვანი. პირველი ნარგაობა 1890 წელს გაჩნდა. მ.დალფონსმა, როგორც მცენარეთა დიდმა მოყვარულმა ნატიფი გემოვნებით გააშენა ბაღი და შეძლო ამ საქმიანობით სხვაც დაინტერესებულიყო.

1912 წელს საფუძველი ჩაეყარა ბათუმის ბოტანიკური ბაღის განაშენიანებას. დაარსების პირველ წლებში ბაღი შედიოდა მიწათმოქმედების დეპარტამენტის უწყებაში, რომლისგანაც ბოტანიკურ ბაღს მიენიჭა საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნიდან თესლებისა და ცოცხალი მცენარეების (ნერგები) თავისუფალი მიღების უფლება.

ბათუმის სოფლის მეურნეთა საზოგადოების დახმარებით ბოტანიკურმა ბაღმა კავშირი დაამყარა მსოფლიოს სხვადასხვა სუბტროპიკულ ოლქებთან და ბოტანიკურ ბაღებთან, მათ შორის მსოფლიოში ცნობილ ფირმებთან „გააგე და შმიდტი“ (გერმანია), „ვიჩი“ (ინგლისი), „ნაბონანდი“, „გროპენი“ და „ვილმორინი“(საფრანგეთი) და სხვა. საიდანაც ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა მიიღო 314 სახეობის მცენარე, ყვავილის თესლები და ნერგები.(პაპუნიძე, ბაგრატიშვილი, 1998:18-24.)

უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ საფრანგეთიდან ჩამოტანილ მცენარეებთან და ნერგებთან ერთადაა ჩამოტანილი მებაღეობაში გამოყენებული ინვენტარი (ინსტრუმენტები) როგორიცაა: სასხურებელი (ჰაერსატუმბი), სპილენძის სასხურებელი, მაკრატელი (სეკატორი), მიწის საფხვიერებელი, რომლებიც გამოირჩევა დამზადების მაღალი ხარისხით. დამზადებულია მსოფლიოში ცნობილი „ვილმორინების“ საწარმოში და სხვა ექსპონატებთან ერთად 1930-1935 წლებში აჭარის მიწის სახალხო კომისარიატს გადმოუცია აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის.

„ვილმორინი“თესლის წარმოების პირველი საწარმოა ევროპაში, მსოფლიოს მასშტაბით კი მეოთხე. ფილიპ (ვიქტუარ ლევეკ დე) ვილმორენი იყო ვილმორენების დინასტიის დამაარსებელი. ის დაიბადა ლორენში 1746 წ. პარიზში შეისწავლა ბოტანიკა და მედიცინა, სწორედ აქ დაუმეგობრდა პიერ-ანდრეის, რომელიც გახლდათ მეფე ლუი მეთხუთმეტეს სამეფო კარის ბოტანიკოსი (მებაღე). ფილიპმა 1774 წელს ცოლად მოიყვანა პიერ ანდრეის ქალიშვილი, რომელიც 1780 წლიდან ამ საწარმოს მეპატრონე გახდა. საწარმოს პირველი სახელწოდება იყო „ანდრეი და ვილმორენი“, შემდეგ

გადაარქვეს „ვილმორინ-ანდრეი“ და ამ სახელით არსებობდა 1986 წლამდე. დღეს კი ის ცნობილია „ვილმორინ სი“-ს სახელწოდებით.

თითქმის ორი საუკუნეა „ვილმორინის“ საწარმოს ექვსი თაობა ასაზრდოებდა, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ბოტანიკაში, ახალი სახეობების გამოყვანაში, გენეტიკაში, მცენარეთა გამრავლებასა და მოვლაში ვილმორენის საწარმომ 450 ბაღის მცენარეების ახალი სახეობა შექმნა, პარალელურად ვილმორენები სხვადასხვა მეცნიერულ დაწესებულებებშიც მოღვაწეობდნენ, ფილიპ ვილმორინი მეცნიერებათა აკადემიის ღირსეული წარმომადგენელი იყო.

ვილმორინების საწარმოსთანაა დაკავშირებული ცნობილი ქართველი მეცნიერის დეკორატორისა და აგრონომის, ბათუმის ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი დამაარსებლის იასონ გორდეზიანის სახელი, (გაგუა,2013:170-172). რომელმაც 1918 წელს წარმატებით დაამთავრა ვერსალის სახელობის ეროვნული სკოლა. მუშაობდა ვილმორენის საწარმოში სტაჟიორად (მებაღედ), საიდანაც მადლობა და სერთიფიკატი მიიღო (აჭარის მუზეუმი ხ/ფ N135).

ჩვენს ფონდში ასევე ინახება ცნობილ ფრანგულ საწარმო „პრადინ“-ში დამზადებული ბაღის სასხლავი მაკრატელი (სეკატორი). საწარმო შეიქმნა 1865 წელს და დაიწყო ბაღის სასხლავი მაკრატლების და სხვა სამუშაო იარაღების წარმოება. 1934 წელს აღნიშნული საწარმო შეისყიდა როჟე დე ვილემ. მისი მმართველობის პერიოდში საწარმო გაფართოვდა და პოპულარობა მოიპოვა. ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გაიხსნა ფილიალი. მრავალფეროვანი გახდა საწარმოს პროდუქცია. მუზეუმის ფონდში არსებული მაკრატელი არის ხის კენწეროების გადასაჭრელი, უცხო ფორმის ბოლოში გორგოლაჭებით ლითონისაგან დამზადებული. მუზეუმში შემოსულია 1935 წ. აჭარის მიწის სახალხო კომისარიატისაგან.

სტატიაში წარმოდგენილი მასალა უტყუარი მტკიცებულებაა იმისა, რომ მე-19 საუკუნეში აჭარაში ჩამოდიოდნენ უცხოელი სპეციალისტები, რომლებსაც ჩამოჰქონდათ თესლებისა და ნერგების კოლექციები საჭირო ინვენტარით, სოფლის მეურნეობის, კერძოდ მებაღეობის განვითარებისათვის. დიდმა ნაწილმა ბინა აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის საცავებში დაიდო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპუნიძე ვ., ბაგრატიშვილი ა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ბათუმი, 1998 წ.
2. საქართველოს ისტორია, ტომი IV, თბ., 2012 წ.
3. გაგუა ო., დადგმული და დაუდგმელი ძეგლის ამბავი, თბ., 2013 წ.
4. აჭმ.ხ/ფ N1351, ი.გორდეზიანის პირადი საქმე.

ფ. ვილმორინი



„ვილმორინის“ საწარმო



VILMORIN-ANDRIEUX & Cie
Marchands-Grainiers
4, Quai de la Mégisserie, 4
PARIS 1er

TÉLÉPHONE : 0 226-80

PARIS, le 30 Mars 1913 190

Nous certifions que le Sr GORDEZIANY Michel

a été employé dans nos Etablissements, 113, rue de Reuilly, en qualité

Le Stagiaire

depuis le 6 Janvier 1913 jusqu'au 30 Mars 1913

quitte de son gré libre de tout engagement.- Nous avons été pleinement satisfait de sa conduite et il s'est toujours parfaitement acquitté des travaux quels qu'ils soient, que nous lui avons confiés.

En foi de quoi nous lui avons délivré le présent certificat.

Pour VILMORIN-ANDRIEUX & Cie

113, rue de Reuilly,
PARIS XIIe



MINISTÈRE
DE L'AGRICULTURE

ÉCOLE NATIONALE
D'HORTICULTURE
DE VERSAILLES

RÉPUBLIQUE FRANÇAISE

Versailles, le 191

Le Directeur, soussigné, de l'Ecole nationale d'Horticulture de Versailles, certifie que M. Gordéziany, né le 18 mai à Oni (Géorgie), a suivi les cours et les travaux pratiques de la dite Ecole en qualité d'élève libre, du 18 octobre 1909 au 18 juillet 1911.

Il certifie, en outre, que sa conduite et son travail n'ont rien laissé à désirer.

Versailles, le 24 Février 1913.

ი. გორდეზიანის სერთიფიკატები

„პრადინი-ს“ საწარმოში დამზადებული
ბაღის სასხლავი მაკრატელი (სეკატორი)

ლიანა ჯაყელი

საქორწილო ტრადიციები აჭარაში

ქორწილი უმნიშვნელოვანესი დღეა თითოეული ადამიანის ცხოვრებაში. განსხვავებულია ამ დღის აღნიშვნის წესები სხვადასხვა ერში . ქართველებს კი როგორც ერთ–ერთი უძველეს ხალხს, თავისი ხასიათისა და ცხოვრების წესის შესაბამისი საქორწილო რიტუალი აქვთ.

ქორწინების რიტუალი ყოველთვის გამორჩეული და ემოციებით სავსეა, საქორწინო ტრადიციები მუდმივად იცვლებოდა და იცვლება დღესაც. ყველა ქვეყანას აქვს თავისთვის დამახასიათებელი საქორწინო რიტუალი – ზოგი სასაცილოა, ზოგიც პომპეზური და გრანდიოზული, ზოგიერთი კი ძალიან უცნაური. საქორწინო ტრადიციებში კარგად ჩანს კონკრეტული კუთხის ტრადიცია, კულტურა, ხასიათი, საქორწინო ტრადიციები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ამჯერად აჭარული ქორწილის ტრადიციებზე გავამახვილებ ყურადღებას. საქორწინო ტრადიციებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მაღალმთიან აჭარაში. თუმცა ბოლო რამდენიმე ათეული წელია ძველი ტრადიციები თანდათანობით მივიწყებას ეძლევა და ადგილს უთმობს თანამედროვე აზროვნებასა და შეხედულებებს.

ისე, როგორც მთელ საქართველოში აჭარულ ტრადიციებში გვხვდება მაჭანკლის ინსტიტუტი, რომელიც საკმაოდ პოპულარული იყო. გარიგების და მოტაცების გარდა, იშვიათად, მაგრამ მაინც იქმნებოდა ოჯახები ე.წ. „დაჯდომით“, თუ ქალს ბიჭი მოეწონებოდა, სახლიდან გაიპარებოდა და თავისი ფეხით მივიდოდა ბიჭის ოჯახში. ბიჭს უფლება ჰქონდა უკან გამოებრუნებინა, თუმცა ეს დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

ფატი ბერიძე (ხულო, ვაშლოვანი 80 წ.) - „ახლა რომ ბიჭი მოვა და წეიყვანს, ისე არ იყო წინ–წინ, ადრე ვერ დეენახებოდი ბიჭს, ეიდა, იმფრად გავთხოვდებოდით, რომ ბიჭი ვინ არი და დედოფალი ვინ არი ბიჭმა არ იცოდა. ჯერ ოქროულობას მოიტანდნენ, შემდეგ ბოხჩას შეაგროვებდნენ ერთ ჩამადანში, რამოდენიმე საკაბე იქნებოდა, პერანგები იქნებოდა, ფეხსაცმელი, მანდილები, საკაბეები შესაკერი იყო... სამ დღეს სახლიდან არ გამოხვიდოდი, სამი დღის მერე გამოხვიდოდი, პურს მოგაზელინებდნენ, მერე დაიწყებდი საქმეს“.

– ადრე გასათხოვი თუ იყო გოგო, ბიჭი ელჩს (მაჭანკალს) უგზავნიდა. ელჩი გადაწყვეტდა ყველაფერს, უფროსებ, რასაც ეტყოდნენ შვილს, ისე ხდებოდა ყველაფერი

– გოგო და ბიჭი ქორწილის დღეს ხვდებოდა ერთმანეთს მისაღებ ოთახში, რომელსაც მაშინ “მუთვალს“ ეძახდნენ. გოგოს რამდენიმე ქალი ედგა უკან, ერთი კი გამორჩეული იყო „ბაშ მდადე“ – ხელისმომკიდე. მდადეს ეჭირა პატარძლის მიერ მოქარგული „მუჯდე“ (პირბალიში) ეს აუცილებელი იყო ყოველ პატარძალს ჰქონოდა. მდადე ესროდა ბიჭს ამ ბალიშს და თუ ვერ დაიჭერდა უნიათო სიძედ ითვლებოდა. პატარძალს შეეძლო უარი ეთქვა და ჩაეშალა ქორწილი, მაგრამ მსგავსი შემთხვევები არ ყოფილა.

მაყრიონი პატარძალთან ერთად ეზოდან რომ გადმოდიოდა, გზაზე სოფლის ახალგაზრდები და უხუცესები თოკით გზას უღობავდნენ, სიძეს უნდა დაერიგებინა ფული პატარძლის გამოსახსნელად, რამდენად უხვად გაიღებდა ბიჭი ფულს, იმდენად შანსიან სიძედ ითვლებოდა მთელი ცხოვრება. ამას „პატარძლის გამოხსნას“ ეძახდნენ.

ბიჭის ოჯახში მისული პატარძალი კარის ზღრუბლზე აუცილებლად ფეხით ამსხვრევდა თეფშს, რაც მის ღონიანობაზე მიუთითებდა. თუ პატარძალი ვერ მოახერხებდა, ამ შემთხვევაში სიძე ეხმარებოდა მას. ასეთი შემთხვევაც ყოფილა...

პატარძალი შემდეგ კერასთან მიჰყავდათ, დედამთილს ფიალით მოჰქონდა თაფლი პატარძალს თითით უნდა ამოეღო და ბუხარზე ჩამოესვა - ასე უნდა შემოეტანა ამ ოჯახში სითბო და სიტკბო...

პატარძლის სამზითვო ნივთებში აუცილებელი იყო ხელით ნაქარგები, ასევე სალფეთქები, სუფრის გადასაფარებელი, ფარდები და „დაროშკები“. უნდა ჰქონოდა თავისი ხელით მოქსოვილი ოჯახის ყველა წევრისათვის და ახლობლისათვის მატყლის წინდები, დაახლოებით 50 წყვილი მაინც. როდესაც ქორწილი ახლოვდებოდა, პატარძალს თუ მზად არ ჰქონდა საჩუქრების რაოდენობა, მთელი უბნის ქალები ეხმარებოდნენ და ასე ივსებოდა მზითვის ჩემოდანი.

ქორწილიდან რამოდენიმე დღის შემდეგ სიძე მიდიოდა პატარძალთან რამდენიმე ახლობელთან ერთად და მიჰქონდა ოჯახში საჩუქრები. ამას „ფეხნაქცევი“ ერქვა. ესეც აუცილებელი რიტუალი იყო.

საქორწილო ცერემონიალი რამდენიმე საფეხურს ითვალისწინებდა: დაკვლევა-გარიგება, დაწინდვა-ნიშნობა, საპატარძლოსთან გამოთხოვება და პატარძლის სამუშაოზე გაყვანა.

დაკვლევა-გარიგების ტრადიცია, ძველთაგანვე ჩამოყალიბდა. ქალების დაკველევის შესაძლებლობა ვაჟებს ჰქონდათ. ქორწილში, სამგლოვიარო ცერემონიალზე, ყანაში ნადის დროს, წყაროდან წყლის მოტანისას, შუამთობის ზეიმის დროს... ეს ქალ-ვაჟთა ურთიერთ მოწონების ჩუმი პროცესი გახლდათ. ამის პარალელურად არსებობდა გარიგება, როცა ელჩი (მაჭანკალი) აქორწინებდა ზოგჯერ სრულიად უცნობ და ერთმანეთის უნახავად ახალგაზრდებს, მაჭანკალი ქალ-ვაჟის მშობლებს აცნობდა ერთმანეთის ქონებრივ მდგომარეობას, წარმომადგენლობას, ჯიშ-ჯილაგს, ქალის მზითევის რაოდენობას და ა.შ.

გავრცელებული იყო აგრეთვე აკვანში დაწინდვის (დანიშვნის) ტრადიცია. ერთმანეთისადმი მეგობრულად განწყობილი მშობლები დანათესავების სურვილით ნიშნავდნენ ბავშვებს აკვანში. ეს ტრადიცია ზოგჯერ უკონფლიქტო ქორწინების საფუძველს ქმნიდა, მაგრამ იყო სისხლისღვრისა და პიროვნული ტრაგედიების საბაბი. გაზრდილი ქალ-ვაჟი ხშირად შეუძლებლად მიიჩნევდა მშობლების ნების აღსრულებას, რაც არასასურველი შედეგით მთავრდებოდა.(ეს ტრადიცია შესანიშნავად აქვს აღწერილი პოეტ ემენ დავითაძეს-პოემაში შუამთობაზე, სადაც გულთამზეს სიყვარულს შეეწირა...მისი რჩეულის მეგობრის სიცოცხლე).

ქორწინება სამეურნეო მნიშვნელობის საზოგადოებრივი აქტი იყო გვარის, ოჯახის გამაერთიანებლად ითვლებოდა კერის კულტი, კერა იყო მარადიული ცეცხლის სიმბოლო. ნეფე-დედოფალს კერის გარშემო შემოატარებდნენ და ერთად ყოფნას უკურთხებდნენ ქალის სახლშიც და ვაჟის სახლშიც. ცერემონიალი სიმღერის თანხლებით სრულდებოდა და ბოლოს დედამთილი პატარძალს თაფლით სავსე ჯამს მიაწოდებდა და კერაზე თითით წაასმევინებდა.

საქორწილო რიტუალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენდა მექორწინეებისათვის თავზე „ტუაღის“ დახურვა და პატარძლისათვის კალთაში ბიჭის ჩასმა, აქაც ცერემონიალის ერთ საინტერესო მომენტს წარმოადგენს მშობლიურ კერასთან პატარძლის გამოსამშვიდობებელი რიტუალი - ტირილი.

ქორწილის ერთი თვის შემდეგ პატარძალი წყალზე გაჰყავდათ, ამით იწყებოდა პატარძლის გარე სამუშაოებზე დასაქმება. ამით მთავრდებოდა პატარძლობა და ქალი ოჯახის დიასახლისობას იწყებდა. საქარწინო სიმღერათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა „მაყრული“ და „ქარბუქში ჩამოიყვანეს“.

მაყართა შორის მნიშვნელოვანი იყო მახარობლის როლი, ის თავის სროლითა და ყიჟინით, ჯერ ნეფის მოსვლას ახარებს პატარძლის ოჯახს, შემდეგ კი ვაჟის სახლში მიდის და იქ მიაქვს სიხარული, მახარობელს საჩუქრები ეძლეოდა ორივე ოჯახისაგან.

პატარძალს კარგი ფეხი უნდა ჰქონდეს, ოჯახში ბედნიერება უნდა შემოიტანოს, დამხვდურები კი მას ტკბილეულით უმასპინძლდებიან.

იუმორი, სიცილი, სიმღერა, ცეკვა-თამაში ცერემონიის აუცილებელი ატრიბუტი გახლდათ, ქართული დალოცვა-სადღეგრძელოების მთავარი თემა კი ცხადია ნეფე-პატარძალია. აქებენ მათ მშვენიერებას, ვაჟკაცობას, ზრდილობას, გონიერებას, უსურვებენ გამრავლებას და ბედნიერებას.(ჩელებაძე, 2009: 19.)

ქორწილი ადრე უფრო საინტერესო იყო, ბევრი წეს_ჩვეულება ახლა მივიწყებულია. ქორწილი იწყებოდა პატარძლის სახლში სიძის მაყრების მისვლით. მორთული პატარძალი ერთ ოთახში ჰყავდათ და მეფეს მასთან არ უშვებდნენ, თუ პატარძალს არ იყიდნენ, ამას ერქვა“რიშვეთის“ გადახდა, შემდეგ მეფე და პატარძალი შედგებოდა შემაღლებულ ადგილზე მოწყობილ მაგიდასთან, სკამზე დებდნენ ბალიშს და ბავშვს სვამდნენ. ბავშვისთვის შეეძლოთ მიეცათ ფული და ის შემდეგ უთმობდა ადგილს მეფე-პატარძალს. მთელი ქორწილის განმავლობაში ნეფე-დედოფალი ხალხთან ერთად ერთობოდა. აქ კი პატარძალ;ი ღებულობდა საჩუქრებს, წითელ ლენტზე დამაგრებული ოქროს მონეტებსა და ოქროს სამკაულებს. ქორწილი გრძელდებოდა თითქმის მთელი ღამე. პატარძლის ოჯახში ქორწილი რამოდენიმე საათი იყო, შემდეგ კი ნეფეს ოჯახში ცისკრის შემოსვლამდე მაყრიონი ქეიფობდა. მისვლისთანავე პატარძალს ატეხინებდნენ თეფშს, აჭმევდნენ ტკბილს და მიჰყავდათ სუფრასთან.

XXI ს. აჭარაში უკვე ტარდება ქრისტიანული ქორწილები. მეუღლეები ურთიერთშეთანხმებითა და მშობლების დასტურით ქორწინდებიან ქორწილის ცერემონიის დროს წყვილი ცვლის ბეჭდებს, პირობას დებს იცხოვროს ქრისტიანული წესებით. ბეჭედს ატარებენ მარცხენა ხელის უსახელო თითზე. ეს ჩვეულება დაკავშირებულია იმასთან, რომ აქ გადის გულთან დამაკავშირებელი ძარღვი.

რაც შეეხება სამოსს, წარსულში ქალებს ეცვათ წითელი, ნაცრისფერი, ყავისფერი მოჩითული ტანსაცმელი. ასევე კაბაზე ზემოდან ეცვათ ოქრომკედით მოქარგული კაბა, იგივე „ხიფთანი“. XX ს. 20-იან წლებში დამკვიდრდა თეთრი ფერის სამოსი.

აჭარული ქორწილის ერთ-ერთი აუცილებელი რიტუალია „სადილის“ შემოტანა შუა ქორწილში - საგანგებოდ მორთული 5 დიდი კალათი შემოაქვთ 5 ბიჭს მხარზე შემოდგმული. კალათებით საქორწინო სუფრებს მოივლიან და მერე მეფე-დედოფალის წინ მაგიდასთან დადებენ. სადილი, რომელიც ტკბილეულობისაგან შედგება (ბაქლავა და შაქარლამა) გათხოვილი გოგოსთვის ოჯახის წევრებს მიაქვთ. ხალხურ თქმულებას თუ დავუჯერებთ, სადილის მიტანის ტრადიცია აჭარაში გამუსლიმანების შემდეგ დამკვიდრდა. თუმცა დღეს მნიშვნელობა არა აქვს , ქორწილს ქრისტიანი იხდის თუ მუსლიმანი - სადილი ნებისმიერი ქორწილის განუყოფელი ნაწილია.

სადილი შედგება ბაქლავისა და შაქარლამისაგან სტანდარტულ სადილის კალათებში 300 ნაჭერი ბაქლავა და 80 ნაჭერი შაქარლამა თავსდება, თანამედროვე საქორწინო რიტუალში დაემატა შოკოლადები და შამპანური ან ლიქიორი. სადილი უნდა

შედგებოდეს 5 კალათისაგან, აქედან ერთი გამორჩეულია, იგი ნეფე-დედოფლისაა, დანარჩენი ოთხი ერთნაირია. როცა გოგო თხოვდება, აუცილებელია, რომ ოჯახმა სადილი გაუკეთოს.

ადრე სადილი ქორწილის გარეშე, ცალკე მიჰქონდათ. ამ დროს გოგოს ნათესავები ახალდაქორწინებულებს ოჯახში ესტუმრებოდნენ. ნათესავები გოგოს ჩუქნიან ფულს ან სამკაულს. დღეს ეს ტრადიცია შეიცვალა და სადილი ძირითადად ქორწილში მიაქვთ.

საქორწილო რიტუალში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სიძე-პატარძლისთვის განკუთვნილ კალათას. ეს კალათი სხვა კალათებისაგან (რომლებიც ბაქლავითა და შაქარლამითაა სავსე) განსხვავებულია. სიძე-პატარძლის კალათაში დევს ორი ვაშლის ან მსხლის ფორმის შაქარლამა. ერთ-ერთში არის ფული ან ოქროს სამკაული ჩადებული. ხალხური თქმულების მიხედვით, როდესაც სიძე-პატარძალი მას გატეხავს, ვისაც ფული ან სამკაული შეხვდება, ქორწინებაში ბედნიერი იქნება. ამრიგად გათხოვილი გოგოსთვის სადილის მიტანა აუცილებელია.

ასეთი ლეგენდაა შემორჩენილი მთაში, თუ როგორ დაწესდა „სადილის მიტანის“ რიტუალი.

- თურმე ერთხელ უფლის მოციქული (ფეიღამბერი) სახლს აშენებდა, მას სამი ხელოსანი ჰყავდა დაქირავებული. ხელოსნებმა სახლი ააშენეს, სამაგიეროდ გოგო სთხოვეს ცოლად. ფეიღამბერს მხოლოდ ერთი გოგო ჰყავდა, რომელიც ვისთვის მიეცა არ იცოდა. ერთ ღამეს გოგოს ოდაში ძაღლი და ვირი შეაგდო. დილას კი სამი ერთმანეთის მსგავსი ულამაზესი გოგო დახვდა. ადგა და ეს გოგოები მიათხოვა თავის ხელოსნებს. ფეიღამბერმა ერთ დღეს გამოაცხობინა ტკბილეული და წავიდა ამ გოგონების ოჯახში სტუმრად. სურდა გაერკვია თუ რომელ ოჯახში იყო მისი შვილი. მივიდა პირველთან და ჰკითხა: როგორაა თქვენი რძალი, რას საქმიანობსო - უთხრეს ძალიან კარგია მაგრამ ვირივით ჯიუტიაო. მიხვდა ვირის სოის (ჯიშის) არისო. წავიდა მეორესთან, იმასაც ჰკითხა, იმან უპასუხა ძალიან კარგია, მაგრამ ერთი ცუდი ჩვევა აქვს - ცუდ სიტყვებს ამბობს, ძაღლივით გვექცევაო. მიხვდა ფეიღამბერი - ის ძაღლის ჯიშისაა. წავიდა მესამესთან და იკითხა როგორიაო? - ძალიან კარგია, ადამიანური ქცევები აქვს ყველაფერშიო. მიხვდა, რომ ის მისი შვილი იყო. გაუხარდა ფეიღამბერს ადგა და იმ ოჯახში დატოვა პურები და ტკბილეული - ასე დაწესდა სადილის მიტანა. ტკბილეულს როგორც სადილის სახით მიაქვთ ქორწილში იქვე სუფრაზე ურიგებენ სტუმრებს.

ადრე ბაქლავის ნაცვლად ყათმერი მიჰქონდათ. ყათმერი ფქვილის, თაფლითა და ნიგვზით კეთდება. ცომს მაწვნით ზელენ, ცოტა რომ აფუვდება, ზემოდან ნიგოზს აჭრიან და თაფლს უსვამენ. შემდეგ გამდნარ კარაქს ასხამენ და სამკუთხედად კეცავენ. მზა ფორმას კვერცხის გულს უსვამენ და აცხობენ. გამომცხვარს კი ისევ კარაქს უსვამენ. ამ ტკბილეულს ყათმერ პურს ეძახიან.(სამნიძე. 2015: 17. 04.)

როგორც ავღნიშნეთ გოგო-ბიჭი ისე ქორწინდებოდნენ ერთმანეთს არ იცნობდნენ, შეხვედრა ქორწილის დღეს ხდებოდა.

- სოფელ კალოთაში მცხოვრები ლამარა ხალვაში გვიამბობს - ნიშნობა ტარდებოდა ისე, რომ გოგო-ბიჭი ერთმანეთს არ ხვდებოდა.ისინი ქორწილის შემდეგ გაიცნობდნენ ერთმანეთს. ქორწილი ღამით იცოდნენ. თუ შორი იყო - დედოფალი მორთულ-მოკაზმული ცხენით მიჰყავდათ, თუ ახლოს იყო, ფეხით. დედოფალს ტანზე ჩერჩეფი (ჩადრი) ჰქონდა მოხვეული. პირზე ფეჩა (პირბადე) ჰქონდა ჩამოფარებული, რომ არავის დეენახა. დედოფალს ორი დადე (მეჯვარე) ჰყავდა. ეს დადეები დედოფალს იცავდნენ,

არავის დაანახვებდნენ. ეზოში რომ შეიყვანდნენ დედამთილს დაუძახებდნენ „დედამთილო, გამოგვხედე მოვიყვანეთ სახლის რძალი, ავი თვალით თუ შეხედო, ძაღლმა გახრას შენი ძვალი“.

- დედამთილი რძალს კენჭ შაქარს გადაუყრიდა (მაშინ კანფეტი ნაკლებად იყო), საინს გაატეხინებდა კარებზე დანებს მიასობდნენ და შეიყვანდნენ სახლში, მიიყვანდნენ კერაზე ხელით ჩამოასმევინებდნენ და ასე ეტყოდნენ: ეს კერა შენიაო, მერე დედოფალს ფარღაში დააყენებდნენ და ფეხებთან ძირს ფეშკირს (პირსახოცს) გაუგებდნენ. ვინც დედოფალს ნახავდა, ფარას აჩუქებდა და ფეშკირზე დაუდებდა. დედოფალი მადლობას იხდიდა, თემენას გაუკეთებდა, ბოლოს დედოფლის ძმას უნდა აეხედა სახეზე ფეჩა, მაგრამ ამ ფეჩის ახდაში მამამთილს ბევრი ფარა უნდა მიეცა. მაყარი დილამდე ჭამა-სმით ირთობდა თავს. ქორწილის შემდეგ ამ ფეშკირს გაჭირვებულებს მისცემდნენ.

ძველებურ ქორწილებში ხშირად იმართებოდა შეჯიბრება დედოფლის მაყარსა და დამხვდურებს შორის, როგორც ცეკვა-სიმღერაში, ასევე შაირების, გამოცანების და ანდაზებში და ასე ათენდებოდათ ცისკარი თავზე.

ქორწილის წამყვანი და მთავარი ფიგურა ყოველთვის იყო თამადა. თამადობა ქართული წესისა და ტრადიციის წარმოჩინება გახლდათ. თამადად ძირითადად ირჩევდნენ გამოცდილ, ტკბილმოუბარ, ღირსეულ, სისხლისმიერ ნათესავს, რომელიც ტრადიციის, წეს-ჩვეულებების, თადარიგის მცოდნელი და მჭერმეტყველად ითვლებოდა.

სუფრის დანიშნულების მიხედვით თამადას ევალება ტრადიციული სადღეგრძელოების წარმოთქმა, სუფრაზე წესრიგის დამყარება, სმის წესების დაცვა, ცეკვა-სიმღერის და ლხინის მთელი მსვლელობის რეგულირება, იგი მთავარი ფიგურაა სუფრაზე, ხოლო თამადობა ყოველთვის საპატიო საქმეა.

თამადა თავად უნდა იყოს პურობის საჭეთმპყრობელი, მამა-პაპათაგან მომზადებულ-მონიჭებული, წეს-ჩვეულებების დამცველი და აღმსრულებელი, ენაკვიმატობისა და იუმორის დიდოსტატი. ქართული ხასიათისა და ყველაზე საუკეთესო თვისებების - სიდინჯის, თავდაჭერილობის, სიტყვაზომიერების, სიდარბაისლის, ვაჟკაცობის უნარით შემკული. თამადის სახეში თავს იყრის კუთხის, გვარის, თანდაყოლილი ჯანსაღი მყარი თვისებები.

აჭარაში საქორწინო ტრადიციულ სუფრასთან აუცილებლად გადავარდებით წარსულში, შეიგრძნობთ აწმყოს და შესვამთ მომავლის სადღეგრძელოს. საქორწინო ქართული სუფრა გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალო ლხინი. სუფრის თითოეულ წევრს ეძლევა საშუალება ადღეგრძელოს ისინი, ახლობლები, თანამეინახეები, პატივი მიაგონ გარდაცვლილების ხსოვნას. სადღეგრძელოები, ტრადიციულ განთქმულ სტუმართმოყვარეობაა, ქართული კერძები, ხოლო მრავალხმიანი სიმღერა და ეროვნული ცეკვა დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელიც დიდხანს გაგყვებათ. (ნოზაძე, 2011: 25. 05.)

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩელებაძე ნ. საქორწილო ტრადიციები. ბათუმი. 2009 წ.
2. ნოზაძე თ. საქორწინო ტრადიციები ჟურნალი „ამბორი“ 2011 წ.
3. სამნიძე ც. საქორწინო ტრადიციები. სადილის შემოტანის რიტუალი. გაზ. „ბათუმელები“ 2015 წ.

ლამარა გულორდავა

აჭარის კურორტები და საკურორტო ადგილები

კურორტების შექმნა საქართველოში XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება. თუმცა ქართველი ხალხი ძველთაგანვე იყენებდა მინერალურ წყლებს სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ და მთის ჰავას ადამიანთა გაჯანსაღების მიზნით. +

ჯერ კიდევ მრავალი ათეული წლის წინათ აჭარას უყურებდნენ ისეთ მხარედ, რომელსაც ჰქონდა დიდი საკურორტო პერსპექტივები. მისი ბუნებრივი სილამაზე, თბილი კლიმატი და ზღვა მრავალრიცხოვან დამსვენებელს იზიდავდა.

აჭარის საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ დასაბამი მიეცა კაპიტალიზმის განვითარებას. 1883 წელს გაყვანილ იქნა სამტრედია-ბათუმიs რკინიგზა. ბათუმი დაუკავშირდა ქ. თბილისს და ბაქოს. გაფართოვდა პორტი (1884 წ.). აჭარაში დაიწყო მრეწველობის სწრაფი განვითარება. ბათუმი ნავთობპროდუქტების ექსპორტის მსოფლიო მნიშვნელობის პუნქტად გადაიქცა, მას ამ პერიოდში „პორტო-ფრანკო'' ეწოდებოდა. XIX საუკუნის ბოლოს ბათუმი რეგიონის ადმინისტრაციულ და შესაბამისად კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრად იქცა.

ბათუმის დედასამშობლოსთან შეერთებისთანავე აჭარისკენ დაიძრნენ მოგების სურვილით გატაცებული რუსი და სხვა ეროვნების მილიონერები. მემამულეებს და კაპიტალისტებს აჭარაში იზიდავდა არა მარტო კაპიტალის დაგროვების სურვილი, არამედ აჭარის უმშვენიერესი ბუნება და კლიმატური პირობები.

XIX საუკუნის ბოლოდან აჭარაში იწყება აგარაკების მშენებლობა. აგარაკების მშენებლობის დაწყების პიონერი იყო მებაღე დალფონსი, რომელიც სპეციალურად იქნა მოწვეული ალექსანდროვის ბაღის გასაშენებლად ბათუმში. მასვე ეკუთვნის მოაგარაკეთა საზოგადოების შექმნაც.

აგარაკების მშენებლობას არა მარტო საკურორტო მშენებლობის განვითარება ჰქონდა მიზნად, იგი მეფის რუსეთმა თავისი პოლიტიკური მიზნებისთვისაც კარგად გამოიყენა. რუსეთის ბიუროკრატიული მთავრობა ხელს უწყობდა საქართველოში, მათ შორის აჭარაში ჩამოსახლებულ ხალხს ყოველნაირად ესარგებლათ და ადგილობრივთაგან სხვადასხვა მაქინაციებით მიეღოთ მიწები საკუთარ სარგებლობაში. მიეერთებინათ ტერიტორიაც, თუნდაც ამისთვის ქართველთა სრული გადასახლება გამხდარიყო საჭირო. გადასახლებული მუჰაჯირების ადგილი რუსებმა, სომხებმა, ბერძნებმა და სხვებმა დაიკავეს.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში აჭარაში საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის მდიდარი ბუნებრივი ბაზა ნაკლებად იყო გამოყენებული. საკურორტო მეურნეობის განვითარებას ძლიერ გავრცელებული მალარიაც უშლიდა ხელს. ამის გამო ბათუმის ექიმთა საზოგადოების ერთი ნაწილი უიმედოდ უყურებდა ბათუმისა და მისი მიდამოების საკურორტო ღირსებას და მის მომავალს. მაგრამ მკვლევარ-სპეციალისტთა უმეტესობა ბათუმსა და მის მიდამოებს, როგორც საკურორტოდ გამიზნულ ადგილებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამ ადგილების მეცნიერულ შესწავლას აწარმოებდა.

საკურორტო საქმის წამომწყები და ფაქტიურად მისი დამფუძნებელი იყო ექიმი ტიმოლეონ ტრიანტაფილიდესი, რომელსაც ყველა საქმეში გვერდით ედგა მისი მეუღლე ვ. ლ. კოტლიარევსკაია. ტრიანტაფილიდესმა უდიდესი შრომა გასწია ბათუმისა და მისი შემოგარენის ჯანმრთელობისა და კლიმატური სადგურის მოწყობის გეგმის

განხორციელებისათვის. იგი ბათუმის მიდამოების ბუნებას შემდეგ დახასიათებას აძლევს: „ეს სანაპირო გადაჭიმულია 50 კმ-ზე (იგულისხმება თურქეთის საზღვრიდან გურიის საზღვრამდე), რომლის უმეტესი ნაჭილი მთაგორიანია, მთები თანდათან ეშვებიან

ზღვისკენ და ზოგიერთ ადგილას ქმნიან მწვანე კონცხებს, რომელთა შორის გაშლილია ბორცვები და ველები. აქ ბუნებრივადაა შერწყმული ჰარმონია სივრცის სილამაზისა შვეიცარიის ხედების სილამაზესთან და ამიტომაც ყოველივე ეს ქმნის ამ სანაპიროს მთელს მსოფლიოში ყველაზე ლამაზ ადგილად''.

დოქტორი ა. ს. ფრენკელი თავის ნაშრომში „ჩურუკ–სუ და ბათუმი (1879 წ.)'' აღნიშნავს, რომ მიუხედავად არასასიამოვნო პირობებისა, ბათუმის კლიმატი შეიძლება ჯანმრთელად ჩაითვალოს. ბათუმის სანიტარული პირობების გაუმჯობესება განაპირობებს საგრძნობ მოდინებას მოგზაურებისა და ავადმყოფებისა, რომლებიც რა თქმა უნდა, ისარგებლებენ ზღვაში ბანაობითა და მახინჯაურის მინერალური წყაროთი''.

1901 წელს ექიმი ე. ვ. ერიქსონი თავის სტატიაში აღნიშნავს: „შავი ზღვის სანაპიროს ყოროლისწყლიდან ჩაქვისწყლამდე აქვს კლიმატის ოპტიმუმი, რომელიც პასუხობს მოთხოვნილებებს და, რომელიც საჭიროა ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალოდ''.

აჭარის დედასამშობლოსთან შეერთების დღიდან პროგრესულად მოაზროვნე ექიმებმა ვ. ჟილინსკიმ, ტ. ტრიანტაფილიდესმა, ა. რემეტმა და სხვებმა ბათუმის ჰავის მონაცემების შესწავლის საფუძველზე დაასკვნეს, რომ ბათუმის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოეწყოს შავი ზღვის სანაპიროზე ერთ-ერთი საუკეთესო კლიმატური სადგური. დასახული მიზნის მისაღწევად ბათუმის ექიმთა საზოგადოების დავალებით 1898 წლის 13 დეკემბერს ქ. პეტერბურგში კლიმატოლოგთა, ჰიდროლოგთა და ბალნეოლოგთა პირველ ყრილობაზე ექიმმა ტრიანდაფილიდესმა წაიკითხა მოხსენება „ბათუმი და მისი მომიჯნავე მახინჯაური და მწვანე კონცხი, როგორც კლიმატური სადგური''.

1903 წელს ბათუმის ექიმთა საზოგადოებამ, რომელსაც ექიმი ტრიანდაფილიდესი ხელმძღვანელობდა, წერილობით მიმართა ქალაქის თვითმმართველობას, რათა მას აღეძრა შუამდგომლობა კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე ბათუმში გაჯანსაღებისა და კლიმატური სადგურების მოწყობის შესახებ. აღნიშნული მიმართვის საფუძველზე ქალაქის თვითმმართველობასთან შეიქმნა სპეციალური საკურორტო კომისია, რომელმაც შეადგინა ზღვის აბაზანების, პლაჟისა და სხვა საჭირო სამკურნალო დაწესებულებების შექმნის პროექტი, სათანადო ხარჯთაღრიცხვის გათვალისწინებით. აგრეთვე დაისვა საკითხი კანალიზაციის გაყვანის თაობაზე. აღნიშნული ჩანაფიქრის განხორციელებას გარკვეულწილად ხელი შეუშალა რევოლუციურმა გამოსვლებმა და სხვა დაბრკოლებებმა. მიუხედავად ამისა, ცალკეული ენთუზიასტები მაინც ახერხებდნენ მიზნის მიღწევას.

1907 წელს, კავკასიის მეორე ყრილობაზე ტრიანდაფილიდესმა წაიკითხა მეორე მოხსენება აჭარის ზღვისპირეთში კლიმატური სადგურების მოწყობის თაობაზე, სადაც ცალ-ცალკე განიხილა ბათუმის, მახინჯაურისა და მწვანე კონცხის საკურორტო მონაცემები.

გატარდა სერიოზული და მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მათ შორის უნდა აღინიშნოს დაჭაობებული ადგილების ამოშრობის სამუშაოები. ქალაქში წყალსადენის მშენებლობა, ქალაქის მომარაგება სასმელი წყლით. გაიხსნა 120 ადგილიანი საავადმყოფო. მოიკირწლა და გამწვანდა ქუჩები, გაყვანილ იქნა კანალიზაცია. 1884 წელს იწყება ბათუმის ბულვარის გაშენება.

ტრიანდაფილიდესის მოულოდნელი, ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ აჭარაში საკურორტო საქმის დაფუძნებას მისი კოლეგა და ექიმი ს. სოლოვკინი გაუძღვა, რომელმაც 1911 წელს საკურორტო საზოგადოება ჩამოაყალიბა.

1915 წლის 1 მატს ქ. ბათუმში პირველად ჩატარდა სპეციალური თათბირი ბათუმის სანაპიროს კეთილმოწყობისა და ბათუმისათვის საკურორტო სტატუსის მინიჭების თაობაზე. თათბირმა გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „ბათუმი და მისი შემოგარენი ამჟამად აკმაყოფილებს ყველა პირობას, რათა მიჩნეულ იქნას იგი საზოგადოებრივ

სამკურნალო ადგილად. კომისია სთხოვს ბათუმის საქალაქო თვითმმართველობას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, 1915 წლის 15 იანვრის კანონის შესაბამისად, სასწრაფოდ აღძრას შესაბამისი შუამდგომლობა ბათუმისა და მისი შემოგარენის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დასასვენებელ ადგილად გამოსაცხადებლად". მაშინ ამ დადგენილების განხორციელებას ხელი შეუშალა პირველმა მსოფლიო ომმა.

1915 წლის 20 თებერვალს გაიმართა სოფლის მეურნეობის საზოგადოების მეოთხე სხდომა. საზოგადოებასთან არსებული საკურორტო სექცია გადაკეთდა საკურორტო განყოფილებად.

საკურორტო საბჭომ პირველსავე სხდომაზე შეიმუშავა საჭირბოროტო საკითხები, როგორიცაა სანატორიუმების შექმნის საკითხი მახინჯაურის გოგირდოვანი წყლის სამკურნალოდ გამოყენების შესახებ.

1923 წელს აჭარის ზღვის კურორტები გამოცხადდა სახელმწიფო მნიშვნელობის კურორტებად. იმავე წელს საკურორტო მეურნეობა აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს გადაეცა.

ბათუმი 1928 წელს სახელმწიფო მნიშვნელობის კურორტად იქნა აღიარებული. მის შემდეგ დაიწყო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები აჭარის კურორტების შესასწავლად.

დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჩატარდა აჭარის კურორტებზე. გამოკვლეულ და შესწავლილ იქნა წყლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, ჰიდრომეტეოროლოგიური და კლიმატური საკითხები. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის დადგენილებით აჭარის ზღვის სანაპირო კურორტები ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური და ბათუმი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კურორტებად იქნა აღიარებული. 1931 წლიდან ფართოდ გაიშალა საკურორტო მშენებლობა. დაიწყო კურორტების შესასწავლად სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაც. შესწავლილ იქნა ამ ადგილების ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, ზღვის წყლისა და მინერალური წყაროების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, ჩატარდა ავადმყოფებზე კლინიკური დაკვირვებები და სხვ.

***

აჭარაში 6 კურორტი და 18 საკურორტო ადგილია. კურორტები იყოფა ზღვისპირა და მთის კლიმატურ კურორტებად. ზღვისპირა კლიმატური კურორტები მოქცეულია აჭარის შავი ზღვის სანაპირო ზონაში. ამ მონაკვეთში მთავარი კურორტებია: ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური, ბათუმი.

აჭარის ზღვის კლიმატური კურორტებიდან განსაკუთრებული მიკროკლიმატით გამოირჩევა კურორტი ქობულეთი, რომელიც მდებარეობს აჭარა-ახალციხის მთიანეთის სამხრეთ-დასავლეთით, კოლხეთის დაბლობზე, ბათუმიდან 25 კმ-ის დაშორებით, ზღვის დონიდან 3-4 მ-ის სიმაღლეზე.

XIX საუკუნის ბოლოს, რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ქობულეთი, ისევე, როგორც მთელი აჭარა, რუსეთის იმპერიამ დაისაკუთრა. მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში ქობულეთი იქცა ელიტურ კურორტად. ზღვისპირა ზოლი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მეორის განკარგულებით გადაეცა საუკეთესო მთავარსარდლებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს რუსულ-თურქული კამპანიის დროს. მაღალჩინოსნებმა დაიწყეს ქობულეთის ზღვისპირა ზოლის გაშენება მდიდრული აგარაკებით. ქობულეთის გამაჯანსაღებელმა კლიმატმა სულ რამდენიმე წელიწადში გაითქვა სახელი.

ქობულეთი კურორტად გამოცხადდა 1923 წელს. უკანასკნელ ათწლეულში გაიზარდა ქობულეთის პოპულარობა. იგი საერთაშორისო დონის კურორტია. ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში. აქაური ჰავა სუბტროპიკულია, იანვრის საშუალო ტემპერატურა +4,8°_ია, ხოლო აგვისტოს 22,6°. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა 81%-ია. კურორტის გაშლილი მდებარეობა ხელს უწყობს ბრიზების თავისუფალ მოქმედებას, რომელიც ზაფხულში ანელებს სიცხეს. კურორტი განკუთვნილია სუნთქვის ორგანოების დაავადებების, გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების, ნერვული სისტემის

ფუნქციური მოშლილობისა და ძვალ-სახსრების გამაგრებისათვის. სეზონი მთელი წლის განმავლობაში გრძელდება.

ქობულეთი დამსვენებლებს იზიდავს საყოველთაოდ ცნობილი წვრილქვიშიანი, ათეულ კილომეტზე გადაჭიმული პლაჟით. პლაჟები კეთილმოწყობილია საშხაპეებით, ქოლგებით და სხვ. აქ ფუნქციონირებს ატრაქციონი, კაფე–ბარები და სხვ. ქობულეთის მშვენებაა ზღვისპირა პარკი, რომელიც მდიდარია დეკორატიული მცენარეულობით (პალმები, მაგნოლიები, ევკალიპტები და სხვ.), სპორტული მოედნებით, საზაფხულო კაფე-ბარებითა და სხვა გასართობებით. ფიჭვნარით, რომელიც ზღვის ნაპირს გასდევს, ასევე სკვერებითა და ბაღებით.

ციხისძირში აგარაკების მშენებლობა დაიწყო 1903 წლიდან. ეს კურორტი მდებარეობს ბათუმიდან 17 კმ-ის დაშორებით. ზღვის დონიდან 60-90 მ. სიმაღლეზე, ციხისძირის მაღლობზე, რომლის კალთებიც ციცაბოდ ეშვებიან ზღვაში და ქმნიან ციხისძირის კონცხს. ზღვაში შეჭრილი კონცხი პლაჟს ორ ნაწილად ჰყოფს. სამხრეთად (პლაჟი საკმაოდ ფართო ქვიშიანია, მზე ხანგრძლივად დაჰნათის, სანაპირო ღრმაა) და ჩრდილოეთად (პლაჟზე ნაპირები თხელია და ბანაობა ყველასათვის ხელმისაწვდომია). კურორტის მთავარი ფაქტორია ზღვისა და მზის აბაზანები. ციხისძირის ჰავის უნიკალურობა იმაშია, რომ ის ზღვისა და მთის ჰაერის ნარევს წარმოადგენს. აქ ზაფხულობით უფრო გრილა, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა +22,6°, ზამთარში კი უფრო თბილა, ვიდრე მახინჯაურსა და ბათუმში, იანვრის საშუალო ტემპერატურა არის +6,2°. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა 78%-ია. კურორტი ფუნქციონირებს სეზონურად, წლის თბილ პერიოდში, აპრილის შუა რიცხვებიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე.

ციხისძირის მწვანით შემოსილ ფერდობებზე, მის ულამაზეს ბაღებსა და პარკებში განლაგებულია სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, რესტორნები, კაფე ბარები და ბუნგალოები. პლაჟები კეთილმოწყობილია, ფუნქციონირებენ ზღვაზე სასეირნო სატრანსპორტო საშუალებები.

საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ზღვისპირა კურორტია მწვანე კონცხი, რომელიც მდებარეობს ბათუმიდან 9 კმ-ის დაშორებით, ზღვის დონიდან 70-92 მ-ის სიმაღლეზე. კლიმატი – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული, ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურა 4,5°-ია, ზაფხული ძალიან თბილი, ნოტიო, აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა +21°. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა 80%-ია. საბანაო სეზონი იწყება მაისიდან და გრძელდება ოქტომბრის ბოლომდე.

მწვანე კონცხის კეთილმოწყობით მე-19 ს-ის ბოლო წლებიდან დაინტერესდნენ. 1903 წელს ბათუმის საზოგადოების მიერ მწვანე კონცხზე კლიმატური სანატორიუმი დაარსდა. კურორტის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია: ზღვისპირა ტენიანი სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წყალი. მკურნალობის სახეობა–ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში ზღვის წყლის აბაზანები და სხვ. კურორტი განკუთვნილია ფილტვების, არასპეციფიკურ დაავადებულთა და ნერვული სისტემის ფუნქციური მოშლილობის სამკურნალოდ.

მწვანე კონცხზე გაშენებულია მსოფლიო მნიშვნელობის ბოტანიკური ბაღი, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს დამსვენებელი და თითქმის მთელი დღე დატვირთულია ტურისტებით. აქ ყველა პირობაა ზღვაზე და ბუნებაში დასვენებისათვის. მწვანე კონცხის სანაპირო შესანიშნავი ადგილია თანამედროვე და მეტად პოპულარული დაივინგისთვის.

ზღვისპირა კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მახინჯაური მდებარეობს ბათუმის ჩრდილოეთით, 6 კმ-ის დაშორებით. მისი სიმაღლე სანაპიროს მახლობლად ზღ.დ.-დან 15-25 მ.-ზე იწყება, შემდგომ ზევით მიიწევს და 1000-1300 მეტრს აღწევს. მახინჯაურის კლიმატი წარმოადგენს მთისა და ზღვის ჰავის შეჯერებულ ნაერთს, ზამთარი თბილი, ზაფხული ცხელი, იანვრის საშუალო ტემპერატურა +5,7°-ია, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა +22,6°, აბსოლუტური მაქსიმუმი +42 °, ნალექების წლიური რაოდენობა შეადგენს 2750 მმ-ს წელიწადში. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია: ზღვისპირა

ნოტიო-სუბტროპიკული ჰავა, ზღვის წყალი და სუბთერმული ტემპერატურა. საბანაო სეზონია აპრილის ბოლოდან – ნოემბრამდე. მკურნალობის სახეობებია: თალასოთერაპია, მკურნალობენ სუნთქვის ორგანოების დაავადებებს, ნერვული სისტემის ფუნქციურ დაავადებებს, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს.

მახინჯაურში აგარაკების მშენებლობა ძირითადად 1904 წლიდან დაიწყო. კურორტი განთქმულია გოგირდის აბაზანებით (ზღვის ნაპირიდან 1 კმ-ზე მდებარე) და სამედიცინო პლაჟებით, რომელიც ფართო და მოხერხებულია, დაფარულია წვრილი ქვიშით. მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს გოგირდის აბაზანების სამკურნალო ცენტრი, რომლებიც სახსრების, ნერვული სისტემის, სასუნთქ ორგანოთა არატუბერკულოზური ხასიათის, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, ზოგიერთი გინეკოლოგიური დაავადებების შემთხვევაში გამოიყენება.

საქართველოში მნიშვნელოვანი საკურორტო ქალაქი ბათუმი მდებარეობს კახაბრის დაბლობზე, რომელსაც აღმოსავლეთიდან შავშეთისა და მესხეთის ქედები ეკვრის. მისი რელიეფი ვაკე-ბორცვიანია. კლიმატი კი ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო, უმეტესად წვიმიანია. იანვრის საშუალო ტემპერატურა + 7,1 ^{0} -ია. ზაფხული თბილი და ნოტიო, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა +23 ^{0}, ნალექების წლიური რაოდენობა 2700 მმ. შეფარდებითი სინოტივე 81%. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა აქ უფრო მცირეა, ვიდრე გაგრასა და იალტაში, ნეაპოლსა და რომში, რაც ბათუმის სამკურნალო მნიშვნელობას აძლიერებს. აქ კურნავენ ძვლების, სახსრების, ჯირკვლების, კანის დაავადებებს, რაქიტს, სუნთქვის ორგანოების დაავადებებს, ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებებს, გულის დაავადებებს.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია: ზღვისპირა ტენიანი სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წყალი. ამ ადგილების მკურნალობის სახეობებია: თალასოთერაპია, ჰელიოთერაპია და კლიმატოთერაპია. აქ ზღვის წყალი თბილია, ახასიათებს ტემპერატურის მუდმივობა, მაღალი მინერალიზაცია. ზღვის ნაპირი დაფარულია კენჭებით და სილით.

ბათუმი მნიშვნელოვანი სამრეწველო და საკურორტო ქალაქია მსხვილი პორტით. ბათუმს აქვს ძალიან ლამაზი განაშენიანება. ზღვის ნაპირს მიუყვება ბულვარი, ქალაქში მრავალი სკვერია, ფუნქციონირებს დელფინარიუმი, კორტები და მრავალფეროვანი ატრაქციონი.

ბათუმი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრია. აქ არის უნივერსიტეტი, საზღვაო აკადემია, ხელოვნების უნივერსიტეტი, დრამატული თეატრი, მუზეუმები და სხვ. კულტურული დაწესებულებები.

საკურორტო ადგილები გონიო, კვარიათი და სარფი ბათუმიდან სამხრეთით, 13-18 კმ-ის დაშორებოთ მდებარეობს. სამივე კურორტი მთების ძირშია განლაგებული. აქ შეჯერებულია მთისა და ზღვის ჰავა. ჰაერი გრილია, სანაპირო ზოლში ზღვის წყალი განსაკუთრებით გამჭვირვალეა. საოცარია აქაური წყალქვეშა სამყაროც. ზღვის წყლის საშუალო ტემპერატურა ივლისში +25^{0}-ზე ადის. გონიოს, კვარიათისა და სარფის სანაპირო ზოლის თავისუფალი ტერიტორია ბოლო წლებში თანამედროვე ტიპის საკურორტო ინფრასტრუქტურად ჩამოყალიბდა. აქ მდებარე სასტუმროები თუ სასტუმროს ტიპის სახლები გამოირჩევა ზღვასთან ახლო მდებარეობით და მყუდრო გარემოთი. გონიო კი 2011 წლიდან ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებშია.

ბობოყვათი ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტია. იგი მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მდ. დაგვას ნაპირებზე, შავი ზღვის პირას, ზღ. დ-დან 60 მ. სიმაღლეზე.

ზღვისპირა კლიმატური კურორტი ჩაქვი მდებარეობს ბათუმიდან 13 კმ-ის დაშორებით, მდ. ჩაქვისწყლის სანაპიროზე (ზღ.დ. 30 მ.). კლიმატი აქ ტენიანი სუბტროპიკულია. ჩაქვის მიდამოების შესახებ ცნობილი მეცნიერი, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი ანდრია კრასნოვი წერდა: „შურითა და ჟინით უყურებდნენ ამ საუცხოო მიწებს პეტერბურგის და მოსკოვის მდიდრები, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც არ

იცის ზამთარი, აგარაკების მოწყობაზე ოცნებობდნენ.'' ჩაქვი ქართული მეჩაიეობის ერთ-ერთი პირველი ცენტრი იყო. 1885 წელს ინჟინერ-პოლკოვნიკმა სოლოვცევმა ჩაქვის სადგურის ახლოს, 1,5 ჰა-ზე გააშენა ჩაის პლანტაცია. ჩაის სამეთვალყურეოდ ჩინეთიდან მოწვეულ იქნა 23 წლის ჩინელი ლაო ჯონ-ჯაო.

ჩაქვის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო საავტომობილო მაგისტრალი. მის გაგრძელებაზე მწვანე კონცხის გადასასვლელზე, 2005 წლიდან ფუნქციონირებს თანამედროვე საავტომობილო გვირაბი, რომელმაც საგრძნობლად შეამცირა ბათუმამდე გადაადგილების დრო და მანძილი. ჩაქვი ცნობილია მდიდარი სუბტროპიკული მცენარეულობით. დამსვენებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს პირდაპირ ზღვის სანაპიროზე გამავალი მწვანეში ჩაფლული დასასვენებელი სახლები, აგარაკები და სასტუმროები. აქ არის ქვიშიანი, სუფთა პლაჟი.

საკურორტო ადგილი ფიჭვნარი მდებარეობს ქობულეთის რაიონში, ზღვის დონიდან 10 მ.-მდე. ადგილს „ფიჭვნარი'' აქ არსებული ფიჭვის ტყის გამო შეერქვა. ფიჭვნარი მდიდარია სუბტროპიკული კულტურებით და ქვიშიანი ფართო პლაჟით.

ფიჭვნარის ჰავა მიეკუთვნება ტენიან სუბტროპიკულს ცხელი ზაფხულით, ზომიერი თბილი ზამთრით და მზის ხანგრძლივი რადიაციით. ფიჭვნარის ჩვენებები იგივეა, რაც ქობულეთისა – გულსისხლძარღვთა და სასუნთქი ორგანოების და გზების არატუბერკულოზული დაავადებები, რაქიტი, ლიმფადენიტი, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები, მეორადი ანემია, საერთო სისუსტე და სხვ. დასვენება შესაძლებელია მაისიდან ნოემბრამდე.

აჭარის ზღვისპირა საკურორტო ადგილების სამკურნალო პროფილია პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, ართროლოგიური, ნევროლოგიური, პულმონოლოგიური .

საზღვაო კურორტებთან ერთად აჭარას მთის კურორტების და საერთოდ, სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია. სწორედ ამიტომ, ბოლო წლებში, მაღალმთიან აჭარაში დაიწყო გასართობი სათხილამურო და სამკურნალო რეკრეაციული კურორტების გაშენება.

აჭარის მაღალმთიანი კურორტებიდან ყველაზე უფრო განთქმული და კლიმატური თვისებებითაც შესწავლილია კურორტი ბეშუმი, რომელიც მდებარეობს ხულოს რაიონში, არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 1850-1900 მეტრის სიმაღლეზე, გოდერძის უღელტეხილიდან 7 კმ-ზე. აქ ზამთარი ცივი და უხვთოვლიანია. იანვრის საშუალო ტემპერატურა -5^0, ზაფხული ზომიერად თბილი, ნოტიო, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა $+17^0$, ხოლო ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა 72 %. ბეშუმის ჰავა მაღალმთიანია, ზომიერად მშრალი, ძირითადად სუბტროპიკულ-კონტინენტური.

კურორტის მთავარი სამკურნალო ფაქტორია ჰაერის გამჭვირვალობა, უმნიშვნელო ტენიანობა, ულტრაიისფერი სხივების სიუხვე, კარგი სასმელი და მინერალური წყლები. კურორტის შემოგარენის წიწვოვანი ტყე ახდენს ჰაერის განსაცვიფრებელ იონიზაციას. ბეშუმი საუკეთესო კურორტია მათთვის, ვისაც სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებები, ბრონქიალური ასთმა, არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები და გულსისხლძარღვთა დაავადებები აწუხებს. კურორტი ბეშუმი ფუნქციონირებს ივნისის შუა რიცხვებიდან ოქტომბრამდე გრძელდება. აქ დგას შესანიშნავი დასასვენებელი სახლი „ბეშუმი'', მრავალი კოტეჯი და დასასვენებელი სახლი.

ბოლო წლებში აჭარაში დაიწყო სამთო კურორტების გაშენება. მათ, როგორც სამკურნალო-რეკრეაციული, ასევე გასართობი დანიშნულება აქვთ და ისინი წლის ოთხივე სეზონზე არის გათვალისწინებული. საკურორტო დასვენებასა და მკურნალობაში დიდ მნიშვნელობას იძენს აჭარაში არსებული სხვადასხვა ტიპის მინერალური წყლები, რომლებიც მრავალი დაავადების მკურნალობის, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის საშუალებას იძლევა.

სამთო-სათხილამურო კურორტი გომარდული ფუნქციონირებს 2012 წლიდან, იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 1250 მ. სიმაღლეზე. შუახევის რაიონში, ბათუმიდან 74 კმ-ში, მდინარეების აჭარისწყლისა და ვანისწყლის წყალგამყოფის ჩრდ. კალთაზე, ზღ. დ-დან 1120 მ-ზე. სოფელს აქვს კარგი რელიეფი საზაფხულო და საზამთრო ტურიზმის გასავითარებლად. რამდენიმე წლის წინ ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა შეისწავლა აქაური რელიეფი და კლიმატი. აღმოჩნდა, რომ გომარდულსა და დავოს (შვეიცარია) აქვს ერთნაირი კლიმატური პირობები. სუბტროპიკული ხმელთაშუა ზღვის კლიმატი, ნაკლებტენიანი, ზაფხული არის ცხელი, ზამთარი შედარებით თბილი. კურორტზე პირველი თოვლი ნოემბერში მოდის. თოვლის სიმაღლე ხშირად 2-3 მეტრამდე აღწევს. აქ 300 მეტრიანი სათხილამურო ტრასა და 250 მეტრიანი საბაგირო გზა ფუნქციონირებს. გომარდული მასპინძლობს ყოველწლიურ საციგურაო ტურნირს, რომელიც ეძღვნება საქართველოს უდიდეს მეფეს დავით აღმაშენებელს და ტარდება 3 თებერვალს. კურორტზე რამდენიმე საოჯახო ტიპის სასტუმრო, ახლადაშენებული საცხოვრებელი კოტეჯები და რესტორანი მოქმედებს. იგეგმება საციგურაო მოედნის და ექსტრემ ცენტრის გახსნა, რომელიც რეგიონში ალპინიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

მთის საკურორტო ადგილი ქედლები მდებარეობს ზღ. დ. 1500 მ. სიმაღლეზე, დაბა ხულოდან 4 კმ-ის, ბათუმიდან 90 კმ-ის დაშორებით. ქედლები გარშემორტყმულია მასიური ნაძვისა და ფიჭვის ტყეებით. ზამთარში თოვლის სიუხვეა. კურორტზე მოწყობილია სათხილამურო ბაზა და მოთხილამურეთათვის ორი საბაგირო გზა – 300 და 150 მეტრის სიგრძის. ქედლებში ფუნქციონირებს ციგურაობის სკოლა, სადაც ასამდე მოხალისე სწავლობს.

სოფელი დანისპარაული მდებარეობს ხულოს რაიონში, არსიანის ქედის დასავლეთ კალთაზე, ბათუმიდან 110 კმ-ის დაშორებით. აქ ზღვის დონიდან 1600 მ. სიმაღლეზე ფუნქციონირებს სათხილამურო სკოლა, რომელიც ქედლების სათხილამურო ცენტრის ბაზაზეა შექმნილი. აქვე გაკეთებულია 200 მეტრიანი საბაგირო გზა. სათხილამურო ბაზა აღჭურვილია მოთხილამურეთათვის საჭირო ინვენტარით.

2015 წლის 5 დეკემბერს გაიხსნა სამთო-სათხილამურო კურორტი „გოდერძი''. იგი მდებარეობს გოდერძის უღელტეხილზე, ზღ. დ. დან 1930 მეტრზე. მაქსიმალური სიმაღლე ზღ. დ-დან 2366 მ. სათხილამურო ტრასის საერთო სიგრძე -8 კმ-ია. ფუნქციონირებს 2 სახის საბაგირო: გონდოლა და ბაბლი. გოდერძი შთამბეჭდავია ბუნებით, სუფთა ჰაერით, ულამაზესი პეიზაჟებით. თოვლი აქ ნოემბრის თვიდან აპრილის თვემდე მოდის და მისი საფარი 2-3 მეტრს აღწევს. კურორტმა პირველი დამსვენებელი მიიღო 2012 წლის ზამთრის სეზონზე. პროექტის დასრულების შემდეგ კურორტი „გოდერძი'' იქნება ოთხ სეზონზე გათვლილი და ერთდროულად 7000-მდე სტუმრის მიღებას შესძლებს. ექნება სასტუმროები, პარკინგი, ყინულის სასახლე. ზაფხულობით და შემოდგომაზე გოდერძის უღელტეხილზე შესაძლებელია ალპური მთის და ტყის ჰაიკინგი, ველოსიპედით და ცხენით გასეირნება, პარაპლანით ფრენა და გოლფის თამაში. მსურვალებს შეუძლიათ მიირთვან ადგილობრივი სამკურნალო-მინერალური წყლები და მოინახულონ ვულკანით გაქვავებული „გოდერძის ნამარხი ტყე'', რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალურია, აქვე მდებარეობს საოცარი მწვანე ტბა.

გარდა ზემოთაღნიშნული სამთო-სათხილამურო კურორტებისა აღსანიშნავია ადგილობრივი მნიშვნელობის სამთო კურორტები.

კურორტი კოკოტაური ქედის რაიონში, მდ. აჭარისწყლის ხეობაში მდებარეობს. ბათუმიდან 25 კმ-ის მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზღ. დ-დან 680 მ-ზე. კლიმატი დაბალი მთის, სუბტროპიკულია. იანვრის საშუალო ტემპერატურა +3 ^{0}, ზაფხული თბილი, ზომიერად ნოტიოა, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა +21 ^{0}. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია დაბალი მთის ჰავა და ნახშირმჟავა, სულფატურ-ჰიდროკარბონატული წყალი, ეს წყალი ჩამოისხმება „კოკოტაურის სახელწოდებით''.

სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის სამთო კურორტებია მთა ცისკარა, მდებარეობს ხელვაჩაურის რაიონში ზღ. დ.-დან 1200 მ. სიმაღლეზე; ხინოს მთა – ქობულეთის რაიონში ზღ. დ. –დან 1850 მ. სიმაღლეზე. სკურდის მთა – ქობულეთის რაიონში ზღ. დ. დან 1200 მ. სიმაღლეზე; კინტრიში – ქობულეთის რაიონში ზღ. დ.-დან 700 მ. სიმაღლეზე; ბოგაური – ხულოს რაიონში ზღ. დ.-დან 1800 მ. სიმაღლეზე; ნამონასტრევი – ქედის რაიონში, ზღ. დ.-დან 850 მ. სიმაღლეზე; საბადური – ქედის რაიონში, ზღ. დ.-დან 1300 მ. სიმაღლეზე; სარიჩაი – შუახევის რაიონში, ზღ. დ.-დან 1200 მ. სიმაღლეზე; საღორია – შუახევის რაიონში, ზღ. დ.-დან 800მ. სიმაღლეზე; ტომაშეთი – შუახევის რაიონში 1950 მ. სიმაღლეზე; ჩირუხი – შუახევის რაიონში, ზღ. დ-დან 1200 მ. სიმაღლეზე მდებარე.

ამ საკურორტო ადგილების სამკურნალო მიმართულებაა კარდიოლოგიური, ნევროლოგიური, ართროლოგიური და სხვ.

აჭარას გააჩნია მდიდარი და მრავალფეროვანი რეკრეაციული რესურსები, რომლის მხოლოდ ნაწილია გამოყენებული. რეკრეაციული მეურნეობის განვითარება უნდა გახდეს რეგიონის სახალხო მეურნეობის ძირითადი პრიორიტეტი. ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის მატერიალური და სოციალური მდგომარეობის ამაღლებას.

რეკრეაციული მეურნეობის განვითარებისათვის კი საჭიროა ტურისტული ბაზების, დასასვენებელი სახლების, სასტუმროების, კემპინგების მოწყობა, გამაჯანსარებელი კერების, სარეაბილიტაციო ბაზების მშენებლობა და მომსახურების შესაბამისი ბაზის შექმნა, რაშიც გამოიყენება, როგორც ადგილობრივი კაპიტალი, ისე მოზიდული ინვესტიციები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კომახიძე თ. ქ. ბათუმის ჯანმრთელობის კერებისა და საკურორტო ქსელის განვითარების ისტორია, ბათუმი. 1997.
2. ნოდია მ. საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები, თბ., 1976.
3. ნიჟარაძე ნ. ჯიბუტი ნ. აჭარის ასსრ. ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება, ბათუმი, 1957.
4. ლეკვეიშვილი ს. აგარაკების მშენებლობა აჭარაში. - „ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის მაცნე“, IV, ბათუმი, 2011.
5. საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ, 1997.
6. საქართველოს მთავრობის დადგენილება. №428, 2014 წლის 3 ივლისი. თბილისი – საქართველოს კურორტების ნუსხისა და სტატუსის დამტკიცების შესახებ.
7. ქსე ტ. II თბილისი. 1977.
8. www.kurortebi.ge

ბათუმი

მწვანე კონცხი

მახინჯაური

ციხისძირი

ქობულეთი

სარფი

ჩაქვი

კვარიათი

კოკოტაური

ბეშუმი

გომარდული

გოდერძი

თამარ ტარიელაძე

კოლხური ბზა

აჭარა თავისი ბუნებით ერთ-ერთი ულამაზესი და მრავალფეროვანი კუთხეა. აქ გავრცელებულია იშვიათი და ძვირფასი ჯიშის მცენარეები. ჩვენს ქვეყანაში შემონახულია და დღემდე ხარობენ ისეთი რელიქტური სახეობანი, რომლებიც სხვაგან უკვე გადაშენდა: ორფანიდეზია, პონტოსა და ჭოროხის მუხა, მედვედევის არყი, უნგერნის შქერი, წყავმაზა.

ცნობილია, რომ წარსულში უმოწყალოდ იჩეხებოდა ჩვენი ბუნების დამამშვენებელი და მრავალმხრივი სარგებლობის მომტანი ტყეები, განსაკუთრებით ძვირფასი ჯიშები - უთხოვარი, კაკალი, ძელქვა, ბზა, წიფელი, ცაცხვი, შვინდი, დაფნა და მრავალი სხვა. ისეთ მთიან ქვეყანაში როგორიც საქართველოა, ტყე საუნჯეა. საქართველოში ტყის ყადრი ძველი დროიდან იცოდნენ და იგი ასახული იყო სახელმწიფო კანონმდებლობაში.

კოლხური ბზა საქართველოს ტყეების ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი და იშვიათი სახეობაა. დიდმა ბოტანიკოსმა ნ.კეცხოველმა პირადად დააფიქსირა ბზა გასული საუკუნის 50-იან წლებში მდინარე ტეხურას ხეობაში და შეიტანა 1961 წელს მის მიერ გამოცემულ ფოტო ალბომში „მცენარეული საფარი ერის საუნჯეა“.

კოლხური ბზა თბილი და ტენიანი ჰავის სახეობას წარმოადგენს და კოლხური ტყის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, იგი უმთავრესად გვხვდება ღრმა და დახურულ ხეობებში. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ტენიანობის მოთხოვნილებისა ბზა სიმშრალისა და სიცივის ამტანობასაც ამჟღავნებს, რისი დასტურიცაა მისი არსებობა ფასანაურის ხეობაში 1700 მ-ზე ზღვის დონიდან.

ბზისებრთა ოჯახის წარმომადგენლები გვხვდება ევრაზიის, აფრიკისა და ამერიკის როგორც ზომიერ, ისე სუბტროპიკულ და ტროპიკულ ოლქებში.

ვარაუდობენ, რომ უძველეს დროში მერქნის მდგრადობის გამო საკმლის ხის, უთხოვარის, ბზის მერქანი შუბის დასამზადებლად იყო გამოყენებული. უძველეს დროში ბზის მერქანი ეკვივალენტური წონით იცვლებოდა მარილზე, რომლის დეფიციტი დიდად აწუხებდა მოსახლეობას.

არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ, რომ ბზის მერქანი რკინის გამოსადნობად გამოიყენებოდა. ბზა, როგორც ნელა მზარდი ძლიერ მაგარი მერქნის მქონე, საკმლის ხის შემდეგ მეორე ადგილზეა, რადგან საშეშედ გამოყენებისას ძლიერ თბურ ენერგიას გამოყოფს, რასაც ღუმელი ერთ ზამთარსაც ვერ უძლებს.

ჯერ კიდევ ჩვენს წელთა აღრიცხვამდე და შემდგომ პერიოდშიც კოლხურ ბზას ძალიან დიდი რაოდენობის მომხმარებელი ჰყავდა. ბზის მასალა აქტიურად გადადიოდა საქართველოს საზღვრებს მიღმა. არსებობს ცნობები, რომ დასავლეთ საქართველოში ჭრიდნენ ბზის ხეებს და საბერძნეთში გაჰქონდათ. ქართულ ბზას ბერძნები გემთმშენებლოვისთვის იყენებდნენ. ამავდროულად ძველი დროის არწერილობაში შედიოდა ბზისგან დამზადებული იარაღები მშვილდი, ისრები, შუბები.

მე-19 საუკუნის მიწურულში მეფის რუსეთს ყოველწლიურად გაჰქონდა მსოფლიო ბაზარზე 2500 ტონა ძვირფასი მერქანი. ამისათვის საჭირო იყო ათასობით ხის მოჭრა. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამახასიათებელი ა.კრასნოვი იმ დროს წერდა: “კავკასიაში სატყეო მეურნეობის მტაცებლური სისტემა მალე სავსებით მოსპობს ბზის

დიდ ხეებს და დატოვებს მხოლოდ დაბალ ბუჩქნარს მდინარეთა ნაპირების გასწვრივ“ ასე რომ გაჩნდა აუცილებლობა არა მარტო ჭრის, არამედ თაიგულებისათვის მისი ტოტების მოტეხვის აკრძალვაც.

საქართველოსგან განსხვავებით არსებობს მრავალი სახელმწიფო, სადაც მცენარე ბზა საერთოდ არ გვხვდება. ჩვენს ქვეყანაში კი გავრცელებულია უნიკალური ჯიშის კოლხური ბზა, რომელიც ბუნების ნამდვილი საჩუქარია.

ბზა (Buxus) მიეკუთვნება ორლებნიან მცენარეთა გვარს ბზისებრთა ოჯახიდან. მოპირისპირედ განლაგებული მარტივი ფოთლები ტყავისებურია. ზედა მხარე მუქი მწვანე და პრიალაა. ფოთლის იღლიებში თავაკისრები ან თავისებრ ყვავილედებში განწყობილი მომწვანო-ყვითელი ყვავილები აქვს, რომელიც მარტსა და აპეილში ყვავის. მოგრძო ნაყოფი კოლოფია და აგვისტოსა და სექტემბერში ჩნდება ყვავილები ერთსქესიანია.

შეიცავს 70-მდე სახეობას. კავკასიაში ბუნებრივად გვხვდება ორი სახეობა რელიქტური სახეობა კოლხური ბზა (Buxus colxica) და პირკანული (Buxus hyrcila) ბზა.

საქართველოში მოშენებულია ბზის ოთხი უცხოური სახეობა

1. ჩვეულებრივი ანუ მარადმწვანე ბზა (Buxus berpervirens)
2. წვრილფოთოლა ბზა (Buxus microplylla
3. იაპონური ბზა (Buxus Iaponica)
4. ბალეარული ბზა (Buxus balearuca)

ბზა მრავლდება კალმით, თესლით და გადაწვენით. ზოგჯერ ივითარებს ძირკვის ამონაყარს, შეკრულ ხეთადგომაში ნაყოფსხმოიარობას იწყებს 40-60 წლის ასაკში. ეულად მდგომი 15 წლის ასაკიდან, ცოცხლობს 500-600 წელს. მისი მაგარი და მძიმე მერქანი გარეგნულად სპილოს ძვალს წააგავს, კარგად პრიალდება. იყენებენ სხვადასხვა ნაკეთობებისათვის. კავკასიური ბზის მერქანი ცნობილია „კავკასიური პალმის“ სახელწოდებით. ბზის ფოთლებისა და ტოტებისაგან ამზადებენ ყავისფერ საღებავს, ქერქის და ფოთლების ნაყენს იყენებენ მედიცინაში, შეივაცს (განსაკუთრებით ფოთლები) ალკალოიდ ბუქსინს. თესლში 37%-მდე ზეთია. თაფლოვანი მცენარეა.

ცნობილია, რომ ბზის ხეები გამოიყენებოდა სახლების მშენებლობაში. არაერთი ძვირფასი ხატი ბზისგანაა დამზადებული და თვისებებიც კარგად აქვს შენარჩუნებული. 12 საუფლისწულო დღესასწაულიდან ერთ-ერთია ბზობა. იერუსალიმში შესვლისას სახედარზე ამხედრებულ მაცხოვარს ხალხი დიდი სიხარულით შეეგება : ზოგი თავის სამოსელს უგებდა, ზოგი პალმის ტოტებს. პალმის ყვავილი წვრილია და ყვითელი. რაც შეეხება სარიტუალოდ გამოყენებულ ბზის ყვავილს, ისიც წვრილია და ყვითელი, ფოთლის უბეში ზის და სურნელოვანია. სავარაუდო და სარწმუნოა, რომ პალმის რტო ბზით ამ ფერების გამო შეიცვალა.

ბზობის დღესასწაულზე საქართველოში დიდი რაოდენობით ბზა ნადგურდებოდა. ბზის გამოყენებას გონიერი მიდგომა ჭირდება. კოლხური ბზა ბუნების ცოცხალი მემატიანეა. იგი მოწმეა საქართველოს და მთლიანად კავკასიის ბუნებრივი ცვალებადობის. იგი ძეგლია „გამოაკელით ქართულ ბუნებას ქართული ძეგლები და თქვენ ნახავთ ეს უმდიდრესი ბუნება რა საშინლად გაღარიბდება“ - ლევან გოთუას ამ პატრიოტული გრძნობით აღსავსე ნათქვამს ზედმეტი განმარტება არ ჭირდება.

სამწუხაროდ უკანასკნელ წლებში ისედაც წითელ წიგნში შეტანილ კოლხურ ბზას ახალი საფრთხე დაემუქრა. გაჩნდა დაავადებები, რომლებმაც ეს მცენარე სამუდამოდ გადაშენების საფრთხის წინაშე დააყენა.

პირველად ბზის დაავადება, რომელიც ბზის ფოთლების სედამწვრის სახელითაა ცნობილი აღინიშნა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ახალ ზელანდიასა და ბრიტანეთში. ამჟამად იგი გავრცელებულია ესპანეთში, იტალიაში, ხორვატიაში, გერმანიაში. ყველგან მიმდინარეობს ბუნებრივი ბზებისა და მისი ხელოვნური ნარგაობების მასობრივი ხმობა და მიუხედავად უცხოეთის ბევრ ქვეყანაში მიმდინარე ინტენსიური სამეცნიერო გამოკვლევებისა, ამ დაავადების წინააღმდეგ რაიმე ღონისძიების შემუშავება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

„ბზის დამწვრობამ“, რომელსაც იწვევს პათოგენური სოკო (Cylindrocladium Buxicola) დასავლეთ საქართველოში ბზის კორომების დიდი ნაწილი გაანადგურა. დაავადება გავრცელდა და 100%-ით გაანადგურა მცენარეები რეგიონის დაცულ ტერიტორიაზე. დაავადება სამეგრელო-ზემო სვანეთის და გურიის რეგიონებზეც გავრცელდა. ყველაზე ნაკლებად აღმოსავლეთ საქართველოა დაზარალებული.

კოლხეთის ეროვნულ პარკში 40 ჰექტარი ბზის კორომია განადგურებული, მტირალას ეროვნულ პარკში 22 ჰექტარი, კინტრიშის დაცულ ტერიტორიაზე 60 ჰექტარი. სპეციალისტების განცხადებით დაავადების გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზი მაღალი ტენიანობაა. დღეისათვის არსებული მდგომარეობა შეფასებულია როგორც ეკოლოგიური კატასტროფა. კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრებო ორგანიზაციების ქსელმა CENN-მა ბზის გადარჩენის ეროვნული გეგმა შეიმუშავა. ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ გეგმაში საუბარია იმ მიზეზებზეც, რაც „ბზის სიდამწვრეს“ იწვევს. CENN-ის ინფორმაციით ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე კვლევა ჩატარდა. კვლევის შედეგად ხმობის მიზეზთან დაკავშირებული ორი სხვადასხვა მიმართულება იკვეთება:

„ბზის სიდამწვრეს“ - პათოგენურ სოკოს ახასიათებს შემდეგი სიპტომები: ახლადინფიცირებულ ფოთოლზე ჩნდება მუქი ყავისფერი ლაქები, ფოთოლი კარგავს სიმწვანეს და ცვივა. ეს პროცესი მეორდება რამდენჯერმე, შემდეგ იწყებს ხმობას მცენარის ტოტები და საბოლოოდ ბზა ხმება.

მეორე მიზეზით ბზის ხმობა გამოწვეულია ბაქტერიებით, ნიადაგის სოკოებით და უნაყოფო სოკოს მიცელიუმით. აღნიშნული ბაქტერიები და ნიადაგის უნაყოფო სოკოს მიცელიუმი იწვევს მცენარის ფესვების ბუსუსების დაზიანებას, ლპობას, რაც გამოიხატება მცენარის კვების რეჟიმის დარღვევით. მცენარე ჭკნება, ფოთლები ცვივა და ხმება.

ამჟამად ბუნებრივი ბზების, როგორც ხეების, ისე ბუჩქების ინტენსიური ხმობა აღინიშნება წალენჯიხისა და მარტვილის რაიონებში. კოლხეთის ეროვნულ პარკში, კინტრიშის დაცულ ლანდშაფტში და მტირალას ეროვნულ პარკში, ხოლო ჯერჯერობით სუსტი ინტენსივობით აღინიშნება ხმობა ჭოროხის და მაჭახელას ხეობებში. ჩატარებული დაზვერვითი გამოკვლევებით დადგინდა, რომ საქმე გვაქვს კავკასიის ენდემური სახეობის, კოლხური ბზის ეკოლოგიურ კატასტროფასთან.

დაავადება „ბზის დამწვრობა“ შესაძლოა საქართველოში კოლხური ბზის გადაშენების მიზეზი გახდეს.

კოლხურ ბზას განადგურება აგრეთვე აქ გავრცელებული პარაზიტის „ბზის ალურას“ (Cydalima perspectilis) გამო ემუქრება. ბზის ალურა რამბიდაეს ოჯახის პეპლების რაზმს მიეკუთვნება. მისი სამშობლოა აღმოსავლეთი აზია. 2007 წლიდან ის შემოიჭრა ევროპაში და გავრცელდა გერმანიაში, უნგრეთში, რუმინეთში, შვეიცარიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში, აგრეთვე თურქეთში.

2012 წელს მავნებელი ოლიმპიური სოფლის გასამწვანებლად იტალიიდან შემოტანილ მარადმწვანე ბზის სარგავ მასალასთან ერთად შეიჭრა სოჭის ტერიტორიაზე. საიდანაც 2013 წლიდან დაიწყო მავნებლის მასობრივი გავრცელება და გამოიწვია ბზის თითქმის 100%-ით გახმობა.

2014 წელს ზაფხულში ბზის ალურა შემოიჭრა დასავლეთ საქართველოში და დროის მოკლე მონაკვეთში გაანადგურა კავკასიური ბზის კორომების დიდი ნაწილი.

უცხოური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მავნებელს წლის განმავლობაში შეუძლია ორი-სამი თაობის მოცემა. ჩვენს პირობებში მისი ბიოლოგია შესწავლის პროცესშია და ვფიქრობთ, რომ ის ჩვენში უფრო მეტ თაობებს განავითარებს. მავნებელმა გაანადგურა არა მარტო დეკორატიული მიზნით გაშენებული ბზები, არამედ ერთეული სახით არსებული მცენარეებიც. არსებობს საშიშროება, რომ მავნებელი შესაძლოა გადავიდეს სხვა მცენარეებზეც (ბაძგი, ჭანჭყატი).

ბზის ალურა წელიწადში იძლევა ორ ან სამ თაობას აპრილ-მაისიდან სექტემბრის ჩათვლით. ზამთარს ატარებს კვერცხის სტატიაში. ახლადგამოჩეკილი მატლი ძალიან გაუმაძღარია, იკვებებიან როგორც ბზის ფოთლებით, ასევე ყლორტებისაგან წოვენ მცენარის წვენს. ფოთლები და ყლორტები დაფარულია ფაშარი აბლაბუდით, რომელზეც შეინიშნება მატლის ექსკრემენტები და გამონაცვალი კანი. მათ შეუძლიათ გაანადგურონ მრავალწლიანი მცენარეები ძალიან მცირე დროში. მავნებლის განსახლების შემდეგ ბზა თითქოს დამწვარია.

მცენარის დაზიანება გამოიხატება შემდეგი ნიშნებით: როგორც ვთქვით ბზის ფოთლები და ყლორტები დახვეულია აბლაბუდაში, ისე როგორც ამერიკული თეთრი პეპელას მატლების მიერ დაზიანებისას. დაზიანებული მცენარეები სრულიად გაცლილია ფოთლებისაგან და დაფარცხულია.

მავნებლის წინააღმდეგ მექანიკური ბრძოლის ღონისძიებიდან გამოიყენება ბზის ღრმად გასხლვა. კვერცხებისა და მავნებლების შეგროვება და შემდგომ დაწვა, აგრეთვე ძლიერ გამხმარი მცენარეების დაწვა.

ვიდრე მცენარე ძლიერ დაზიანდება რეკომენდირებულია მცენარეების დამუშავება პირეტროიდების ჯგუფის პრეპარატებით: დეცისი, დეცის პროფი, ფასტაკი, კარატე, ფიური. შესაძლებელია აგრეთვე ძლიერი სისტემატური პრეპარატის ბი-58-ის გამოყენება უსაფრთხოების ზომის დაცვით, განსაკუთრებით ბავშვებისა და შინაური ცხოველების სიახლოეს.

ახალგამოჩეკილი მატლების წინააღმდეგ კარგ შედეგს იძლევა ახალი თაობის პრეპარატი მწერების ზრდის და განვითარების რეგულატორი - დიმილინი, რომელიც არატოტოქსიკურია ადამიანისა და თბილსისხლიანი ცხოველებისათვის.

ბიოლოგიური პრეპარატებიდან რეკომენდირებულია ბაქტერიული პრეპარატები, რომლებიც დამზადებულია Bacillus thuringiensis (ლეპიდოციდი სკ-მ). აღსანიშნავია, რომ ეს პრეპარატები ეფექტურია მხოლოდ ახალგაზრდა ასაკის მატლების წინააღმდეგ.

პეპლების ფრენისას გამოყენებული უნდა იქნას სპეციალური პეპლების საჭერი მოწყობილობა - სინათლის მახე.

ბზის მცენარეების მახლობლად უნდა დაიკიდოს ენტომოლოგიური წებოთი დამუშავებული ქაღალდები პეპლების დასაჭერად.

მავნებლის მატლის ფაზაში ყოფნისას (I, II, III ხნოვანება) შესხურებული უნდა იქნეს ინსექტიციდები - დეცისის ან დეცის პროფის, ან ფასტაკის, ან კარატეს, ან ფიურის, ან ალპაკის, ან კრალის, ან ბი-58-ის 0,2% სამუშაო ნაზავი.

2015 წლის აგვისტოში ტყის სააგენტოს თანამშრომლებმა უკრაინელი ექსპერტები მოიწვიეს. მათ მიერ შემოთავაზებული იქნა სამი-ოთხი პრეპარატი ოღონდ შეწამვლა არ უნდა მოხდეს დაცული ტერიტორიების შიგნით იმიტომ, რომ ქიმიურმა პრეპარატებმა შეიძლება დააზიანოს და უარყოფითი შედეგი მოახდინოს დაცული ტერიტორიების შიგნით არსებულ სხვა ცოცხალ არსებებზე.

უკრაინელმა ექსპერტებმა აგრეთვე შეაგროვეს ბზის ჯანმრთელი თესლები და შექმნეს სპეციალური თესლების ბანკი, ასევე ხელოვნურად გაამრავლეს ის. იმ შემთხვევაში თუ სპეციალისტები ვერ შეძლებენ მოიძიონ ეფექტური საშუალება ბზის გადასარჩენად, მოგვიწევს ფიქრი ამ სახეობის გადარჩენაზე, რომელიც ისედაც შეტანილი იყო წითელ ნუსხაში

სოკოვანი დაავადება ძალიან სწრაფად ვრცელდება, მას ზამთარში 5-გრადუს ტემპერატურაზეც კი შეუძლია განვითარდეს, თუმცა განსაკუთრებით საშიში კარგ ამინდშია: საუკეთესო პირობები აქვს თბილ და ნესტიან ადგილას, რომელიც ნაკლებად ნიავდება. ამ მხრივ საუკეთესო გავრცელების ადგილი აჭარაში და სამეგრელოში იპოვა, სადაც უნიკალური ბზის კორომებია. 5 საათის განმავლობაში სოკო იზრდება, 48 საათში კი უკვე ახალ გენერაციას იძლევა. ამ თვისებების გამო რამდენიმე წელიწადში ბზის კორომების 90-95% სრულიად განადგურდა. მხოლოდ ერთეულ ადგილებშია შემორჩენილი, იქ სადაც სოკო ფოთლებზე ვერ გაჩერდა, ანუ იქ სადაც ნიავი მუდმივად ქრის. დანარჩენ ადგილებში როგორც ახალი ნარგავები, ასევე 500-600 წლოვანი ხეებიც განადგურებულია. ქიმიური მეთოდით ბრძოლის საშუალება არსებობს, მაგრამ მათი დამუშავება შეუძლებელია, რადგან კლდექარაფებზეა ეს ხეები. ბიოლოგიური მეთოდები ყველაზე კარგია, მაგრამ ჯერჯერობით არ არის შემუშავებული.

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ კინტრიშის ხეობაში დაავადების გამო ბზა თითქმის ყველგან განადგურებულია, მაგრამ ხეობის ზოგიერთი ციცაბო ფერდობზე, სოფელ ცხემლვანას წმინდა გიორგის სახელობის ტაძარის მიმდებარე ტერიტორიაზე ბზის კორომები სრულად გადარჩენილია და არანაირი ხმობის ნიშნები არ შეიმჩნევა. თუ რატომ მოხდა მხოლოდ ამ ადგილზე ბზის გადარჩენა, საინტერესოა და კვლევას საჭიროებს.

საქართველოში ბზის პრობლემის მოსაგვარებლად ძალიან ბევრი უწყება მუშაობს. ტერიტორიის შესწავლისა და შეფასების პროცესში უცხოელებიც არიან ჩართულნი, მაგრამ შედეგი ჯერ არ ჩანს. ზოგიერთ ადგილას ბზის კორომი, რომელიც ფერდობს იცავდა, გახმობის შემდეგ ვეღარც ნიადაგს აკავებს, ფერდობზე ჩამოშლილია ნიადაგი, ქვები, რაც უკვე სხვა პროცესებს იწვევს.

„ქიმიური პრეპარატების გამოყენება, რომელიც ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა გამოიყენა და ეფექტიური გამოდგა მისთვის, დაცულ ტერიტორიებზე მიუღებელია. თუ ვუმკურნალებთ ბზას შეიძლება ქიმიურმა პრეპარატებმა დაავადების გამომწვევ სოკოზე იმოქმედოს მომაკვდინებლად და გადავარჩინოთ ბზა, მაგრამ პარალელურად განაადგუროს სხვა ცოცხალი ორგანიზმები, უხერხემლოები იქნება ეს თუ ბალახოვანი საფარი. სწორედ ამიტომ ვერიდებით დაცულ ტერიტორიებზე ქიმიური პრეპარატების გამოყენებას“.

არსებობს დაავადებასთან ბრძოლის კიდევ ერთი ხერხი - ავიაციით შეწამვლა. თუმცა ვერც ამას გამოვიყენებთ. ჩვენს დაცულ ტერიტორიებზე ბზები არის ქვეტყეში, ანუ პირველი იარუსი მაღალ ხეებს უკავიათ, ავიაციის გამოყენებით რომ დაასხურო

ბზისთვის განკუთვნილი პრეპარატი, პირველი იარუსის ხეების ფოთლები და ტოტები არ გაატარებს სითხეს.

გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მალხაზ ფარტენაძეს დაუკავშირდნენ, რომელიც ამ პროცესში ხელვაჩაურის მუნიციფალიტეტის სოფელ ჯოჭოში არსებული ბზის ტყეების მასიური ხმობის გამო ჩაერთო. მისი ინფორმაციით „კოლხური ბზის პრობლემასთან დაკავშირებით მთავრობა საქმის კურსშია, თუმცა რეკომენდაციები, რომლებსაც სპეციალისტები ბზის დამწვრობის წინააღმდეგ გასცემენ დიდ სირთულებთანაა დაკავშირებული, ამიტომ ამ დროისათვის დაავადების წინააღმდეგ მთავრობა ხელფეხშეკრულია.

რეკომენდაციების მიხედვით: აუცილებელია მცენარის დაავადებული ნაწილების მოშორება, ჩამოცვენილ ფოთლებთან ერთად დაწვა და ნიადაგში ღრმად ჩამარხვა. საჭიროა ნიადაგის ზედა ფენის მოცილება. დაავადებულ მცენარეებთან მუშაობის შემდგომ კი აუცილებელია სამუშაო იარაღების, ფეხსაცმელების და ხელების გულდასმით გაწმენდა-დეზინფექცირება.

დაავადების პროფილაქტიკის მიზნით სასურველია ჯანსაღი მცენარე დამუშავდეს ისეთი ქიმიური საშუალებებით, როგორიცაა აკრობატი და რიდომილ გოლდი. ტრიაზოლის შემცველი ტებუკონაზოლი და კვადრისი.

ბზის გასაშენებლად კი აუცილებელია ჯანსაღი, არაინფიცირებული სანერგე მასალა, რომელიც მზიან და ქარიან ადგილებში უნდა დაირგოს. ნარგავები მხოლოდ ფესვებთან უნდა მოირწყოს და არ უნდა დასველდეს ფოთლები.

ბათუმის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ მომზადდა პროექტი, რომელიც დაავადების კვლევას და პრევენციული ღონისძიებების შემუშავებას ითვალისწინებდა, მაგრამ დაფინანსება ვერ მოხერხდა.

ახალი პროექტის განხორციელებას მეცნიერები უცხოური ორგანიზაციების თანადაფინანსებით გეგმავენ. სპეციალისტები კი შიშობენ რომ დაავადების კონტროლისათვის ეფექტიური საშუალებების არ არსებობის პირობებში მისი გავრცელების მასშტაბები საგანგაშო იქნება.

სამეგრელოსა და აჭარაში ცენტრალური და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებისათვის კოლხური ბზის მდგომარეობის გასაცნობად მედიატური ჩატარდა, რომლის ორგანიზატორი იყო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრებო ორგანიზაციების ქსელი და ეროვნული სატყეო სააგენტო.

მედიატური „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ეროვნული სატყეო პროგრამის (NFP) ფარგლებში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (CENN)-ის და ეროვნული სატყეო სააგენტოს ერთობლივი ინიციატივით, სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით კოლხური ბზის გადარჩენის ეროვნული სამოქმედო გეგმა მომზადდა.

გეგმაში გაწერილ კომპლექსურ ღონისძიებებს შორის, პრევენციის მიზნით, დაიგეგმა მონიტორინგის გაძლიერება ბზის ტოტების მოპოვების ტრანსპორ- ტირებისა და გაყიდვის აღსაკვეთად, რომელიც დაკავშირებულია ბზის როგორც აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის ერთ-ერთი სიმბოლოს გონივრულ გამოყენებასთან.

კარგი იქნება თუ საპატრიარქოს ეგიდით გამოიყოფა ტერიტორიები, სადაც ბზა გაშენდება. ეს იქნება ბზის სამოდელო ნაკვეთები, რომელსაც შემდეგ გამოიყენებენ, როგორც დღესასწაულისათვის, ასევე გარემოს დაცვით საქმიანობაში შეიტანენ წვლილს.

პრობლემა იმდენად აქტუალურია, რომ მოითხოვს ყველა ორგანოს ყურად-ღებას. ერთობლივად თუ არ განხორციელდა ეს აქციები, კოლხური ბზა არ იქნა გამოყვანილი სანერგეში, ან თესლით, ან კალმების გზით, მაშინ ჩვენ გვემუქრება წითელი ნუსხის ამ მცენარის საბოლოო გადაშენება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სახოკია მ. კოლხური ბზა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. I თბ. 1977 წ.
2. გამცემლიძე პ. განუხრელად გავატაროთ ბუნების დაცვის კანონი. - ჟურნალი: „საქართველოს ბუნება“, N2, თბ., 1962 წ.
3. დავითაძე მ. „ყვავილი თოვლში“, ბათუმი, 2003 წ.
4. ჭელიძე ზ.კოლხური ბზა, - „ბუნების კარი“, თბ,. 1988 წ.
5. კეცხოველი ნ. მცენარეული საფარი ერის საუნჯეა. „ბუნების კარი“. 1988 წ.
6. გომელაური ვ. ჩვენი წვლილი. ჟურნალი „საქართველოს ბუნება“ N2 1962 წ.
7. მაყაშვილი ალ. -საქართველოს ხეები და ბუჩქები, თბ.1995 წ.
8. გაზეთი „ბათუმელები“ 19.05.2014 წ. „რატომ ვერ შველიან დაავადებულ კოლხურ ბზას“.
9. გაზეთი „ბათუმელები“ N31/451 13-19 აგვისტო 2012 წ. „კოლხური ბზის ტყეები გადაშენების პირასაა“.
10. ნიკოლაიშვილი ა. ჯაყელი ე. ახალი საკარანტინო მავნებლები ბზის ალურა და ბაღლინჯო საქართველოს შავი ზღვისპირეთში. ქუთაისი, 2014 წ.

კოლხური ბზა

დაავადებული ბზა

ბზის სიდამწვრე

ალურას მატლი

ალურას პეპალა

დაავადებული ბზა

ნათელა ახვლედიანი

ანტარქტიდის ბინადარი

დიახ, სწორედ ანტარქტიკიდან „ჩამოვიდა“ რომ ჩვენს მუზეუმში დაედო ბინა და ბუნების განყოფილება კიდევ უფრო გასაოცარი, საინტერესო და მიმზიდველი გაეხადა.

ალბათ ვინც კი ერთხელ მაინც ყოფილა ხ.ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში მიხვდება საუბარი ვეშაპ-ფინვალის ჩონჩხს რომ ეხება.

ვეშაპი ეს არის წყლის ძუძუმწოვრების რიგის წარმომადგენელი, რომელსაც აქვს 1-2 მ-დან 33 მ-მდე სიგრძის თითისტარისებრი სხეული, რომელიც ჰორიზონტალური ორპალატიანი კუდით ბოლოვდევა, ბალნიანი საფარველი, გარეთა ყური, ოფლისა და თებოს ჯირკვლები რედუცირებულია. ლავიწი არა აქვთ. წინა კიდურები ფართლება-დაა გადაქცეული, ხოლო უკანა არ გააჩნია. ვეშაპისნაირთ ჟამგბადის მარაგი განუახლებლად დიდხანს შეუძლისთ წყალქვეშ ყოფნა. მათ წყლის ზედაპირიდან დიდი რაოდენობით ჟანგბადი ჩააქვთ, რომელიც მეტად ეკონომიურად იხარჯება. ყვინთვის დროს გულის მოქმედება ორჯერ და უფრო მეტად ნელდება, ხოლო სისხლი იმგვარად მოძრაობს, რომ ჟანგბადით უპირველეს ყოვლისა თავის ტვინი და გულის კუნთი მარაგდება. აგრეთვე კარგად აქვთ განვითარებული შეხებისა და გემოვნების ორგანოები. თვალები პატარა აქვთ. ყნოსვის ფუნქცია დაკარგული. ვეშაპისნაირი ცოცხლად ერთ ნაშიერს შობენ და რძით კვებავენ. სქესობრივ სიმწიფეს 2-6 წლის ასაკში არწევენ. ცოცხლობენ 30-50 წლამდე. მათ სხეულის მუდმივი ტემპერატურა აქვთ. ცხოვრობენ ოჯახებად ან ჯოგებად. ვეშაპი დედამიწის უდიდესი ცხოველია. მათი წინაპრები ოდესღაც მიწაზე ბინადრობდნენ.

თბილსისხლიანი ძუძუმწოვრების რიგი იყოფა ორ ქვე რიგად: უკბილო და კბილიან ვეშაპებად. პირველ ჯგუფში გამოიყოფა სამი ოჯახი: სადა ვეშაპისნაირი, ზოლიანი ვეშაპისნაირი და რუხი, ხოლო მეორეში ოთხი ოჯახი: კაშალოტისებრნი, დინგნისკარტსებრნი, დელფინესებრნი და მდინარის დელფინისებრნი.

შავ ზღვაში ბინადრობს ვეშაპისნაირთა სამი სახეობა - აფალინა, ზღვის ღორი და დელფინი, რომელიც მრავლად გვხვდება საქართველოს სანაპიროებთანაც. 1880 წლის მაისში შავ ზღვაში, იმ ადგილას სადაც მდ.ჩურუქ-სუ (მდ.კინტრიში) ერთვის შავ ზღვას, ვეშაპი მოუკლავთ. ეს გარემოება გასაკვირი არის, რადგან იგი მანამდე არავის უნახავს. ის მოსული უნდა ყოფილიყო გრელანდიის ზღვიდან, რომელიც გამოივლიდა ჩრდილოეთის ზღვას და ატლანტიის ოკეანეს გიბრალტარის სრუტით შემოვიდოდა ხმელთაშუა ზღვაში დარდანელის სრუტით, მარმარილოს ზღვით და ფოსფორის სრუტით შავ ზღვაში უნდა შემოსულიყო.

როგორც „კავკაზში“ იწერებიან ეს ვეშაპი ხუთი თვის უნდა ყოფილიყო. თოფებით მოკლეს და როცა გაზომეს 14 არშინი იყო სიგრძით. სალდათებს ქონი აუცლიათ, რომელიც თორმეტი ფურგუნით წაუღიათ. თითო ულვაში 3-4 არშინის სიგრძე იყოო და ერთი ლაყუჩი რვა კაცმა ძლივს ასწიაო - ამბობდნენ. თურმე ბათუმის გუბერნატორს გენ. კომაროვს განზრახვა ჰქონდა, რომ ეს მოკლული ვეშაპი მთლიანად გაეგზავნა ოდესაში ან თბილისში, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან სალდათებმა ხორცი ააცალეს. ჩონჩხის სანახავად დიდძალი ხალხი მოაწყდა ბათუმიდან და ფოთიდანო იუწყებოდა გაზეთი „დროება“ 1880 წ. ეს ის მცირე ზოლიანი ვეშაპია, რომლის ჩონჩხი საქართველოს მუზეუმში ინახება.

ვეშაპების მეორე სახეობის, ვეშაპ-ფინვალის ჩონჩხი, რომელიც ჩვენს მუზეუმშია დაცული 1962 წელს საჩუქრად გადმოგვცა ვეშაპმჭერი ფლოტილიის გემი „უკრაინის“ კაპიტან დირექტორმა ალექსი სალიანიკმა და კაპიტანმა აბესალომ ზენაიშვილმა.

ვეშაპ-ფინვალი მოკლულია ანტრაქტიდის წყლებში, ჩონჩხის ხერხემლის სიგრძე 18 მ-ია. წონა კი 70 ტონა ყოფილა (მუზ.ფ. N1962 ბ.გ.N899) თავის ქალა მალებით. დისკებით, ნეკნებით

ამ სახეობის ვეშაპების სიგრძე 25 მ-მდე აღწევს, წონა კი 70-90 ტონამდე. იგი გარეგნულად თევზს ჰგავს, მისი თავის სიგრძე მთელი ტანის მესამედს შეადგენს.

საოცარია, რომ გიგანტი ვეშაპის ყელის დიამეტრი 8-10 სმ-ს არ აღემატება. იკვებება წვრილი თევზებით და ცხოველებით. კბილების ნაცვლად ზემო ყბაზე აქვს მაგარი რქისებრი ძვლოვანი ფირფიტები რომლებსაც ვეშაპის „ულვაშებს“ ეძახიან, რომლებიც შავი ფერისაა კიდეზე თეთრი ზოლით. ულვაშს ისინი საკვების დასაჭერად იყენებენ, რომლებიც მათ ზედა ყბაზე კბილის რიგივითაა განთავსებული. როდესაც ვეშაპი პირს აღებს, მასში საკვებთან ერთად უამრავი რაოდენობის წყალიც ხვდება. ამ დროს იგი პირს კეტავს და 2, 7 ტონიანი ენის დახმარებით წყალს პირიდან სწორედ ულვაშების საშუალებით გამოდევნის, რომლებიც ასევე მესერივით ეღობებიან და ხელს უშლიან პირში მოხვედრილ ცხოველებს, გაჰყვნენ გამდინარე წყალს. ულვაშებიდან ამზადებენ წებოს, სავარცხლებს.

სველი პრეპარატის სახით არის წარმოდგენილი ვეშაპის ჩანასახი. ჩანასახი ერთი თვის, სიგრძე 80 სმ.

ვეშაპის გავრცელების არეალი ანტარქტიდაა. მეცნიერული კვლევების თანახმად ერთ-ერთი უძველესი ვეშაპის ჩონჩხი 26 მილიონი წლისაა. ლურჯი ვეშაპი მსოფლიოში ყველაზე დიდი არსებაა, რომლის წონა 200 ტონაა.

ვეშაპს დიდი სარეწაო მნიშვნელობა გააჩნია. მათზე და ზღვის სხვა ძუძუმწოვრებზე ნადირობა დაახლოებით 200 წელია გრძელდება, რამაც გამოიწვია ვეშაპთა რიცხვის შემცირება და რამდენიმე სახეობის გადაშენებაც კი რაც დიდი დანაკარგია სამყაროსათვის.

ვეშაპზე ნადირობის რეგულაციას ხელმძღვანელებს საერთაშორისო ვეშაპ-ნადირობის კომისია 1966 წლიდან ლურჯ ვეშაპზე ნადირობა აკრძალულია.

1986 წლიდან მოყოლებული მთელს მსოფლიოში 19 თებერვალი აღინიშნება როგორც ზღვის ბინადართა და მათ შორის ვეშაპის დაცვის საერთაშორისო დღდ. სპეციალურად ამ დღეს მთელ მსოფლიოში ვეშაპების დამცველი ეკოლოგიური ჯგუფები ატარებენ აქციებს ზღვის ბინადართა გადასარჩენად. ამასთანავე მოსახლეობას აცნობენ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა მდგომარეობაშია წყალქვეშა სამყარო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქსე ტ.4. თბ. 1981 წ.
2. გაზეთი „დროება“ N89, 1980 წ.
3. მუზეუმის ფონდის საინვენტარო წიგნი ბ.გან. N1
4. Wikipedia. Org

ვეშაპის ულვაში

ვეშაპის ჩანასახი

ზოია ტუღუში

გურული ფრაზეოლოგიზმები

გურული ლექსიკონის შესწავლოსას ყურადღება მიიპყრო საინტერესო ფრაზეოლოგიურმა ერთეულებმა, ფრთიანი სიტყვების საკმაო სიხშირით გამოყენებამ. აღსანიშნავია ერთი გა-რემოება,რაც ბუნებრივ გარემოში ითქმის, საგანგებო მოძიებისას ყოველთვის როდი მოი-ხწლტება.ასე გაგვირბის ხოლმე მრავალი მსვენიერი თქმა, გამოუმზეურებელი ძველი ხიბლით მირონცხებული სიტყვები, რომლებიც ,,დროზე თუ არ შეიკრიბა იკარგება, ძველ თაობას თან მიაქვს''. (წულაძე.1971.)

ფრაზეოლოგიზმების, გურული იდიომატური შესიტყვებების წარმატებით მოპოვების აუცილებელ პირობად გვესახება ბუნებრივ გარემოში ხანგრძლივი ყოფნა, ამ დიალექტის მკვიდრთა შორის თანაცხოვრება. ოთხი ათეული წლის განმავლობაში გურულ მასალაზე მუსაობისას მეტყველებაში შენიშნულმა იდიომების სიჭარბემ მიიქცია ჩვენი ყურადღე- ბა. ნათელი შეიქმნა, რომ იდიომატური თქმებით, ცალკეული სიტყვებისა თუ გამოთქმე-ბის მეტაფორული ხმარებით მდიდარია გურული ლექსიკა. იდიომების სიჭარბე , ხატო- ვანი მეტყველება, გურიის მკვიდრთა ხასიათის ერთგვარი მაჩვენებელია.

ქვემოთ წარმოვადგენთ ლანჩხუთის რაიონში ჩვენ მიერ მოპოვებულ გურულ ოდიომატურ თქმებს. მიზანშეწონილად ვცანით მოხდენილი ფრაზეოლოგიზმების ცალკე გამოყოფა. ამგვარ გამონათქვამებში კარგად აირეკლება გურული სისხარტე, მახვილგონივ-რულობა, საგნისა თუ მოვლენის ზოგჯერ ირონიული აღქმა. ზოგჯერ ფერადოვანი სიმშვენიერე, ხალვათი, მსუბუქი მიმართება სიტყვის ექსპრესიული, გამომსახველო-ბითი ფუნქციისადმი, გურული იუმორის განუმეორებელი ხიბლი.

გურულ მეტყველებაში აღნუსხული ფრაზეოლოგოზმები: “მთვარემ შეივახშმა” - გვიან ამოვიდა მთვარე. „იალონმა ფერა” - გათენდა, ალიონმა ფერი მოფინა გარემოს,. „მზემ მთის წვერზე შჭყვერთა“ - ცისკარი მოახლოვდა. „გადაჭიხვინდა ოფლი სახეზე“ - გაოფლიანდა. „დარი გამოკაჭკაჭდა, დარი გადაკირკიცდა, დარი გადაკირკიცდა“, „მშვენიერი დარი გამეიჯინგრა“

- გამოამინდდა. „ჯაჯას ბედაური ეყოლა“ – უღირსს ღირსეული შეეძინა. „ცას მისცა ფშტვირი“ - ხმამაღლა დაიყვირა. „დაკრეჭილი აქ კბილები“ - ძლიერ მოწადინებულია. „ჭიჭვს ვერ იყრის“ - სიღარიბისგან ვერ ამოდის. „კოღოები სწევენ ქელეხს“ - მწარედ იკბინებიან. „ცაი მოშავბედდა“ - უბედურება დატრიალდა. „თავზე ცაი ახურავს“ - უსახლკაროა. „ცის კიდეზე გევიდა“ - აშენდა, გამდიდრდა. „ცაზე ხელს არებს“ - უხარია. „წვიმამ ფეხი გუუშალა“ - კოკისპირული წვიმა მოვიდა „სათოფეთ ვერ იშონა“ - ახლოს არ გაიკარა. „ავი ლოგინი დაუდგა“ - ცუდი საქმე გაუკეთა. „ბაისოის კალთა სიმინდი იწია“ - მცირე მოსავალი აიღო. „ნალია გაკატრულია სარჩხინავამდე“ - უხვი მოსავალია. „კაბა დაიფერთხა“ - საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, რაღაცას შეელია. „დამჟდარა ჯვარის ვირზე“ - ჯიუტობს. „მოეთხრება პასკის ჯვარი“ - ცუდი ამბავი დაემართება. „ვირის ქალაბანი ეიღო“ - შეურაცხყვეს. „გელის [მგლის] ტყავი მიეკიდა ზურგში“ - მძიმე ცოდვა ჩაიდინა. „თავისწინაი გაასწრა სიტყვამ“-დაუფიქრებლად წამოროშა. „სისხლის ღვარი აადუღა“-უბედურება დაატრი-ალა. „ბიჭობაში ფეხი შედგა“- დავაჟკაცდა. „ცივ ნიავს არ უშობს“-აუგს არ ათქმევინებს. „ეიშვა უქმის ძალი“-დასვენების დრო დადგა. „ბიჭის ყური არაა იქ“-

ვაჟიშვილი არ ყავთ. „ცრემლის ღვარში შეიგულა, კურცხალი დაანგრია“-ბევრი იტირა. „ზდღევა კორიზას“-ფუჭად გაისროლა, ტყვია უსარგებლოდ გამოიყენა. „ბერიკაცი კაწანდევობს“-არმაგი კაცი ახალგაზრდულად ძლიერობს, დევივით ძალ-ღონის პატრონია. „ენა ზურგზე აქ გადაკიდული“-ენაგრძელია. „ფუტი გაცივდა“-ოჯახი გადავიდა. „თაგვები კრიმანჭულობენ, თაგვები მარულას შობა“-მიტოვებულ უკაცურ სახლზე იტყვიან. „მოიდედობით მოწამა ქვეყანა“-სიამტკბილობით იცხოვრა. „ამოწვადა სული კისერში“-სისხლი გაუშრო, გატანჯა. „გაქრა ბურცხანაის ყვავილივით“-უკვალოდ დაიკარგა. „ეშმაკს თვალს არ უჩანა“-საშიშროების მოახლოებაზე, სიფრთხილის აუცილებლობაზე მიანიშნებს. „ცის კიდეზე გევიდა“-აშენდა. „ქვაში ამეიღო“-დიდი ძალისხმევით, მონდომებით იპოვა. „უკვანტური საკვანტურად გეიხადა“-საქმე გაირთულა. „მხრები აწყობილი აქ“-წასასვლელადაა მზად. „ხანჭკი მოუარა“-დასცინა. „დადვა უღელი“-საბოლოო უარი თქვა. „საქმე მოათავკუდა“-საქმე დააბოლავა. „სული ირჯება“-გული უწუხს. „გზაი გადააჯიქურა“-გზა მოკლედ მოჭრა. „ბადე შემოაყარა“-ნართაულად უთხრა. „ ძაღლის გული მუუვიდა“-ძლიერ გაბრაზდა. „გეგენიე ცეხლი გუუჩინა“-განსაცდელში ჩააგდო. „დაბალ ღობედ ცნა“-დასაჩაგრავად მიიჩნია. „ბიჭობაში მოიშალა“-წახდა, შეშინდა. „გულმა ხიოლი ქნა“-დარდი შემსუბუქდა. „უწანაქოთ დეიმარხა“-უპურმარილოდ დასაფლავდა. „ფაფარი არ გუუქანებია“-თავი არ შეუწუხებია. „სული არ წაუთხუებია“-არ აჩქარებულა. „ჩიტის წველასავით უკვირს“-ძლიერ გაოცებულია. „გაქიოტდა სიმინდის კატარი“-ტაროს გამოღების ხანია. „ძაღლის ხორცი შეიბა“-არ შეიცოდა. „ყური არ გააქანა“-თავი არ შეიწუხა. „გადუუწირეხა დედა“-დედა შეუგინა. „შავი დღეი გეიარა“-სიძნელე ნახა. „შავი ყველიერი დაათენა“-საშინელი ამბავი დაატრიალა. „გული გაითანიშა“-გამხიარულდა. „გულზე ქვაი დეიკიდა“-ყველა ღონე იხმარა. „ანაბრინი მის საქმეს“-საქმის ჩაფლავებაზე ამბობენ. „ცალუღელაში შეემბა“-მეუღლე დაკარგა, გასაჭირში მარტოკა აღმოჩნდა. „ძუა არ გუუქანებია“-თავი არ შეუწუხებია. „დაადგა თუღი თავზე“-ააშენა, დაამშვენა. „ძუა دააპწნია“-გააქცია და ა.შ.

2.ყურადღებას იპყრობს ერთი შეხედვით თითქოს ნეიტრალური, თუმცა ექსპრესიულობას არცთუ მოკლებული ფრაზეოლოგიზმები, მყარი შესიტყვებანი, რომელთა ფუნქცია აზრის ნათლად, სადად გამოხატვა, შესაბამის ''სამოსელში გახვევა'', და სათქმელთან უკეთ მისადაგების, მორგების ხელოვნებაა. ამგვარ შესიტყვებებს მეტაფორული აზროვნების გამოხატვის ფუნქცია გააჩნიათ.

მაგ: „ცრემლად დაიქცა“- ბევრი იტირა, „ხორცი შეიმბა“-გასუქდა, „ხორცი دააგდო“-გახდა. „ეიღო გულმა“- აითვალისწუნა. „دააყენა ძუაზე“-გათავდა. „ვარახელაი გამართა“-იქეიფა. „ფრინველივით მოყანდა“- გადაშენდა. „გუუტკლიცა მიწა“-გადამალა. „არ დუუსოლებია ენა“-არაფერი უთქვამს. „თვალს აძლევს, თვალყურს აძლევს“-ყურადღებას აქცევს. „გავარდა სული“-მოკვდა, [უპატივცემულობას ასახავს], „შერჩა სული“-გადარჩა. „შჭარბობს თვალი“-გათვალვის უნარი აქვს. „დადვა გული“-მიეჩვია. „ყური دااატანა“- ყურადღება მიაქცია. „შელანდა თვალი“-თვალი მოჰკრა. „ძველებურაი ჩუუკირკკანტულა“-წაუმღერა. „თავი გამეიხვაშნა“-იოლად გამოვიდა. „გამოანთო თვალები“-თვალები გადმოკარკლა. „თვალი აღონა“-დაემალა. „გულს ეწია“-გულზე შემოაწვა. „წუუსვარა ხელი“-გალანძღა. „ქალი دამწიფდა“-გასათხოვრად მოიწიფა. „ხელი წაუკრა“-წაეხმარა. „ძუძუ აუტირდა“-რძე თავისით დაიღვარა. „გული აურინა“-გული აუგდო. „სიტყვა გასცა“ دაპირდა. „სიტყვა ჩათქვა“__მოატყუა. „გული

შეაჯერა“__დაკმაყოფილდა. „უკეთა გულმა“__გამხნევდა. „გადაკიმა სული“__მოკვდა. „ტანი უუშვა“__გაიზარდა. „სიმართლე იშონა“__გამართლდა. „ინათი თქვა“__მტკიცე ფიცი აღთქვა. „ინათი გატეხა“__ფიცი გააცრუა. „გული მიერია“__გაბრაზდა. „თავი წაუქნია“__უხალისოდ მიესალმა. „ვეფერი ჭკუა ვერ სთხუა“__აზრი ვერ გამოიტანა. „კურცხალი იშონა“__ატირდა. „გული ნთქავს“__ვარაუდობს. „გულზე გადანარა“__შვება იგრძნო. „ჭკუა მუატანა“__მოიფიქრა. „სულმა სთხუა“__მოესურვილა. „მიიტანა თავი“__მიაღწია. „თვალზე ეიღო“__აითვალისწუნა. „ზეპირაი დუუკაკლა“__დაუფარავად ამცნო სიმართლე. „მივიდა სულზე“__გათავდა. „მოუწია გულზე“_ გულზე მოხვდა. „ეღერღება გული“__ეთანაღრება. „წაზარლა“ თავი__აჭრა. „მოქისრა კისერი“_მოჭრა რაიმე. „მეგორდიაში გადმეიღო“__ეჭიდავა და მეიგო. „გულმა რენჩხა“__ უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა. „ყბაი მოუქცია“__უხერხულობიდან გამოიყვანა. „ძუა დააპწნია“__არბენინა წაღმა-უკუღმა. „ელანძე ჩაჭუტა თვალები“__უეცრად გარდაიცვალა. „მადლად ეწია“__სამაგიერო მიეზღო. „დროი დაუდო“__შეიპირა, დრო დაუთქვა. კუდი აეწვა__დანაშაული იგრძნო. „უქცია გული“__გადაუსხვაფერა შეხედულება. „კვალში ჩაუდგა“__გამოედევნა. „მიწა გაითხარა“__დაიმალა. „აკარკალა კურცხალი“__იტირა. „გამეიღო ხელი“__მოინდომა. „ბურნავათად გეიტანა“__სიძნელე დაძლია. „აიტეხა თავის ბელა“__სი ძნე-ლეში, გაჭირვებაში შერგო თავი. „გულზე დაიცა“__მცირედ დანაყრდა. „გული მოჭეჭკა“__ გული ატკინა. „თავი შეუხვია“__დაითანხმა. „თვალზე აიყვანა“__აითვალისწუნა. „ღვინომ მოლა მოხრაკა“__ძლიერ ღვინოზე იტყვიან. „ფეხი გასცვითა“__მოკვდა. „ყელი გამოართვა“__ დიდხანს ეხვეწა. „ზნეი შეიშალა“__ხასიათი გამოიცვალა. „ფეხი გააფხანჭალა“__1.სასტიკად იუარა,თავის ნათქვამზე დადგა. 2. მოკვდა. „ჩხირი მიატეხა“__საქმე არ დააბოლავა. „დეიფრიალა თოხი“__მარჯვედ გამარგლა, გა თოხნა. „საქმე მიდგა ყიყვზე“, საქმე მიდგა ყუაზე__საქმის მცირედი ნაწილი დარჩა. „თვალი აღონა“__თვალს მიეფარა. „თვალი ატანა“__ ყურადღება მიაქცია. „გევიდა გულს“__გაამპარტავნდა. „ნახა სინედლე“__სიძნელეზე ამბობენ. „ყური მეიცვალა“_მოიზარდა. „სალამეთი გამოელია“__ილაჯი გაუწყდა. „ქიზი შემოკრა“__ აცივდა. „გული აურინა“ --გული აუგდო. „დაახვა თავზე“__დააბრალა. „მეითბო ხელი“__გამოსარჩენი ნახა. „ძუძუს შეამწვამდა“__წამოიზარდა. „მოუღო ნერჩი“_სისხლი გაუ-შრო, ძალიან გააწვალა. „წამოაგდო სიტყვა“__საკითხი წამოჭრა. „სულმა

სთხუა“__მოესურვილა. „ლენძაში გაუსწორა“__სწორი ხაზი გაავლო. „ხელი მოკრა“__დაიწყო. „დააგდო ძუა“__ დიდი ხანი დაჰყო. „მისცა ნაბურავში“__გაგანია ცეცხლი გააჩაღა. „საფლავში ჩაარბენია“__ დაღუპა. „სინათლე შეიტყო“__მოისვენა, (ფიზიკურად,სულიერად), „ლაღა გადუუსვა“__გაათანაბრა. „დაარტყა ტრაპუტაი“__უკან შემობრუნდა. „კუდი ეეწვა“__უხერხულობა იგრძნო. „ხელი დაიმშვენა“- 1. საჩუქრით მივიდა სტუმრად.2. ხელი დაიბანა. „ადგა უბედურობა“_საშინელი რამ მოხდა. „ჩაურეკა ყურში“--დაასმინა. „პირი მობანა“__გაამართლა, მხარი დაუჭირა. „პირი მოიბანა“_ცალყბად დაპატიჟა. „უუტყდა სასირაი“__ხშირი სიარული დაიწყო. „შლიჭა თავი“__გაკურცხლა. „მიწაში მიაქ თავი“__იმალება. „თავი გამოიხვანჭა“__იოლად გამოვიდა. „ცოცხლითაი მოკლა“__ძლიერ შეარცხვინა. „გამოკრა კუდი“__თავისი ხასიათი საცნაური გახადა სხვისთვის. „მიწა გაითხარა“__სადღაც დაიმალა. „გული დაჯორგა“__დამწუხრდა. „ხახა დააღო“__ალაპარაკდა. „დააქნევია ხელი“__უარი ათქმევინა, გამოამშვიდობა.

,,წროულს მოსავალზე ხელი დაგვაქნევიეს''--წელს მოსავალი არ იყო.“კაბა დაიფერთხა“_ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო,რა ღაცას შეელია. 3. მეტაფორული შინაარსის შემცველია მსაზღვრელ- საზღვრულის წყვილით წარმოდ-გენილი სინტაგმები.
მაგ; „ამოხეთქილი მთვარე“__ თეთრი სახის მშვენიერი გარეგნობის ადამიანი. „კაკაბა დარი“__წყნარი მოწმენდილი ამინდი. „ტყვის სახსარი“__საუკეთესო რამ, ითქმის ადამიანის ან პირუტყვის მიმართაც, „ფეხსუსტი ქალი“__ამორალური ყოფაქცევის ქალი.

„ქრისტეს ფეხის მჭამელი“-გაიძვერა,ეშმაკი, „მზის ნალი“-მზის შუქი, „ცისკიდურაი დარი“ - კარგი ამინდი, „მზის ნისკარტი“ - მზის სხივი,''დეილოცა მისი ნისკარტი ამევიდა ცუცხუნაი მზეი'', გრილის სული- მზის ამოსვლის და ჩასვლის ჟამი, „ყვავის ბუდე“- ხმელი,წვრილი ტოტები, „ქვის ნაშიერი“-ძნელად დასამუშავებელი მიწა, „წყლის ფეხი“-წყაროს წყალი, „ნეფის ხელის“- ტყუპი ტარო, „გატრაბახებული ნათესი“-მეჩხერი ყანა, „დედო წყალი“-მდინარის მთავარი წყალი, „წიწილი წყალი“-შენაკადი, „დედო გზაი“- მთავარი გზა, „ღუბლი ქალი“

გულჩათხრობილი.“ქაჯის სავარცხელი“-უშოვარი, მიუწვდომელი რამ და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. წულაძე ა. ეთნოგრაფიული გურია, თბილისი 1971 წ.
2. ღლონტი ა. დიალექტიკური ლექსიკა მწერლის თხზულებებში, სტალინის სახ. სახელმწიფო ინსტიტუტის შრომები ტ. 7. თბილისი 1959 წ.
3. ლეჟავა ლ. შენიშვნები ზემო სურების მეტყველებაზე, თბ., 1964.

ლეჟავა ლ. ხალხური ზეპირსიტყვი-ერების ზოგიერთი ჟანრის ენის შესწავლისათვის, ტ.8, თბ., 1956 წ.

რუსუდან კობრავა

ახალი საგანმანათლებლო პროგრამები აჭარის მუზეუმში

ბოლო 20-25 წლის განმავლობაში სამუზეუმო განათლებამ მუზეუმებს სრულიად ახალი ფუნქცია შესძინა. განათლების მიმართულება გახდა წამყვანი და ძალიან მნიშვნელოვანი. მუზეუმს შეუძლია დიდი როლი შეასრულოს განათლების საქმეში. საგანმანათლებლო საქმიანობა მნიშვნელოვანია, რომ მუზეუმმა შეიძინოს მეტი დამთვალიერებელი.

გარემო, რომელსაც უზრუნველყოფს მუზეუმი სწავლისათვის, საკმაოდ განსხვავ-დება ფორმალური განათლების ინსტიტუ-ციებისაგან, მაგალითად, როგორიცაა სკოლა.

სამუზეუმო სწავლების მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ 1. მუზეუმი ეხმარება ბავშვს სამყაროს შემეცნებაში და ამ სამყაროში საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში,თავისი კულტუ-რის იდენტობის გააზრებაში. 2. სამუზეუმო განათლებას მნიშვნელოვანი როლის შესრუ-ლება შუძლია წარმატებული სამოქალაქო საზოგადოების აშენების საქმეში. 3. მუზეუმი ხელს უწყობს ადამიანის სულიერ და კულტურულ განვითარებას .ისტორიის არდავიწყება, კულტურის ცოდნა- ამაში გამოიხატება სამუზეუმო სწავლების განსაკუთრებული როლი.

სამუზეუმო განათლების უმნიშვნელოვანესი ასპექტია სწავლების შემოქმედებითი და ინტერაქტიული მეთოდი. განათლება უნდა იყოს მარტივი და ადვილად აღსაქმადი ბავშვისათვის.სამუზეუმო განათლება არის ვიზუალზე დამყარებული სწავლება, რომელიც გულისხმობს გასართობ და შემოქმედებით აქტივობებს.რაც უფრო მეტად გაერთობა ბავშვი მუზეუმში, მით უფრო მეტ ინფორმაციას წაიღებს იქედან.

სამუზეუმო სწავლება ავსებს და ამყარებს სკოლაში მიღებულ ცოდნას. იმავდროულად აღძრავს მოზარდში ცნობისმოყვარეობას და ხელს უწყობს მის პიროვნულ განვითარებას.

მუზეუმის კიდევ ერთ დადებით მხარედ განიხილება არაფორმალური და კომფორტული გარემო, რომელსაც ის სთავაზობს ბავშვებს.

სამუზეუმო განათლების ძირითად წყაროს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის. სკოლის მოსწავლეები მუზეუმის აუდიტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია და ამ ჯგუფზე გათვლილი პროგრამები მუზეუმის ძირითადი პროდუქტია. საგანმანათლებლო პროგრამები აუცილებლად უნდა იყოს გათვლილი ასაკობრივ ჯგუფებზე. ძირითადად მორგებული უნდა იყოს სკოლის მოსწავლეებზე,უნდა იყოს ადვილი და გასაგები ბავშვებისათვის. პროგრამა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ბავშვმა რაღაც ისწავლოს და გაიღრმაოს თავისი ცოდნა სამუზეუმო ნივთების დახმარებით. აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

აჭარის მუზეუმის რეაბილიტაციისა და ახალი ექსპოზიციის გახსნის შემდეგ საგანმანათლებლო მუშაობა ახალი მოთხოვნების შესაბამისად წარიმართა. საგანმანათლებლო განყოფილების მუშაკების მიერ შესწავლილი იქნა საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამების თემატიკა და ჩატარების პრინციპი. შესაბამისად აჭარის მუზეუმის თემატიკის გათვალისწინებითა და სხვადასხვა საგანში სკოლის ეროვნული სასწავლო პროგრამის მიხედვით მომზადდა და განხორციელდა შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები: 1. ფრინველთა სამყარო 2.წითელფიგურიანი კრატერი და ბერძნული მითოლოგია 3. ისტორიული კოლხეთი

4.მხატვარი და ნატიურმორტი 5. ვისწავლოთ ჩვენი ისტორია - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული ძეგლები და გმირი მამულიშვილები.

საგანმანათლებლო პროგრამა - ფრინველთა სამყარო

(პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე)

პროგრამის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ფრინველთა სამყაროს გაცნობა, მოზარდ თაობაში ბუნებისადმი სიყვარულის ჩანერგვა, ბუნების დაცვისათვის ზრუნვის სურვილის გამოწვევა

პროგრამა განკუთვნილია VI-IX კლასების მოსწავლეებისათვის.

პროგრამის ხანგრძლივობა - 60-90 წუთი.

ჩატარების ადგილი - აჭარის მუზემის პირველი სართული.

პროგრამა ითვალისწინებს VI-IX კლასების ბუნების სახელმძღვანელოებში მოცემულ თემატურ მასალას და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

პროგრამის აღწერა

მოსწავლეები გაეცნობიან ბუნების ექსპოზიციას.მოისმენენ ლექციას მუზეუმში დაცული ფრინველების შესახებ. მიიღებენ ინფორმაციას წითელი წიგნის ისტორიის,იშვიათი,გამქრალ და გადაშენების პირას მყოფი ფაუნის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ფრინველთა დაცვის საკითხებზე.შემდეგ გადაინაცვლებენ ფოიეში, სადაც მონიტორის დახმარებით დაათვალიერებენ წითელ წიგნში შეტანილ ფრინველებს.

შემოქმედებითი დავალების სახით მოსწავლეები წინასწარ გამზადებული ნივთების გამოყენებით დახატავენ ან გამოძერწავენ მათთვის საინტერესო ფრინველებსა და ბუდეებს. წარმოადგენენ ნამუშევრების პრეზენტაციას.

საგანმანათლებლო პროგრამა - „წითელფიგურებიანი კრატერი და ბერძნული მითოლოგია“.

(პროგრამის ხელმძღვანელი თამარ დარჩია)

პროგრამის მიზანია მოსწავლეები გაეცნონ ბერძნულ ცივილიზაციას, მითოლოგიას,ბერძნულ-ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობებს, ვაზათმომხათველობის ისტორიასა და საინტერესო ხერხებს.

პროგრამა განკუთვნილია მე-6- მე-9 კლასების მოსწავლეებისათვის.

პროგრამის ხანგრძლივობა- 60-90-წუთი.

ჩატარების ადგილი- მუზეუმის პირველი სართული და ფოიე.

პროგრამა კავშირშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. დამატებითი თემატური და ვიზუალური მასალის გამოყენებით შესაბამისობაშია მე-6 მე-9 კლასების ისტორიისა და ხელოვნების სასწავლო პროგრამებთან.

პროგრამის აღწერა

მოსწავლეები მოისმენენ ლექციას ძველ საბერძნეთსა და კოლხეთის სამეფოს შორის არსებული მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ. გაიგებენ, თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი საქართველოსათვის საბერძნეთთან ურთიერთობა, რა მიზნები ამოძრავებდათ ბერძნებს ახალშენების დაარსებისას,გაეცნობიან კრატერის ისტორიას,მასზე მოხატულ მითოლოგიურ სცენებს და ზოგადად ძველბერძნულ მითოლოგიურ პერსონაჟებს, ყურადღება გამახვილდება ვაზათმომხატველობის წითელფიგურიან სტილზე.

შემდეგ გადაინაცვლებენ ფოიეში, სადაც მონიტორის საშუალებით გაეცნობიან ბერძნული ვაზათმომხატველობის სხვადასხვა ნიმუშებს.შემოქმედებითი დავალების სახით მოსწავლეებს საშუალება ექნებათ თავად შექმნან წითელ და შავფიგურიანი ლარნაკების მოხატულობის მსგასვსი ჩანახატები,მოახდინონ ნამუშევრების პრეზენტაცია.

საგანმანათლებლო პროგრამა - „ისტორიული კოლხეთი“

(პროგრამის ხელმძღვანელი მადონა ჭრელაშვილი)

პროგრამის მიზანია მოზარდების დაინტერესება ანტიკური ეპოქის ისტორიით, კონკრეტულად კოლხეთის სამეფოს არსებობის პერიოდით.აღნიშნული თემის საფუძვლიანდ შემეცნება როგორც ვიზუალური,ასევე თეორიული მასალის საშუალებით.

პროგრამა განკუთვნილია IV-VI კლასების მოსწავლეებისათვის.

პროგრამის ხანგრძლივობა- 60-90 წუთი.

ჩატარების ადგილი -მუზეუმის პირველი სართული,ფოიე ან ეზო.

პროგრამა კავშირშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და შეესაბამება VI-VI კლასების ისტორიის სახელმძღვანელოებში მოცემულ მასალას.

პროგრამის აღწერა

მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში მოსწავლეები მოისმენენ ლექციას ადრინდელი ქართული სახელმწიფოს - კოლხეთის წარმოშობა -განვითარების შესახებ. საფუძვლიანად გაეცნობიან კოლხეთის ძლ;იერების ხანას კარგად განვითარებული ეკონომიკის, მიწათმოქმედებისა და მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოების საფუძველზე.საუბარი იქნება კოლხეთის სამეფოს ფართო საგარეო -სავაჭრო ურთიერთობებზე, ოქროს წარმოებაზე.

შემდეგ მოსწავლეები გადაინაცვლებენ ფოიეში, სადაც დაათვალიერებენ ერთდროულ გამოფენას „არგონავტები“. ნახავაენ მულტიპლიკაციურ ფილმს არგონავტების შესახებ. შემოქმედებითი დავალების სახით მოზარდები ინდივიდუალურად აირჩევენ და დახატავენ მათთვის საინტერესო რომელიმე კოლხურ ნივთს. შემდეგ შეეცდებიან აღწერონ არჩეული ნივთის დანიშნულება და მნიშვნელობა ანტიკურ ხანაში.

საგანმანათლებლო პროგრამა - „მხატვარი და ნატიურმორტი“.

(პროგრამის ხელმძღვანელი თამარ დარჩია)

პროგრამის მიზანია მოზარდებს გააცნოს მხატვრობის ერთ-ერთი ჟანრის ნატიურმორტის წარმოშობის ისტორია, ნატიურმორტის შექმნის მარტივი ხერხები.

პროგრამა განკუთვნილია მე-6 მე-9 კლასების მოსწავლეებისათვის.

პროგრამის ხანგრძლივობა 60-90 წუთი.

ჩატარების ადგილი-მუზეუმის ფოიე.

პროგრამა კავშირშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეესაბამისობაშია მე-6 მე-9 კლასების ხელოვნების სახელმძღვანელოებში მოცემულ თემატურ მასალასთან.

პროგრამის აღწერა

მოზარდები გაეცნობიან მხატვრობის ერთ-ერთ ჟანრს-ნატიურმორტს. გაიგებენ როდის გაჩნდა, რა გზა გაიარა, როდის ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ჟანრად,რატომ და როგორ ქმნიდნენ მხატვრები ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნატიურმორტებს .

შემდეგ სლაიდების საშუალებით ნახავენ სხვადასხვა ტიპის ნატიურმორტებს. დაათვალიერებენ მუზეუმში დაცული მხატვრების ა.გოგუაძის, ხ. ინაისვილის, ო. სელეზნიოვას, ს. ტაკიძის , ეფტიევის, ნ.პახომოვის ნატიურმორტებს.

შემოქმედებითი დავალების სახით მოსწავლეები მათთვის შეთავაზებული ნივთებით შექმნიან სასურველ კომპოზიციას და დახატავენ ნატიურმორტს.მოახდენენ თავიანთი ნამუშევრების პრეზენტაციას.

საგანმანათლებლო პროგრამა - „ვიცოდეთ ჩვენი წარსული (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული ძეგლები და გმირი მამულიშვილები)“.

(პროგრამის ხელმძღვანელი ლიანა ჯაყელი)

პროგრამის მიზანია მოსწავლეების დაინტერესება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ აჭარის ისტორიით.მათთვის აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლების(ხიხანი, სხალთა, პეტრა, გონიო და სხვა..) გაცნობა და ახსნა, თუ როგორი სტრატეგიული და პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა მათ.ასევე მოსწავლეებისათვის აჭარის გმირ მამულიშვილთა (ტბელ აბუსერისძე. სელიმ ხიხმშიაშვილი, შერიფ ხიხმშიაშვილი, მემედ აბაშიძე და სხვ.) ცხოვრებისა და საბრძოლო ეპოსის გაცნობა.

პროგრამა განკუთვნილია VIII-XII კლასების მოსწავლეებისათვის.

პროგრამის ხანგრძლივობა - 60 წუთი.

ჩატარების ადგილი - მუზეუმის ექსპოზიცია.

პროგრამა კავშირშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

პროგრამის აღწერა

მოსწავლეები შეიკრიბებიან მუზეუმის ექსპოზიციის ისტორიის განყოფილებაში. მოისმენენ ლექციას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს - კერძოდ აჭარის ისტორიის,აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლებისა და გმირი მამულიშვილების შესახებ.ლექცია გამყარებული იქნება ექსპოზიციაში არსებული ექსპონატებითა და თვალსაჩინოებით, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს უკეთ აღიქვან და შეიმეცნონ აღნიშნული თემა.

ლექციის დამთავრების შემდეგ შემოქმედებითი დავალების სახით მოსწავლეები ინდივიდუალურად აირჩევენ მათთვის საინტერესო რომელიმე ციხე-სიმაგრეს ან ეროვნულ გმირს. შეეცდებიან იმსჯელონ მათ შესახებ. პროგრამის დასკვნითი ნაწილი დაეთმობა ისტორიულ ვიქტორინას, რომელშიც ჩაერთვებიან მოსწავლეები და მათი აქტივობის მიხედვით გამოვლინდება თუ როგორ შეითვისეს აღნიშნული თემა.

ამ ახალი პროგრამების გარდა განახლდა და ახლებურად მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაშები“, რამაც დაწყებითი კლასების მოსწავლეთა დიდი დაინტერესება გამოიწვია.სკოლებიდან შემოვიდა მრავალი შეკვეთა ამ საგანმანათლებლო პროგრამის ჩატარებაზე, რაც განყოფილების მუშაკებმა უზრუნველყვეს.

წარმატებით განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „გიდი“, რომელსაც მუზეუმი ატარებს სკოლა-ლიცეუმ „მასტერ-კლასთან“ ერთად. პროექტში მონაწილეობდენ სკოლა-ლიცეუმის მე-3 კლასების მოსწავლეები.განყოფილების მუშაკების დახმარებით ისინი გაეცნენ მუზეუმის ექსპოზიციას, შეიწავლეს თითეული ნივთის ისტორია, შეითვისეს გიდის უნარ-ჩვევები.შემდეგ მოეწყო პრეზენტაცია. მოსწავლეები თავად გახდნენ გიდები. ჩაატარეს ექსკურსია სხვადასხვა განყოფილებაში, რასაც დაესწრენ მათი მშობლები, პედაგოგები, მოსწავლეები. ბავშვებმა წარმატებით გაართვეს თავი მათზე დაკისრებულ მოვალეობას და მოწონება დაიმსახურეს.

საზაფხულო არდადეგების პერიოდში ფრანგული ენის საზაფხულო სკოლის მოსწავლეებს(ხელ-ლი ნათია აბაშიძე) ჩაუტარდათ საგანმანათლებლო პროგრამა „ვისწავლოთ და გვიყვარდეს მუზეუმი“,ხოლო ინგლისური ენის ცენტრის აი ენ თი საზაფხულო ბანაკის (ხელ-ლი ნინო კუხალეიშვილი) მონაწილეებთან განხორციელდა პროექტი „ვისწავლოთ ინგლისური ენა მუზეუმში“.პროგრამის მიზანი იყო ინგლისური ენის პირველი და მეორე დონის სწავლების ხელშეწყობა მუზეუმში დაცული ნივთების დახმარებით.

მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული კვირეულის ფარგლებში ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტთან ერთად განხორციელდა პროექტი „ღამე მუზეუმში“.მოეწყო თეატრალიზებული პერფორმანსი „ანტიკური სამოსი მინოსური კრეტიდან ბიზანტიამდე“, რომელშიც სტუდენტებთან ერთად მუზეუმის თანამშრომლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

სამეცნიერო- საგანმანათლებლო განყოფილების მიერ ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი საღამო, ახალგაზრდა პოეტის ჯაბა გორგილაძის ლექსთა კრებულის „გულის ექო“ პრეზენტაცია და გაგა გომართელის ლექსთა კრებულის „ვედრება“ პრეზენტაცია.

საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილე მაღალი აქტივობის მქონე მოსწავლეებს და კლასებს გადაეცემოდათ მუზეუმის სიგელი.

2016 წლის ივნის-სექტემბერში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „საგანმანათლებლო პროგრამები აჭარის მუზეუმებში“.პროექტის ფარგლებში, რომელიც სსიპ საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა განახორციელა, ჩატარდა ტრენინგი აჭარის რეგიონში არსებული მუზეუმების წარმომადგენლებისათვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მათი დანერგვის მიზნით.ტრენინგი გაიარეს მუზეუმის სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილების მუშაკებმა. მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით განახლდა საგანმანათლებლო პროგრამები „ფრინველთა სამყარო“ და „წითელფიგურიანი კრატერი და ბერძნული მითოლოგია“. შედგენილი იქნა სახალისო გზამკვლევი ბავშვებისათვის „იმოგზაურე წარსულში.“ .გზამკვლევი შეადგინეს რუსუდან კობრავამ და მადონა ჭრელაშვილმა. მასში შესულია სახალისო კითხვები და სახალისო დავალებები,რომლებიც მიზნად ისახავს იმას, რომ ბავშვებმა უკეთ აღიქვან და გაიაზრონ მუზეუმში გამოფენილი ექსპონატებისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა და კიდევ უფრო დიდხანს გაყვეთ მიღებული შთაბეჭდილება.მოსწავლეები ექსპონატების დათვალიერებისა და დარბაზებში განთავსებული ტექსტების ყურადღებით წაკითხვის შემდეგ დამოუკიდებლად შეძლებენ ყველა დავალების შესრულებას. გზამკვლევს დართული აქვს მოცემული კითხვების პასუხები და გამოყენებული უცხო სიტყვების ლექსიკონი.

27-28 სექტემბერს მოეწყო პროექტის ფარგლებში მომზადებული პროგრამების აპრობაცია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან. დაიბეჭდა აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმისა და აჭარის მუზეუმების საგანმანათლებლო პროგრამების 2016 -2017 წლების კალენდარი,რომელშიც შევიდა აჭარის მუზეუმების მიერ მომზადებული ახალი პროგრამები. კალენდარში შესული საგანმანათლებლო პროგრამები ჩატარდება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან წინასწარი შეთანხმების მიხედვით.

მომავალში ვგეგმავთ მოვამზადოთ ახალი საგანმანათლებლო პროგრამები სხვადასხვა თემებზე, რომელთა განხორციელება კიდევ უფრო მეტ დამთვალიერებელს მოიზიდავს.

პროგრამა „წითელფიგურებიანი კრატერი და ბერძნული მითოლოგია“

პროგრამა „ფრინველთა სამყარო“

გზამკვლევის აპრობაცია

პროგრამა „ისტორიული კოლხეთი“

ინგლისური ენის სწავლება მუზეუმში

პროგრამა „გიდი“

პროგრამა „ვიცოდეთ ჩვენი ისტორია“

პროგრამა „ვიცოდეთ და გვიყვარდეს მუზეუმი“

ჯაბა გორგილაძის ლექსთა კრებულის - „გულის ექო“ პრეზენტაცია

დედის დღე ილია ჭავჭავაძის მუზეუმში

რუსუდან კობრავა
აჭარის მუზეუმის ღონისძიებათა დაიჯესტი - 2016 წელი

8 თებერვალი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საღამო „დედის დღე და გაზაფხული ერთად მომილოცნია“ (სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილება, ილია ჭავჭავაძის მუზეუმი).

15 მარტი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა დისკუსია თემაზე: „1921 წლის 18-20 მარტის მოვლენები ბათუმში“.

.22 მარტი - გაიხსნა აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის განახლებული ექსპოზიცია.

14 აპრილი - აჭარის მუზეუმში ჩატარდა დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ჩვენ ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს“ ქ. ბათუმის მე-16 საჯარო სკოლის მე-6 ბ კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით (ისტორიის განყოფილება).

14 აპრილი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ქ. ბათუმის N1 საჯარო სკოლასთან ერთად ჩატარდა დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ენა დედაა ერისა“.

20 აპრილი - მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ალექსანდრე ჩხაიძემ ქ. ბათუმის მე-20 საჯარო სკოლაში მე-10 ბ კლასის მოსწავლეებთან ჩაატარა ლექცია-გაკვეთილი თემაზე: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოჩენილი ისტორიული პიროვნებები“.

20 აპრილი - აჭარის მუზეუმში საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა მადონა ჭრელაშვილმა ქ. ბათუმის მე-13 საჯარო სკოლის მე-4 ა კლასის მოსწავლეებთან ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამა: „შემეცნებითი თამაში“.

20 აპრილი - საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა თამარ დარჩიამ ქ. ბათუმის მე-8 საჯარო სკოლის მე-3 ბ კლასის მოსწავლეებთან ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამა -„შემეცნებითი თამაში“.

20 აპრილი - საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა შორენა მახარაძემ ქ. ბათუმის მე-15 საჯარო სკოლის 1-ლი ბ კლასის მოსწავლეებთან ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამა: „შემეცნებითი თამაში“.

22 აპრილი -აჭარის მუზეუმში ქ. ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის მე-9 ბ კლასის მოსწავლეებთან ერთად ჩატარდა დედამიწის დღისადმი მიძღვნილი თემატური კონფერენცია.(ბუნების განყოფილება).

26 აპრილი -ქობულეთის რ-ნ სოფელ გორგაძეების საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებთან საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა შორენა მახარაძემ ჩაატარა თემატური ექსკურსია „ფრინველთა სამყარო.“

11 მაისი - პროექტის „შეჩერებული წამი“ ფარგლებში აჭარის მუზეუმში ქ. ბათუმის მერიასთან ერთად მოეწყო ინკლუზიური ბავშვების მიერ გადაღებული ფოტოების გამოფენა. (ისტორიის განყოფილება.)

16 მაისი - საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა შორენა მახარაძემ ქ. ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის მე-ბ კლასის მოსწავლეებთან ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამა „ფრინველთა სამყარო“.

18 მაისი - მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა ლიანა ჯაყელმა ხელვაჩაურის 1-ლი საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეებთან ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამა: „უკეთ ვიცოდეთ ჩვენი წარსული ისტორია“.

18 მაისი - მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა მადონა ჭრელაშვილმა ქ. ბათუმის მე-3 საჯარო სკოლის მე- 3 ა კლასის მოსწავლეებთან ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაში.“

19 მაისი - კერძო სკოლა „იმედის“ მე-3 კლასის მოსწავლეებთან საგანმანათლებლო პროგრამაბის კოორდინატორმა მადონა ჭრელაშვილმა ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამა „ისტორიული კოლხეთი.“

19 მაისი -ქ. ბათუმის მე-8 საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლეებთან ერთად ჩატარდა ღონისძიება „დედამიწა ჩვენი სამშობლოა.“(ბუნების განყოფილება.)

21 მაისი - მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული კვირეულის ფარგლებში მოწყობილი „ღამე მუზეუმის“ ფარგლებში მოეწყო თეატრალიზებული პერფორმანსი „ანტიკური სამოსი მინოსური კრეტიდან ბიზანტიამდე.“(სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილება.)

22 მაისი - ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ბათუმის მისწავლე- ახალგაზრდობის სასახლის გარემოს ნორჩ დამცველთა კლუბის „ცისნამის“ და მუზეუმის ბუნების განყოფილების ერთობლივი ღონისძიება : დროებითი გამოფენა „აჭარის ფლორა“ და მოსწავლეთა თემატური კონფერენცია „ბიომრავალფეროვნება და მისი დაცვა.“

23 მაისი ქ. ბათუმის მე-14 საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეებთან საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა თამარ დარჩიამ ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაში.“

25 მაისი- აჭარის მუზეუმის ფოიეში მოეწყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ერთდროული გამოფენა.(ისტორიის განყოფილება.)

25 მაისი - ქ. ბათუმის მე-16 საჯარო სკოლის მე-5 დ კლასის მოსწავლეებთან საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა ლიანა ჯაყელმა ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაში.“

25 მაისი - ქ. ბათუმის მე- 16 საჯარო სკოლის მე-5 ა კლასის მოსწავლეებთან საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა მადონა ჭრელაშვილმა ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაში .“

31 მაისი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია.(ისტორიის განყოფილება, ილია ჭავჭავაძის მუზეუმი.)

31 მაისი - ქ. ბათუმის 22-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებთან ერთად ჩატარდა მოსწავლეთა თემატური კონფერენცია „მსოფლიო კულტურა.“(სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილება.)

1 ივნისი- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო ბავშვთა ნახატების გამოფენა „ხუთი წლის შემდეგ.“(ისტორიის განყოფილება.)

3 ივნისი - სკოლა -ლიცეუმ „მასტერკლასის“ მე-გ კლასის მოსწავლეეთა მონაწილეობით განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „გიდი“ (სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილება.)

3 ივნისი - სკოლა - ლიცეუმ „მასტრკლასის“ მე-3 დ კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „გიდი.’(სამეცნიერიო-საგანმანათლებლო განყოფილება.)

4 ივნისი- ქ. ბათუმის მე-14 საჯარო სკოლის მე-5 ბ კლასის მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა მადონა ჭრელაშვილმა ჩაუტარა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაში’.

5 ივნისი - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა ახალგაზრდა პოეტის ჯაბა გორგილაძის ლექსთა კრებულის „გულის ექო“ პრეზენტაცია.(სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილება.)

5 ივნისი -მოეწყო ფოტოგამოფენა „5 ივნისი გარემოს დაცვის დღეა.“ქ. ბათუმის მე-17 საჯარო სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარდათ ლექცია-საუბარი გარემოს დაცვის პრობლემებზე. (ბუნების განყოფილება.)

7 ივნისი - სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ მე-3 ა კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „გიდი“.(სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილება.)

7 ივნისი- სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასის“ მე-3 ბ კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „გიდი“.(სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილება.)

8 ივნისი- ქ. ბათუმის სკოლა „ნიკეს“ მე-7 1 კლასის მოსწავლეებთან საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა თამარ დარჩიამ ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამა „მხატვარი და ნატიურმორტი“.

9 ივნისი -ქ. ბათუმის მე-14 საჯარო სკოლის მე-3 ა კლასის მოსწავლეებთან საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა მადონა ჭრელაშვილმა ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამა „შემეცნებითი თამაში’.

25 ივნისი - ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიურ მუზეუმში მოეწყო ამავე მუზეუმის, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმისა და

ნიკო ბერძენიშვილის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ერთობლივი გამოფენა „50/50“.

6 -7 ივლისი - ინგლისური ენის ცენტრის INT -ის საზაფხულო ბანაკის მონაწილეებთან განხორციელდა პროექტი „ინგლისური ენის სწავლება მუზეუმში.“(სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილება.)

13 ივლისი- ფრანგული ენის საზაფხულო ბანაკის მოსწავლეებისათვის (სკოლა ევრო-2000) ლექცია თემაზე „მუზეუმი და სამუზეუმო საქმიანობა“ ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა მადონა ჭრელაშვილმა.

15 ივლისი- ფრანგული ენის საზაფხულო სკოლის მოსწავლეებს კოორდინატორმა მადონა ჭრელაშვილმა ჩაუტარა საგანმანათლებლო პროგრამა „ვისწავლოთ და გვიყვარდეს მუზეუმი.“

15 აგვისტო - ილი ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა ახალგაზრდა პოეტის გაგა გომართელის ლექსთა კრებულის „ვედრება“ პრეზენტაცია.(სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილება, ილია ჭავჭავაძის მუზეუმი.)

16 -17 სექტემბერი - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ჩატარდა ევროპის მემკვიდრეობის დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მუზეუმი და კულტურის სტრარეგია“. აჭარის მუზეუმიდან კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს დირექტორმა ოთარ გოგოლიშვილმა - „საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა ბათუმში 1905 წელს“,ფონდების მთავარმა მცველმა ნანა ქორიძემ -„საქსოვი ინვენტარი აჭარის მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით“.ფონდების მცველმა ნატო ცეცხლაძემ - „მუზეუმში დაცული თოფი მაჭახელას სახელოსნო და ინვენტარი“.

20-23 სექტემბერი - პროექტი „შეჩერებული წამი“ გაგრძელდა ქუთაისში.

27 სექტემბერი - მოეწყო საგანმანათლებლო პროგრამა „ფრინველთა სამყაროს“ აპრობაცია ქ. ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის მე- 8 დ კლასის მოსწავლეებთან. (პროგრამის ხელმძღვანელი შორენა მახარაძე).

27 სექტემბერი- მოეწყო საგანმანათლებლო პროგრამა „წითელფიგურებიანი კრატერი და ბერძნული მითოლოგია“ აპრობაცია ქ. ბათუმის მე- 2 საჯარო სკოლის მე- 7 ე კლასის მოსწავლეებთან. (პროგრამის ხელმძღვანელი თამარ დარჩია).

28 სექტემბერი -მოეწყო სახალისო გზამკვლევის „იმოგზაურე წარსულში“აპრობაცია ქ. ბათუმის მე-2 საჯარო სკოლის მე-7 ა კლასის მოსწავლეებთან. (გზამკვლევი შეადგინეს რუსუდან კობრავამ და მადონა ჭრელაშვილმა).

27 ოქტომბერი - ჩატარდა ილია ჭავჭავაძის მუზეუმისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის პირველი საჯარო სკოლის ერთობლივი ლიტერატურული საღამო, მიძღვნილი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 179-ე წლისთავისადმი. (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი).

3 ნოემბერი-ქ. ბათუმის 21-ე საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებთან საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა თამარ დარჩიამ ჩაატარა

საგანმანათლებლო პროგრამა „წითელფიგურებიანი კრატერი და ბერძნული მითოლოგია“.

5 ნოემბერი - ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ეთნოგრაფია-მხარეთმცოდნეობის წრის წევრებთან კოორდინატორმა სალომე კოხოძემ ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე წარსულში’.

7 ნოემბერი - ქ. ბათუმის მე-7 საჯარო სკოლის პედაგოგმა შორენა ქათამაძემ მუზეუმის ექსპოზიციაში მე- 3 კლასის მოსწავლეებთან ჩაატარა გაკვეთილი თემაზე „ჩვენი საქართველო.“

8 ნოემბერი, 12 სთ.-ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ჩატარდა მუზეუმისა და სოფელ ფერიის საჯარო სკილის ერთობლივი ლიტერატურულ - ისტორიული საღამო, მიძღვნილი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 179-ე წლისთავისადმი.

8 ნოემბერი, 14 სთ. - ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ქართულ- ფრანგული სკოლის მოსწავლეათა მონაწილეობით ჩატარდა ვიქტორინა თემაზე „ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა.“

8 ნოემბერი-ქ. ბათუმის 30-ე საჯარო სკოლის მე- 8 კლასის მოსწავლეებთან ექსკურსიამძღოლმა რიტა იოსელიანმა ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამა „იმოგზაურე წარსულში.“

10 ნოემბერი-ქ. ბათუმის 30-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებთან კოორდინატორმა შორენა მახარაძემ ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამა „ფრინველთა სამყარო.“

განახლებული ექსპოზიციის გახსნა

სტუდენტთა დისკუსია ილია ჭავჭავაძის მუზეუმში

დედა ენის დღისადმი მიძღვნილი საღამო ილია ჭავჭავაძის მუზეუმში

ლიტერატურული საღამო ილია ჭავჭავაძის მუზეუმში

ევროპის მემკვიდრეობის დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ქ.ქუთაისში

გამოფენაზე „50-50“

პროექტი „შეჩერებული წამი“

მუზეუმების საერთაშორისო დღე

„ღამე მუზეუმში“

სარჩევი

1. ოთარ გოგოლიშვილი - ბრძოლა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის ბათუმში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის I ნახევარში.
2. მაყვალა გოგუა - საგანმანათლებლო საქმიანობის თავისებურებები აჭარაში XIX საუჯუნის II მეოთხედში.
3. იზოლდა აბაიშვილი- გიორგი მაზნიაშვილი - პატრიოტი ქართველი ოფიცერი.
4. საშა ლეკვეიშვილი - ნუმიზმატიკა და ბონისტიკა.
5. ეთერი კიღურაძე - მედიცინის განვითარება აჭარაში XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში.
6. ნანა ქორიძე-ყოროლისთავის ციხის შესახებ.
7. მზიური მჟავანაძე - ელიას ციხე.
8. † ემინე მახარაძე - აჭარული დედოფლები.
9. ნათელა შერვაშიძე - ქართული დამწერლობის იშვიათი სახე „დედაბრული ხელი“ (მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით).
10. ნატო ცეცხლაძე - აჭარის მუზეუმის ფრანგული წარმოების ექსპონატები
11. ლიანა ჯაყელი - საქორწილო ტრადიციები აჭარაში.
12. ლამარა გულორდავა - აჭარის კურორტები და საკურორტო ადგილები
13. თამარ ტარიელაძე - კოლხური ბზა.
14. ნათელა ახვლედიანი-ანტარქტიდის ბინადარი.
15. ზოია ტუღუში - გურული ფრაზეოლოგიზმი.
16. რუსუდან კობრავა - ახალი საგანმანათლებლო პროგრამები აჭარის მუზეუმში.
17. რუსუდან კობრავა - აჭარის მუზეუმის ღონისძიებათა დაიჯესტი 2016 წელი